



ციბეხანი

№ 7 / 12 აგვისტო - 15 სექტემბერი / 2009

VS – სტალინი გუგუშვი 33.08

ახალი სტრატეგია – თავდაცვა 33.15

თბილისი, ცხინვალი, სოხუმი – ომიდან 1 წლის თავზე 33.22

ნაბუქოს პერსპექტივები 33.34

კავკასიური ბილიარდი 33.36

ჩეჩნეთის ისლამიზაცია 33.38

სუბარის არჩევანი 33.41

საზოგადოებრივი მაუწყებლობის 4 წელი 33.48

არველაძის იმედი 33.52

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი






რადიო „უცნობი“ წარმოგიდგინებთ დილის გაღატყვას **„დილა მშვიდობისა“**
ნატა ასათიანთან და ვახო ხვიციასთან ერთად
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოქიითხვები
- მებარი სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა
SMS ნომერი: 9800
Skype ID: ucnobidila



www.ucnobifm.ge



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლინ საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

04 რედაქტორი

05 მოკლედ

06 ვრცლად

08 ორი აზრი

სტალინი მუზეუმები
გიგა ზედანია v.s. ლაშა ბაქრაძე

10 აპოლიტიკა

თავდაცვის ეროვნული სტრატეგია ახალი სტრატეგიის განსაღებნი

15/ ინტერვიუ

სტრატეგია – თავდაცვა
ინტერვიუ დავით სიხარულიძესთან

17/სოციოლოგიური კვლევის შედეგები

საზოგადოებრივი აზრის

ცვლილებები რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ

21/თვითმმართველობის არჩევნები

2010 წელი. ვადაგდელი არჩევნები. დუბლი მისამე.

22 კონფლიქტები

ცხინვალი: ომიდან ერთი წლის შემდეგ აღიარებული პროტექტორატი

26/სოფში: ომიდან ერთი წლის შემდეგ

გარდაუშვალნი ვექტორი

28/თვალსაზრისნი

სად ვართ ომიდან ერთი წლის თავზე?

30/თვალსაზრისნი ტაქტიკური მარცხიდან სტრატეგიულ გამარჯვებამდე

32 აკომოიკა

საქართველო: ომიდან ერთი წლის შემდეგ „დათვების“ ზეიმი

34/ენერგეტიკული

უსაფრთხოება ნაგუმოს გაზსადენის პროექტის პერსპექტივები

36 მეზობლები

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები კავკასიური ბილიარდი

38/ჩრდილოეთ კავკასია

ჩეჩენეთის ისლამიზაცია

39/უკრაინა: გიორგი ღონღაძის მკვლელობა უკრაინი მოთხოვნამდე

41 ადამიანის უფლებები და საერთაშორისო მდგომარეობის აპარატი სუბარის არჩევანი

46/ვარლამენის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტატი სუსტი რგოლი

48 საზოგადოება საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის მეოთხე ნაწილი

52/სატელევიზიო მედია არქეაქის იმედი

54/თვალსაზრისი რას გვპირდება თბილისის ქვეყლი ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამა?

56/წიგნები პალანიკი ჩამოტარებით

გამომცემელი უსს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge დამატებითი: სტამბა შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნვრეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. სხვა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „გიგანტი: ადამიანები, გემოები, სტრატეგიები“. „ლიბერალი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ISSN 1987-7528



41

კვლეპქენია

ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირის ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდიაშვილი** /ალმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი** /საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / პოლიტიკა და საერთაშორისო აგაზი **სოფო ჭავჭავაძე** /საქართველო და კონფლიქტები **სოფო გუკია** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბეჟინაშვილი** / კავკასია **მარგარიტა ანვლიანი** / ახალი აგაზები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: არტ-რედაქტორი **მანანა არაბული** / ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კომპიუტერი **ნინო საითიაძე**
ადმინისტრაცია: ურთქმის მენეჟერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / ურთქმის მენეჟერის ასისტენტი **ლალა შუბითიაძე** / გიგანტის განვითარების მენეჟერი **გიორგი კოვალევიშვილი** / რეკლამის და გაყიდვების მენეჟერი **ნესტან ავალიანი** / IT მენეჟერი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / ფონის ადმინისტრატორი **ეთუნ ინეიკიანი** / დისტრიბუტორი **ზვიად მენაბდე**

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე.



6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (877) 78 78 05
ან მოგვანოდათ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge



ფოტო: ლეონიდა სერაფინოვიძე

ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვებს ყოველთვის სერიოზულად აღვიქვამ, ან ვცდილობ, სერიოზულად აღვიქვა ხოლმე. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მინდა ქვეყანას, მის ინსტიტუტებსა და საკუთარ თავს ვცე პატივი. 20 ივლისს, პრეზიდენტმა პარლამენტში ბევრი მნიშვნელოვანი რამე თქვა, მათ შორის ისაუბრა საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზაციის აუცილებლობაზე. ესეც სერიოზულად აღვიქვი და ჩავთვალე, რომ ყველას მოგვეცა შანსი მონაწილეობა მიგველო სახელმწიფო ტელეარხის საზოგადოებრივ მაუწყებლად „გარდატეხის“ პროცესში.

სამწუხაროდ, ბევრი ადამიანის მცდელობის მიუხედავად, ეს ასე არ მოხდა. თუმცა, მოხდა ერთი მნიშვნელოვანი რამ – პოლიტიკური მხარეების მაგივრად, სამოქალაქო საზოგადოება აქტიურობდა. შესაძლოა ეს იმიტომ, რომ ამ არხისათვის ახლა არავის ეცალა. რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავზე, ხელისუფლება რუსეთის მოგერიებაშია, ოპოზიცია კი ახალი საპროტესტო ტალღისთვის ემზადება. თუმცა, უკვე მეორეხარისხოვანია რას მოიფიქრებენ პოლიტიკოსები, ვისთვისაც ეს არხი ბოლო 4 წლის განმავლობაში რეალურად არც არაფერს ნიშნავდა, დამატებითი პროპაგანდისტული იარაღის გარდა. პირველხარისხოვანია ის, რომ ჩვენ იქამდე გავიწვებით, ვიდრე ამ მაუწყებლის დირექტორი თუ მეთვალყურეები არ მიხვდებიან, რომ მრავალფეროვანი რეალობის ასახვა მათი სისუსტე კი არაა, ძალაა; რომ თავისუფალი მედია კარგია და არა ცუდი და რომ საზოგადოების განვითარების რეალური რესურსი მისი უმცირესობებისაგან მოდის და არა – უმრავლესობისაგან. ვიდრე საზოგადოებრივ მაუწყებელს არ განკარგავენ ადამიანები, ვისთვისაც ეს ღირებულებები ბუნებრივი აუცილებლობაა, იქამდე მეც და ჩემი პრეზიდენტიც ცარიელი ლოზუნგების ამარა ვიქნებით.

**მთავარი რედაქტორი,
შორენა შავერდაშვილი**

ციტატები

„სიტუაცია მართლაც საგანგაშოა, ქართული მხარისგან გასული წლის აბვისტოს მოვლენების წლისთავზე პროვოკაციები არ წყდება. ამასთან დაკავშირებით გაქლირებული სახსრებით მსოფლიო დისლოცირებული რუსეთის სამხედრო და სასაზღვრო ძალები. ამ დროისათვის მთავარია, არ დავუშვათ ესკალაცია და სროლების უფრო მსხვილ შეტაკებაში გადავრყავ. ამისათვის ვაკეთებთ და გავაკეთებთ ყველაფერ შესაძლებელს.“

**ალექსანდრ ნესტერენკო – რუსეთის თავდაცვის
სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი
4 აგვისტო**

„ჩვენ ხაზგასმით და ცალსახად აღვნიშნეთ, რომ სუპერატინტულ რეპორტებთან არსებული გამოწვევების სამხედრო მოგზაობის გზა არ არსებობს. საქართველომ უნდა განახორციელოს თავდაცვის სფეროს მოდერნიზაციის ზუსტი და რაციონალური გეგმა.“

**ალექსანდრ ვერშბოუ – აშშ-ს თავდაცვის მდივნის
თანაშემწე საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში
აშშ-ს სენატი, 4 აგვისტო**

„ჩვენ ახსოვს უნდა სწორად მოვიქცეთ და ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მივიღებთ, რომორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, უფაქტური იყო. რაც ყველაზე მთავარია – მათ ადამიანების სიცოცხლე გადაარჩინეს. ამიტომ, როდესაც იმ ღამეს ვუბრუნდები, ეს იოლი არაა, მაგრამ მიმარჩია, რომ, სამართო ჯაგში, ძველანა პასუხისმგებლობითა და პატიოსნად მოვიცა... ამ არ მრცხვინია ამ პერიოდის გამო. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი ძველის ისტორიაში.“

**დიმიტრი მედევედი
ტელევიზია HTB-ს ფილმის „2008 წლის აგვისტოში...“
ავტორებთან საუბრისას**

„უმცირესობისთვის ცივილიზაცია წარმოადგენს კეთილსა და გონივრულ თანაფარდობას: არ არსებობს სიკეთე და გონივრება, არსებობს მხოლოდ აზრთა პლურალიზმი. და თუ არ არსებობს სიკეთესა და გონივრებას შორის განსხვავება, მაშინ ეს რა არის? ეს აპოკალიფსია... ლიბერალურ ფილოსოფიაში სამართოდ არ არსებობს ცოდვის იდეა, არ არსებობს განსხვავება ცოდვასა და სინონიმებს შორის.“

**რუსეთის პატრიარქი კირილი
კოვი, 29 ივნისი**

პრევიარა ჩელიაბინსკიდან

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრად ჩელიაბინსკის სამმართველო ფორმის „ვერმიკულიტის“ გენერალური დირექტორი ვადიმ ბროვეცივი დაინიშნა, რომელიც კრემლის კანდიდატია. „მართალია, ბროვეცივი რუსეთიდან მიიწვიეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მოსკოვის კაცი იქნება“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ბროვეცივის დანიშვნას ლოგიკურს უწოდებენ და აცხადებენ, რომ იგი უფრო ეფექტურად გააკონტროლებს ცხინვალის აღდგენითი სამუშაოებისთვის მოსკოვის მიერ გამოყოფილ თანხებს. დეპუტატ გენადი გუდკოვის თქმით, „მოსკოვს აღარ სურს, სოლიდური ფულადი დახმარების განკარგვა ადგილობრივ კადრებსა და უშუალოდ კოკოთის ანდოს“.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრემიერის პოსტი 2008 წლის ოქტომბრიდან დღემდე ასლანბეკ ბულაძევს ეკავა. მისი დათხოვნის მოტივად ედუარდ კოკოთიმ „ჯანმრთელობის მდგომარეობა“ დაასახელა. თუმცა, დე ფაქტო მთავრობის შიდა საქმეებში ჩახედული დამკვირვებლები ამბობენ, რომ კოკოთისთან კონფლიქტის გამო ბულაძევი, უკვე რამდენიმე თვეა, ცხინვალში არ იმყოფება. მოსკოვის ინიციატივით დანიშნულ ბულაძევს, რომელიც რუსული ფულის ხარჯვას აკონტროლებდა, შეიარაღებულმა ნიღბიანებმა ცხინვალის დატოვება მოსთხოვეს. უახლოეს დღეებში ბროვეცივი მინისტრთა ახალ კაბინეტს ჩამოაყალიბებს. საგარეოდ, თანამდებობიდან გაათავისუფლებენ დე ფაქტო მთავრობის რამდენიმე საკვანძო ფიგურას და შეეცდებიან, სწორედ მათ დააბრალონ აღდგენითი სამუშაოების პროცესის ჩაფარდნა. **o**

რუსი პაპარაზი ქართველი ბლოგერის წინააღმდეგ



გასულ კვირას სოციალური ქსელების – **Twitter, Facebook და Live Journal**-ის მუშაობის რამდენიმესათიანი შეფერხების მიზეზი, შესაძლოა, რუსულ-ქართული კონფლიქტი გახდა, – მიიჩნევენ ამერიკული კომპანია Packet Clearing House-ის წარმომადგენელი ბილი ვუდკოკი. კერძოდ კი, პაკერებმა მსხვილმასშტაბიანი DDOS-ის ტიპის კიბერ-შეტევა განახორციელეს ქართველ ბლოგერ Cyxymu-ზე, რომელიც ინტერნეტ სივრცეში აქტიურად აკრიტიკებდა რუსეთის როლს აფეთქების ომში. Facebook-ის უსაფრთხოების საკითხებში მთავარი პასუხისმგებელი პირის მათს

კელის თქმით, ეს იყო რამდენიმე მიმართულებიდან განხორციელებული შეტევა სამინუნე (Cyxymu), რომელიც მიზნად ისახავდა მისი ხმის ჩახშობას. კელიმ ასევე დასძინა, რომ ისინი, ვინც ამ შეტევის კოორდინაციას ახდენდნენ, კრიმინალები არიან და დიდ რესურსებს ფლობენ. ბრიტანული გაზეთი Times მიიჩნევს, რომ ინტერნეტ-პორტალების მუშაობის შეფერხებაში რუსი ჰაკერები არიან დამნაშავე.


თავად Cyxymu Live Journal-ზე წერდა, რომ ეს მიზანმიმართული შეტევაა მასზე და ქართველებზე. „ასობით სპამს ვიღებ ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე... სპამი ჩემი ფოსტიდანაც იგზავნება და ეპატიჟება ხალხს ჩემს ბლოგზე შემოვიდნენ“, – წერს ის. **o**

საქართველო ნატო-სთვის მზად არ არის

პირველ პრესკონფერენციაზე ნატო-ს გენერალური მდივნის რანგში **ანდრეს ფოგ რასმუსენმა** განაცხადა, რომ რუსეთთან პარტნიორობას ნატო-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. თუმცა, აქვე მან აღნიშნა, რომ ნატო-მ „დაჟინებით უნდა მოითხოვოს რუსეთისგან თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. მათ შორის, პატივი უნდა სცეს თავისი მეზობლების ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ თავისუფლებას“. სააგენტო „ინტერფაქსთან“ ინტერვიუში რასმუსენი აცხადებს, რომ საქართველო და უკრაინა ჯერ არ არიან მზად, გახდნენ ნატო-ს წევრები. „ნატო-ს წევრობის პირობები საკმაოდ მკაცრია როგორც პოლიტიკური, ისე დემოკრა-

ტიული სტანდარტების მიხედვით, ასევე შესაბამისი რეფორმების მთელი სპექტრის გათვალისწინებით, მაგალითად თავდაცვის სტრუქტურის მოდერნიზაციის სფეროში. ეს ცვლილებები არ შეიძლება განხორციელდეს და ვერც განხორციელდება ერთ დღეში როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში“, – აღნიშნა რასმუსენმა. მისი თქმით, იგი სრულად იზიარებს „ნატო-ს ღია კარის პრინციპს“. „ნატო არავის აიძულებს ალიანსში განხორციანებას, მაგრამ თუ ნატო არის დემოკრატიული ქვეყნის მიერ გაკეთებული სუვერენული არჩევანი, რომელსაც თან ახლავს დამაკმაყოფილებელი პროგრესი, ნატო არ შეცვლის თავის წესებს შუა თამაშის დროს“. **o**

ფოტო ანრიკო ბაპინანა



ფოტო REUTERS / O3 კომბანი

პრევიარა ჩელიაბინსკიდან

არქეოლოგებმა ბაგრატის ტყაძარში **სამარხი** აღმოაჩინეს. პირველადი დათვალიერებისას დადგინდა, რომ სამარხი ახალგაზრდა ქალს ეკუთვნის, რომელიც საშუალო სიმაღლისაა. ექსპერტიზა გარდაცვლილი ქალის ვინაობას ვერ დაადგენს, თუმცა შესაძლებელია, დადგინდეს, როდის და როგორ გარემოში ცხოვრობდა იგი, რა ეცვა, ჰყავდა თუ არა შვილები, ჰქონდა თუ არა რაიმე დაავადება, წელიწადის რომელ დროს გარდაიცვალა. ცხედრის ნაწილების ექსპერტიზა თბილისში ჩატარდება.

სამარხში ასევე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ოქროს ნივთები და სამკაულები, რომლებიც ქუთაისის ეროვნულ მუზეუმში გადაიტანეს.

გარდაცვლილი უცნაურ ფორმაშია დასაფლავებული, ფეხები გადაჯვარედინებული აქვს, ერთი ხელი გულზე უდევს, მეორე კი – მუცელზე, რაც ქართული ტრადიციებისთვის უცხოა. **o**



არჩევნები მოლდოვაში, 29 ივლისი 2009

ფოტო REUTERS / ალან ბარანო

ოპოზიციის შანსი კომუნისტების ეპოქა მოლდოვაში

ნარსულს ჩაბარდა, მებრამ ძვეყანა კვლავ

პოლიტიკურ კრიზისში რჩება. სოფო გუპია

29 ივლისს ჩატარებული ხელახალი საპარლამენტო არჩევნები მოლდოვასთვის ისტორიული აღმოჩნდა – წერტილი დაესვა კომუნისტური პარტიის რვანლიან მმართველობას ამ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში.

კომუნისტებმა, რომლებიც ქვეყანას 2001 წლიდან პრეზიდენტ ვლადიმირ ვორონინის მეთაურობით მართავდნენ, ახალ პარლამენტში 48 ადგილი მიიღეს, ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ კი ერთად – 53.

თუმცა, ახალი პრეზიდენტის არჩევნების ხმების საჭირო რაოდენობა – 61 მანდატი, არც კომუნისტებს აქვთ და არც გამარჯვებულ ოპოზიციონერებს, რომლებმაც პარლამენტში კოალიცია შექმნეს.

ამდენად, პოლიტიკური კრიზისი, რომელიც აპრილში საპარლამენტო არჩევნებზე კომუნისტების გამარჯვებას მოჰყვა, კვლავ გრძელდება.

აპრილის მღელვარებამ, როდესაც კიშინიოვის ქუჩებში ათასობით ადამიანი გაყალბებული არჩევნების წინააღმდეგ გამოვიდა, ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოაშკარავდა. დემონსტრანტები ევროკავშირისა და მეზობელი რუმინეთის დროშებს აფრიალებდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნისტების მიერ აშენებული სისტემა დაინგრა.

აპრილის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა. აგრესიულმა საარჩევნო კამპანიამ მოსახლეობა ორ ნაწილად გაყო – კომუნისტების მხარდამჭერებად (ძირითადად უფროსი ასაკის ხალხი და რუსულენოვანი მოსახლეობა) და მათ მოწინააღმდეგეებად.

ივლისის არჩევნების შემდეგ კომუნისტებს აღარ აქვთ შანსი, კვლავ მოიპოვონ ძალაუფლება. ვორონინისა და მისი გუნდისგან უკვე არაფერს ელიან, გარდა ხელისუფლებიდან წასვლისა.

სხვა საქმეა ოპოზიცია, რომელსაც არჩევნებში გამარჯვებამ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა. გაერთიანებულ ოპოზიციას საკუთარი ამომრჩევლის დიდი მოლოდინის გამართლება მოუწევს.

პირველ რიგში, მიუხედავად იდეური განსხვავებებისა, ოპოზიციურმა პარტიებმა ერთიანობის შენარჩუნება უნდა შეძლონ, რადგან ამ ერთობის დაშლის შემთხვევაში, აქამდე მოპოვებულ გამარჯვებას აზრი ეკარგება.

მოლდოვის პრეზიდენტის ასარჩევად ოპოზიციას 8 ხმა აკლდება, კომუნისტებს – 13. ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, ვინ უფრო კარგად იმუშავებს მოწინააღმდეგეების გადაბირებაზე. ხმების საჭირო რაოდენობის დასაგროვებლად ოპოზიციას წინ ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი ელის.

განსაკუთრებული ყურადღებით მოლდოვის პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატის, დემოკრატიული პარტიის ლიდერის, მარიან ლუპუს ნაბიჯებს ელიან. იგი ოპოზიციაში ცოტა ხნის წინ კომუნისტური პარტიიდან გადავიდა. „ამ არჩევნებზე ლუპუ რეჟიმის სრული რეფორმირების ლოზუნგით მიდიოდა და თუ ახლა იგი უარს იტყვის თავის დაპირებებზე და კომუნისტებთან კოალიციას შექმნის, ოპოზიციის გამარჯვებას არჩევნებში გამოუსწორებელი დარტყმა მიადგება“, – ამბობს მოლდოველი ჟურნალისტი, ნატალია მორარი.

თავად ლუპუ, „გაზეტარუ“-სთან ინტერვიუში აცხადებს, რომ კომუნისტებთან კოალიციის გამორიცხვა არ შეიძლება. პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ მოლდოვის ოპოზიციამ კიდევ ერთი ვადამდელი არჩევნები არ უნდა დაუშვას, რადგან ეს პოლიტიკურ კრიზისს გაამწვავებს.

პრეზიდენტის ასარჩევად ხმათა საჭირო რაოდენობის მოპოვებას, სავარაუდოდ, ვერც ერთი ძალა ვერ შეძლებს. თუმცა, მანდატების იმ რაოდენობით, რომელიც ოპოზიციას პარლამენტში უკვე აქვს, მას შეუძლია მთავრობის ფორმირება, სპიკერის დანიშვნა და მომავალ ვადამდელ არჩევნებამდე ქვეყანაში სიტუაციის გაკონტროლება. **0**

მოსახლეობა თუ ამომრჩეველი? ადმინისტრაციული

რესურსი წინასაარჩევნო აბიტაციისთვის. **მაია ნიკლაური**



■ პრემიერ-მინისტრ ბილაურის შეხვედრა ველისციხეში

ველისციხელი ბიჭიკო ტაველაშვილი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას სოფლის ცენტრში ორ საათს ელოდა. კახელი გლეხების უმრავლესობისთვის მთავარი პრობლემა ახლა მოახლოებული რთველია – სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა ესაუბრათ ნიკა გილაურსა და კახეთის მოსახლეობის ნაწილს სოფელ ველისციხეში.

„თუ ახლავა არ იფიქრეს ჩვენზე, მერე გვიანი იქნება“, – ამბობს ბიჭიკო ტაველაშვილი და პრემიერ-მინისტრის გამოჩენისთანავე, მას რამდენიმე კითხვას ერთდროულად უსვამს. „ამ შემთხვევაში, მე კი არ უნდა ვილაპარაკო, არამედ თქვენ უნდა მოგისმინოთ. რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რა შეიძლება გამოვასწოროთ“, – პრემიერ-მინისტრმა კახელებს შეხვედრის პირობა გააცნო.

ნიკა გილაური ველისციხეში „სახალხო დიალოგის“ გასამართად ჩავიდა. დიალოგის იდეა პრეზიდენტს ეკუთვნის, რომელმაც პარლამენტში გამოსვლისას გამოაცხადა: „დადგა დრო, ლაპარაკის ნაცვლად, დავიწყეთ რეფორმის განხორციელება. დადგა დრო, რომ მოვუსმინოთ ჩვენ საზოგადოებას მთელი ქვეყნის მასშტაბით“.

პრეზიდენტის მოწოდება დეპუტატებმა, მინისტრებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პირდაპირ დავალებად მიიღეს და მას შემდეგ საქართველოს მასშტაბით რამდენიმე „დიალოგი“

პარალელურად მიმდინარეობს. როგორც წესი, მხოლოდ კამერების თანდასწრებით.

„სახალხო დიალოგი“ ხელი-სუფლების მხრიდან რიგითი „პიარ კამპანიის“ გარდა არაფერი იქნებოდა, რომ არა კიდევ ერთი განცხადება, რომელიც პრეზიდენტმა პარლამენტში იმავე გამოსვლისას გააკეთა. მიხეილ სააკაშვილმა ოპოზიციას თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები შესთავაზა. დასახელდა თვითმმართველობის არჩევნების სავარაუდო თარიღიც – 2010 წლის 30 მაისი.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო სუბიექტები წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან თანასწორი უფლებებით სარგებლობენ. ამ პერიოდში რეგისტრირებულ კანდიდატს, რომელსაც სახელმწიფო თანამდებობა უკავია, არ აქვს უფლება, გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის უპირატესობა და სახელმწიფო რესურსი. „სახალხო დიალოგი“ კი ადგილობრივი ხელისუფლების წევრებს სწორედ ამის შესაძლებლობას აძლევს და არათანაბარი წინასაარჩევნო კამპანიის პირობებს ქმნის.

პრეზიდენტის მიერ სავარაუდო თარიღის დასახელებით არჩევნები ოფიციალურად არ დანიშნულა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით კი, წინასაარჩევნო აგიტაცია არჩევნების დანიშვნის მომენტიდან იწყება. კოდექსში არაფერი წერია იმ შემთხვევაზე, როდესაც ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს საარჩევნო აგიტაციისთვის არჩევნების დანიშვნამდე იყენებს.

სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ჩხეიძე განმარტავს, რომ საარჩევნო კანონში აგიტაციის რეგულირებასთან დაკავშირებით ხარვეზებია. „არსებული კანონის მიხედვით შეუძლებელია დარღვევის დაფიქსირება. არჩევნების თარიღი შეიძლება

დაინიშნოს გაცილებით გვიან, მაგრამ კამპანია მანამდე იწყება. ეს ერთ-ერთი ის საკითხია, რაც კანონმდებლობით უნდა რეგულირდებოდეს“.

გიორგი ჩხეიძე 2008 წლის არჩევნების დროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფინანსური მონიტორინგის საბჭოს წევრი იყო. „ხალხთან მუდმივი კონტაქტისკენ“ პრეზიდენტმა ხელი-სუფლების წევრებს მაშინაც მოუწოდა. მარტში, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე სააკაშვილმა განაცხადა: „ყოველთვე ჩვენ გვექნება შეხვედრები ყველა თქვენგანთან იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობა და პრეზიდენტი იყოს მუდმივ კონტაქტში“. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სახელისუფლებო კანდიდატები არაოფიციალურ წინასაარჩევნო მართონში პრეზიდენტის ამ გამოსვლიდან რამდენიმე დღეში, ოფიციალურად კი თვენახევრის შემდეგ, აპრილის ბოლოს ჩაებნენ.

„შეგვიძლია ვიმარჩიელოთ, ხელისუფლების ახალი ინიციატივა საარჩევნო კამპანიის ნაწილია, თუ ხელისუფლების კონსულტაცია მოსახლეობასთან. არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, „სახალხო დიალოგი“ ვერ ჩაითვლება აგიტაციად“, – ამბობს გიორგი ჩხეიძე.

წელს კახეთში ყურძნის კარგ მოსავალს ელიან. მთავრობამ რთველის ჩასატარებლად 24 მილიონი ლარი გამოყო. პრემიერ-მინისტრთან „დიალოგის“ შემდეგ ეს თანხა 5 მილიონით გაიზარდა. თუმცა, გურჯაანელი მალხაზ გველუკაშვილი, რომელიც ხელისუფლების დაგეგმილ შეხვედრებს არ ესწრებოდა, დარწმუნებულია, რომ მთავრობის „ხალხთან მისვლა“ მაინც წინასაარჩევნო პიარია. **0**



ფოტო თეიმურაზ მამაგვილი



მოხსრა
ბიბა ზედაძანი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სტალინიმა მემკვიდრეობით არაფერი დაგვიტოვა, გარდა ძალადობის ცინიკური კულტისა. შესაბამისად, სტალინი იმ ქვეყანაში, რომელიც ახლა შენდება და ცდილობს, ძალადობის კულტისგან გათავისუფლდეს, ძეგლს არ იმსახურებს. გარდა ამისა, რუსეთი, საქართველოს ამჟამად მტერი, ცნობიერად აგრძელებს სტალინის ამ მემკვიდრეობის კულტივირებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ეს კიდე უფრო აქტუალურს ხდის სტალინიზმისაგან გამიჯვნის პრობლემას საქართველოში. ამიტომაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გორის ცენტრალური მოედნიდან მისი ძეგლის აღება დაიასახეს მიზნად.

მაგრამ არსებობენ ისეთებიც, ვინც ამ ძეგლის დატოვების მომხრეა. ეს ადამიანები შეგვიძლია პირობითად ორ ჯგუფად გავყოთ: ძეგლის დატოვების ემოციური მომხრეების დიდი ჯგუფი და მისი შენარჩუნების იდეური მომხრეების მცირე ჯგუფი.

ძეგლის შენარჩუნების ემოციური მომხრეები სტალინის სადღეგრძელოებს ამბობენ და ამტკიცებენ, რომ ის, ალბათ, ყველაზე დიდი ქართველი იყო. მათთვის სტალინი ზე-კომპენსაციის (ზე-კომპენსაცია ფსიქონალიტიკური ტერმინია და აღნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც არასრულფასოვნების განცდის კომპენსირება ხდება საკუთარი თავისათვის ძალაუფლებისა და სიდიადის მიწერით) ფიგურას წარმოადგენს. ემოციას ასეთი ლოგიკა უდევს საფუძვლად – მართალია რუსეთმა ჩვენ დაგვიპყრო, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ, სტალინის მემკვიდრეობით, რუსეთი დავიპყარით. ზე-კომპენსაციის მაგალითია გერმანელი სტუმრისათვის – ვითომუშრობით – ნათქვამი ფრაზა: „რასაც გვინდა, ქართველები გერმანელებს იმას გიშვებით – ერთმა ქართველმა გაგყოთ, მეორემ – გაგაერთიანათ“.

რა უნდა მოვუხერხოთ ამ ვითარებას? საჭიროა ამ ადამიანებს ნათლად ვაჩვენოთ სტალინიდან დაკავშირებული სიდიადის ილუზორულობა. ერთ-ერთი ნაბიჯი ამისაკენ იქნება სტალინის ძეგლის გადატანა სტალინისავე მუ-

სტალინი

ზეუმში. ამ მუზეუმს აქვს შანსი, გახდეს უნიკალური „მუზეუმის მუზეუმი“ – ანუ აჩვენოს მნახველს, თუ როგორ ხდებოდა ძალადობის ცინიკური კულტის დანერგვა ძეგლების, მუზეუმებისა თუ სხვა კულტურული მემკვიდრეობის საშუალებით ტოტალიტარულ სახელმწიფოში. რასაკვირველია, ძეგლის გადატანა ერთ-ერთი და არა ერთადერთი ნაბიჯი უნდა იყოს ამ მიმართულებით.

ძეგლის დატოვების იდეურ მომხრეებს საკითხისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ. სტალინი ცუდი იყო, ამბობენ ისინი, მაგრამ მთავარია ჩვენ ეს გავიზაროთ. ძეგლის დანგრევა აზროვნების პროცესს არაფერში დაეხმარება, პირიქით, ხელს შეუშლის, ჩაანაცვლებს მას. ამიტომ დარჩეს სტალინის ძეგლი, როგორც არის. სტალინი, ისევე როგორც მისი ძეგლი, ისტორიის ნაწილია. მის წაშლას მისი გადააზრება სჯობს.

ამ არგუმენტთან ბევრი პრობლემა მაქვს. ჯერ ერთი, რატომ ჰგონიათ ამ ადამიანებს, რომ ჩვენ, ვინც სტალინის ძეგლის გადატანას ვითხოვთ, აზროვნება არ დაგვინყია? ჩვენ ხომ გაბრაზებული ადამიანების პროტესტს არ გამოეხატავთ, რომლებსაც სტალინიმა პირადად რალაც დაუშავა, არამედ – ინტელექტუალურ პოზიციას, რომელიც საჯარო სიფრცვიდან მიუღებელი სიმბოლოების მოშორებას გულისხმობს. ხოლო თუ იმაზე საუბარი, რომ აზროვნების ეს პროცესი ფართო მასებში უნდა დაიწყოს – კი ბატონო, ჩვენი აზრით, სწორედ სტალინის ძეგლის დემონტაჟი შეიძლება გახდეს ამის ბიძგი. ვინ თქვა, რომ ძეგლის მოშორება და აზროვნება ერთმანეთს გამოირიცხავს?

მეორეც, რატომ ჰგონიათ ამ ადამიანებს, რომ არ არსებობს ისტორიის შენარჩუნების სხვა ფორმები, გარდა სტალინის ძეგლის დატოვებისა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე? რატომ უნდა დავინუნოთ მუზეუმი როგორც ისტორიული მემკვიდრეების ადგილი?

თუ მაინცდამაინც აზროვნების აუცილებლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, პირველი, რასაც აზროვნება მოითხოვს, არის გაბედულება. ჰოდა, ახლა განსაჯეთ, რა უფრო გაბედულია:

- ა) დააყენო სტალინის ძეგლის დემონტაჟის მოთხოვნა, რომელიც არ იქნება მაინცდამაინც პოპულარული არც საზოგადოების ფართო ფენებში (სტალინი არ ემეტებათ) და არც პოლიტიკურ კლასში (საკუთარი რეიტინგები ადარდებს და ზედმეტი თავისტიკილი არ სურს); თუ
- ბ) მოიფიქრო ნაირგვარი არგუმენტი იმისათვის, რატომ არაა საჭირო არანაირი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა. მთავარი ხომ მაინც ისაა, რომ, მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, ძეგლის დატოვების როგორც ემოციური მომხრეები („სტალინის სადღეგრძელო“), ისე იდეური მხარდამჭერები („აზროვნების აუცილებლობა“) პრაქტიკული თვალსაზრისით ერთსა და იმავე შედეგამდე მიდიან. 0

მუზეუმი



მონიწილება
ლემზ ბაქრაძე
ისტორიკოსი

1990 წელს, როდესაც ნამიბიის განთავისუფლების ორგანიზაციის გამარჯვებული მეომრები და მოძრეები ვინდჰუკუში შევიდნენ, დედაქალაქის ცენტრში მდგომი გერმანელი კოლონისტის ძეგლი ნამიბიის ლურჯ, ნითელ, მწვანე ფერებში შეღებეს. „სამხრეთ-დასავლეთელი მხედრის“ ძეგლი, რომელიც 1903–1907 წლებში ჰერეროებისა და ჰოტენტოტების (დღევანდელი ტერმინოლოგიით, ჰერეროთა და ნამას ტომის) წინააღმდეგ კოლონიური ომის მოსაგონებლად გერმანელ მეომრებს დაუდგეს 1912 წელს, დღესაც თავის ადგილზეა აღმართული. პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიის კოლონია – სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში (დღევანდელი ნამიბია) პერეროებისა და ნამას ტომის აჯანყების სისხლში ჩახშობა შეფასებულია, როგორც მეოცე საუკუნის პირველი გენოციდი. ნამიბიის ფერებში შეღებვა და მას შემდეგ უამრავი სხვა ქმედება (ახლახან ჯვრების დადგმა ძეგლის გარშემო დაღუპულ აჯანყებულთა სახელებით) იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ შეგნებულად ეპყრობიან შავი ფერის ნამიბიელები თავიანთ მტკივნეულ წარსულს.¹

ამჟამად, ქართული ლიბერალური ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ წამოწყებული დისკუსია სტალინის ძეგლის „ჩამოკვარცხლებების“ (ნოდარ ლადარიას მოხდენილი ტერმინი) შესახებ არ ემსახურება სტალინიზმის და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ საკუთარი მტკივნეული ისტორიის მიფუჩეჩების და სხვაზე გადაბრალების სუნი უდის. სხვანაირად შეუძლებელია, გაიგო ნოდარ ლადარიას ყურით მოთრეული არგუმენტი: „სტალინის ძეგლი გორში იგივეა, რაც ჰიტლერის იერუსალიმი“. ანუ ჩვენ ებრაელებივით მხოლოდ მსხვერპლი ვართ და არა თანადამნაშავენი, სტალინი გარედან თავსმოხვეული ფენომენია და ამ უცხოელი კოლონიზატორის ძეგლის ჩამოგდებით ისეთივე პრინციპები ვიქნებით, როგორც ისრაელელი ებრაელები, რომლებიც ვაგნერის მუსიკას არ ისმენენ. სხვათა შორის, ეს ისრაელელი ტაბუ სწორედ ებრაელმა, დიდმა ღირიჟორმა დანიელ ბარნებოიმიმა შეარყია, როცა 2001 წელს იერუსალიმში „ხუცკე“ (იდიშზე: თავხედობა, უსირცხვილო საქციელი) ჩაიდინა და ბერლინის სახელმწიფო კაპელასთან ერთად ვაგნერის „ტრისტანისა და იზოლდას“ უვერტიურა შესასრულა.

კარგად მესმის, რომ უცხოელი დონორებისა თუ მეგობრების წინაშე „გორში წამოჭიმული დიდი ბელადის ძეგლი იდიოტურ მდგომარეობაში გვაყენებს“ (გია ნოდია), მაგრამ ეს უსუსური, სულ ცოტა, ოცი წლით დაგვიანებული შურისძიება ბელადზე, როდესაც ამ ქვეყანაში არაფერი გაკეთებულა სტალინიზმის გამო-

საკვლევად და დასაძლევად, არავის აყენებს უხერხულ მდგომარეობაში? იქნებ ავობებდა, ისტორიის შესწავლის შემდეგ თვალი გაუფსნოროთ ჩვენ წარსულს და ვუთხრათ უცხოელებს, რომ ჩვენ არ გვეშინია მკვდარი ბელადების და ჩვენთვის მკვდარი ბელადი მტკიცე ნებით დაძლეული კულტია, ეს ძეგლი არა კერპი, არა მოწინების საგანია, არამედ ჩვენი ეროვნული მეხსიერების ნაწილი, ამავე დროს ატრაქციონია, თავის ადგილზე, კომპლექსში დატოვებული სამუზეუმო ექსპონატი. მომავალმა თაობებმა უკეთ რომ იცოდნენ, რას ნიშნავს კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც ჩვენ ისტორიაში აღარასოდეს განმეორდება.

ჩვენი ისტორიის არასასიამოვნო მომენტებზე თვალის დახუჭვა, როგორც ჩანს, ქართველების თანდაყოლილი ხინჯია. ამიტომ, არ მომწონს ბალტიის ქვეყნებიდან ნა-სესხები სახელი-ლოზუნგი „ოკუპაციის მუზეუმი“ – აქაც გარედან მოსული, ჩვენითვის უცხო ძალადობაა ყურადღების ცენტრში და არა უსიამოვნო ისტორიის დაძლევა, თუ გნებავთ, დამუშავება. წესიერი სახელი იქნებოდა მაგ. „საბჭოთა პერიოდის ისტორიის მუზეუმი“, მაგრამ ჩვენი ისტორია ხომ მხოლოდ გმირების ისტორიაა. რა ვუყოთ ათიათასობით მსხვერპლთან ერთად არანაკლები რაოდენობის ჯალათებს? ისინიც გავრიცხვოთ სტა-

ჩვენი ისტორიის არასასიამოვნო მომენტებზე თვალის დახუჭვა, როგორც ჩანს, ქართველების თანდაყოლილი ხინჯია.

ლინივით ქართველთა რიგებიდან, უბრალოდ იმიტომ, რომ „ცულები“ იყვნენ? რა ვუყოთ მილიონობით ქართველს, რომლებიც ბოლო წუთამდე ხმის ამოუღებლად ემსახურებოდნენ კაცთმოძულე სისტემას? დავივწყობ, რადგან ისინი ჩვენი მამები და პაპები იყვნენ, თუ მათგან ვისწავლოთ კონფორმიზმი და ნებისმიერ სისტემასთან შეგუების მექანიზმები? რა კეთდება ამ მიმართულებით? არაფერი.

საზოგადოების იგივე ნაწილი არ იკრიბება და არ ითხოვს ლუსტრაციის კანონს (გია ნოდია რომ დავესხსნოთ, „ერის გათიშვის“ ღრმად დამჯდარი შიშიც ხომ არ მუშაობს?), არც ბუმის ქუჩის, არც ალიოვის ძეგლის, არც წერეთლის ახალი ტოტალიტარული აზროვნების და სოფლის ყურის იმპერიალიზმის სიმბოლოს – თავისუფლების მოედანზე აღმართული სვეტის წინააღმდეგ ამოულიათ ხმა, რომელიც ბევრად უფრო მეტი ბოროტების მომტანია, ვიდრე სტალინის ბებერი ძეგლი დღეს. რატომ? იმიტომ, რომ ეს არაა კონიუნქტურა, სტალინის ძეგლის ჩამოგდება კი პარტამანაგებთან არის შეთანხმებული.

კომუნისტები დიდი ძეგლთმემუსვრელები იყვნენ და ვეჭვობ, კომუნისტური მეთოდებით კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შედეგიანი იყოს. კომუნიზმის კომუნიზმი დამთრგუნველები ჩანს, ჯერაც ვერ გამოსულან კომუნიზმის დროს ჩამოყალიბებული აზროვნების სტანდარტებიდან. **o**

¹ წესიერება მოითხოვს, ითქვას, რომ ახლა ამ ძეგლის არანაკლებ საპატიო ადგილას გადატანაზე მიღის დისკუსია. იმათთვის, ვისაც ჩაძიება უყვარს: შეიძლება ვინმემ ისიც ითქვას, – ეს ძეგლი პერსონალური არ არისო. იქვე ვინდჰუკუში დგას გერმანელი რაიხსკომისრის (გუბერნატორის) კურტ ფონ ფრანსუას ძეგლი და არავის უფიქრია მისი „ჩამოკვარცხლებება“.



თავდაცვის ეროვნული სტრატეგია

ახალი სტრატეგიის ბასაღები

სამხედრო სტრატეგია პოლიტიკისაგან იზოლირებული არ არის. მთავარი შეცდომები სტრატეგიულ ანალიზში იყო დაშვებული.

ლევან ცუცქერიძე, საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია



ფოტო კომუნაზაზუბანიძე

ქართული ჯარის წვრთნები



2005-2007 წლებში შექმნილი ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური დოკუმენტები (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2005: „ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები“; თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2007: „ძირითადი სამხედრო ვარაუდები“) ქვეყნის წინააღმდეგ პირდაპირი აგრესიის შესაძლებლობას „მცირედ“ აფასებდა. მაშინ, როდესაც უსაფრთხოების კონცეფცია პირდაპირი აგრესიის შესაძლებლობას ნაკლები ალბათობით განიხილავდა, საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტში (2005) ქვეყნის პირდაპირი აგრესიისაგან დაცვა პრიორიტეტთა ნუსხაში პირველ ადგილზე იყო (თავი II „საქართველოს თავდაცვის ზოგადი პრინციპები“) და აქცენტს სამხედრო და დიპლომატიურ „შეკავებაზე“ აკეთებდა. ერთი მხრივ, ეს იყო პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ერთგვარი კონფლიქტი, ხოლო მეორე მხრივ, მიზნებისა და შესაძლებლობების ერთგვარი ასიმეტრია, ვინაიდან პოლიტიკური ამოცანებიდან და გარემოებიდან გამომდინარე, ქართული ჯარი ინვრთნებოდა უფრო მცირე კონფლიქტებისა და გარე ოპერაციებისათვის, ვიდრე ტერიტორიული თავდაცვისათვის. ეფექტური ჯავშანსაწინააღმდეგო სისტემების სისუსტე სწორედ ამის დადასტურებაა.

სტრატეგიული ანალიზის პრობლემა არის უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელო-

ვანი და გადაუდებელი საკითხი, რისი გამოსწორებაც აუცილებელია. სამხედრო წრეებში ხშირად საუბრობენ დაზვერვის გაუმჯობესებაზე. „დაზვერვა“, ვფიქრობ, ცუდი თარგმანია იმ ტერმინისა, რაც უფრო მრავლისმომცველად ასახავს ამ სფეროს მნიშვნელობას. ინგლისურ ენაზე მას **intelligence** ეწოდება. მაშინ როდესაც დაზვერვა უფრო ინფორმაციის შეგროვებაზე აკეთებს აქცენტს, **intelligence** მოიცავს ამ ინფორმაციის დაკვეთას, მოგროვებას, ანალიზს, გავრცელებასა და შეფასებას. მართალია, სამხედრო და ტაქტიკური დაზვერვა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ პოლიტიკური დაზვერვა უპირატესია.

სწორი პოლიტიკური ანალიზი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად ეფექტური იქნება ჩვენი სამხედრო ოპერაციები. ვითარების პოლიტიკური შეფასება განსაზღვრავს იმას, თუ როგორი ჯავშანტექნიკა დაგვჭირდება მომავალში. სწორედ ამიტომ, სტრატეგიული პოლიტიკური ანალიზის გაუმჯობესებით უნდა დავინწყოთ ქვეყნის მდგომარეობიდან გამოყვანა.


ამ კონტექსტში კი აუცილებელია ჯერ გადაიხედოს ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ქვეყნის მთავარი პოლიტიკური დოკუმენტია, და ამის შემდგომ შევუდგეთ სამხედრო-სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზს, იქნება ეს სამხედრო სტრატეგია თუ რეზერვების რეფორმა. მართალია, რუსეთის ხელახალი აგრესია საკმაოდ რეალისტური

დაშვებაა, მაგრამ მისგან თავდაცვის მექანიზმების ვარაუდის დონეზე განსაზღვრა სამხედრო სტრატეგიაში არ შეიძლება. უსაფრთხოების კონცეფცია პოლიტიკური ანალიზის პროცესია და აუცილებელია მისი სიღრმისეული ანალიზი, სანამ მისი სამხედრო რეალიზაციის გზებს დავსახავდეთ.

სამხედრო ანალიზი შეუძლებელია პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. სამხედრო პოლიტიკის ტექსტებში „პოლიტიკური ეფექტიანობა“ უპირველეს ადგილს იკავებს. მოკლედ მისი განსაზღვრება შეიძლება, როგორც პროცესი, რომელიც რესურსებს წარმატებად გარდაქმნის. მსოფლიო ისტორიამ იმის ძალიან ცოტა შემთხვევა იცის, რომ გენერლებს პოლიტიკური წარუმატებლობა წარმატებად ექციოთ, მაგრამ ძალიან ბევრია პრეცედენტი, თუ როგორ შეუძლია წარმატებულ პოლიტიკას სამხედროთა წარუმატებლობის აღმოფხვრა. ამის საუკეთესო მაგალითია მეორე მსოფლიო ომი. მოკავშირეთა სამხედრო წარუმატებლობები ომის პირველ წლებში მათმა პოლიტიკურმა წარმატებებმა გამოასწორა, ნაცისტური გერმანიის ყველა ბრწყინვალე გამარჯვება ბრძოლის ველზე ასევე დიდი ნახტომი იყო მათი საბოლოო კატასტროფისაკენ. სწორედ ეფექტური პოლიტიკით შეგვიძლია რუსეთის საბრძოლო წარმატების შედეგების აღმოფხვრა. ეს არის ისეთი გამოსავალი, რომელსაც დრო, მოთმინება და ცოდნა სჭირდება. მისი შექმნა დღეს უნდა დავინწყოთ.



ქართული ჯარის წვრთნები



ფოტო: გოგია ლუხაიძე

ამასთან ერთად ომამდელი სამხედრო ხედვა ზედმეტ ნდობას უცხადებდა საერთაშორისო თანამეგობრობას, როგორც შესაძლო ომის შემაკავებელ ფაქტორს. მომავლისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ რეალისტურად შევაფასოთ ჩვენი მოკავშირეების როგორც შესაძლებლობა, ასევე მონდომება, პასუხისმგებლობა აილოს ჩვენ უსაფრთხოებაზე. რაც უნდა დამაჯერებლად ჟღერდეს უცხოელ დიპლომატთა განცხადებები, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს დაცვის ფორმალური პასუხისმგებლობა დღეს არც ერთ ჩვენ მოკავშირეს და არც ერთ ალიანსს არ გააჩნია. სწორედ ამიტომ, კარგი იქნება, თუკი სამომავლო ხედვები სამხედრო პოლიტიკასთან დაკავშირებით იმასაც გაითვალისწინებთ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ იმ შემთხვევაში, თუკი საერთაშორისო მხარდაჭერა არასაკმარისი ან დაგვიანებული აღმოჩნდება. საბოლოო ჯამში, ეს ქვეყანა მისი მოქალაქეების ასაშენებელია და არა უცხოელი დიპლომატებისა.

დღეს ჩვენ ისეთ ვითარებაში ვართ, როდესაც გვაქვს მოკლევადიანი საფრთხეები, რომლებზეც არ არსებობს მოკლევადიანი პასუხები. გვაქვს აგრესიის საფრთხე და არ გვაქვს სათანადო შესაძლებლობა, დამოუკიდებლად დავიცვათ მისგან თავი; გვჭირდება მტკიცე ხასიათის, გამოცდილი, განათლებული სამხედრო ლიდერები და არ გვაქვს საამისოდ საჭირო გამოცდილება და შესაბამისი

ინსტიტუტები; გვჭირდება მართებულ სტრატეგიული ანალიზი, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ჩვენი განათლების სისტემა ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ ეს სწრაფად უზრუნველყოს. სამწუხაროდ, ჩვენი უსაფრთხოება უფრო მეტად ჩვენი მოკავშირეების დიპლომატიანთა დამოკიდებული, ვიდრე ჩვენს ხელთ არსებულ სამხედრო ინსტრუმენტებზე. ამ ვითარებაში ერთადერთი და სწორი გამოსავალია სამომავლოდ ეფექტური სამხედრო პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების საფუძვლების დღეს შექმნა.

მინისტრის ხედვა, რომელიც დღევანდელი ომის შემდგომ განახლებული ერთადერთი ფორმალური დოკუმენტი, სამხედრო პოლიტიკაში მართებულად აკეთებს აქცენტს სამოქალაქო განათლების გაუმჯობესებაზე სამხედრო პოლიტიკისათვის მნიშვნელოვან სფეროებში. სამხედრო სისტემის წარმატებას სამოქალაქო სისტემის წარმატება განაპირობებს და აქ საჯარო სექტორის გაუმჯობესება, მათგან „მსწავლელი ინსტიტუტების“ შექმნა გადაუდებელი ამოცანაა.

ჩვენ გვჭირდება ქართული სამხედრო სკოლის შექმნა, ქართული სამხედრო აზრის განვითარება და ქართული სამხედრო კულტურისა და ტრადიციის ეტაპობრივი ჩამოყალიბება. ჩვენ დღეს გვჭირდება სამხედრო ლიდერები, რომელთაც შეეძლებათ როგორც პოლიტიკის ანალიზი, აგრეთვე მებრძოლთა შორის დისციპლინის განმტკიცება და მაგალითის მიცემა. ჩვენ გვჭირდება არსებულ პირობებთან (მცირე სახელმწიფო, დაკარგული ტერიტორიები, ძლიერი და აგრესიული მეზობელი) ადაპტირებული, საქართველოსათვის უნიკალური საბრძოლო დოქტრინის, გნებავთ, სამხედრო სკოლის შექმნა. ამის საფუძვლის ჩაყრა დღეს შეიძლება და, ჩვენი მოკავშირეების დახმარებით, მანამდე უნდა გავძლოთ, სანამ ეს ყველაფერი შედეგს მოიტანს. ისრაელთან ანალოგიები მხოლოდ გეოგრაფიულ განზომილებაშია მართებული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – სამხედრო-პოლიტიკური, დიპლომატიური ან თუნდაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ისრაელი არაოფიციალური ბირთვული სახელმწიფოა.

სამხედრო წარუმატებლობების ანატომიაში სამი ტიპის წარუმატებლობას გამოყოფენ:

■ წარუმატებლობა მოსალოდნელი სიტუაციისათვის მომზადებაში;

**ღვანელობის
პროფესორი
მოქალაქიანი
საერთაშორისო
არ არსებობს
მოქალაქიანი პასუხები.
გვაქვს აგრესიის
საფრთხე და არ გვაქვს
სათანადო შესაძლებლობა,
დამოუკიდებლად დავიცვათ
მისგან თავი.**

- წარუმატებლობა ახალ და მოულოდნელ პირობებთან ადაპტირებაში;
- წარუმატებლობა გამოცდილების განალიზებაში.

„ძველმა ხედვამ“ მთავარი რისკი სწორად ვერ გათვალა: საქართველო აღმოჩნდა პირდაპირი აგრესიის წინაშე, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ მოახერხა მისი შეკავება. მცირე მასშტაბის კონფლიქტის ნაცვლად, ქვეყანა ფართომასშტაბიანი, ტრადიციული ომის წინაშე აღმოჩნდა. სამხედრო სისტემას გაუჭირდა მტრის ინიციატივის შედეგად შექმნილ რეალობასთან ადაპტაცია, გვექონდა სერიოზული პრობლემები დისციპლინაში, ორგანიზებასა და კომუნიკაციაში (როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო); ორი შეცდომა რთული შეცდომაა, სამივე ერთად კი – კატასტროფული. სანამ ახალი ხედვა ფორმირების პროცესშია, კარგი იქნება მესამე წარუმატებლობის: „გაკვეთილების გაუთვალისწინებლობის“ თავიდან აცილება. „გაკვეთილების სწავლა“ პოლიტიკური პროცესია, რაც შემდგომ დაგვეხმარება იმაში, რომ მოსალოდნელი სიტუაციაც გავთვალათ და სწორად ადაპტაციაც მოვახერხოთ.

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, რომლის ძირითადი პრინციპებიც საქართველოს თავდაცვის კონფერენციაზეც (19-20 მაისი, ბათუმი) განიხილეს, მართებულად ეყრდნობა სამხედრო სტრატეგიის ფუნდამენტურ პრინციპებს იმ საკითხებში, რომლებიც მნიშვნელოვანია მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალებისათვის. რუსეთთან შედარებით, ჩვენი სამხედრო სისუსტის გათვალისწინებით, ძირითადი აქცენტი მონიწილადეგის სამხედრო-პოლიტიკურ



■ ქართული ჯარის წვრთნები

და დიპლომატიურ შეკავებაზე (რომელიც გარკვეულწილად „ძველი ხედვის“ ნაწილიც იყო) კეთდება. განიხილება როგორც კონვენციური, ასევე არაკონვენციური ომის შესაძლებლობები, დეცენტრალიზებული მართვის უპირატესობა, „მაქსიმალური თავშეკავების“ პრინციპი და „ტოტალური და უპირობო თავდაცვის“ კონცეფცია.

დეცენტრალიზაციის პოლიტიკა სწორია, მაგრამ რთული. თუკი ბრძანება უნდა შეიცავდეს ყველაფერს, გარდა იმისა, რასაც ბრძოლის ველზე სამხედრო თავდაცვით გააკეთებს (ჰელმუტ ფონ მოლტკე), მაშინ სამხედრო ლიდერებს ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ, რაც მათ უკეთესი განათლებით უნდა მიიღონ. მოუშადა ბელი დეცენტრალიზაცია, შესაძლოა, ქაოსის საწყისი გახდეს. აქცენტები ინიციატივის შენარჩუნებასა და მოქნილობაზე, მობილობასა და ერთიანობაზე, რაც აგრეთვე გათვალისწინებულია სტრატეგიაში, მნიშვნელოვანია მრავალრიცხოვანი მონიშნულ მდგომარეობებში მონაწილეების მიღწევის თვალსაზრისით – ეს სწორი პრინციპებია არსებული ძალთა ბალანსის გათვალისწინებით.

ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანია პრიორიტეტი მაღალი მორალის შენარჩუნებაზე. მორალის ამალეებისათვის სოციალური დაცვა და ნათელი პოლიტიკური მიზნები აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობებია. მო-

რალის საფუძველი დისციპლინა და ის პრობლემები, რაც გასულ წელს გამოჩნდა, მხოლოდ მკაცრი ორგანიზებისა და ერთობლივი, ხშირი რუტინული წვრთნების შედეგად შეიძლება აღმოიფხვრას.

საინტერესოა „მაქსიმალური თავშეკავების“ პრინციპი, რომელიც განიხილება, როგორც ახალი სამხედრო სტრატეგიის ნაწილი. აქ მნიშვნელოვანი იქნება იმ ზღვარის განსაზღვრა, რომლის იქითაც „თავშეკავება“ დაუშვებელია. ეს ზუსტად ისეთი მნიშვნელობის შემთხვევაა, როდესაც ომის საქმეებს მხოლოდ გენერლებს ვერ მიახლოებ. ეს არა იმდენად სამხედროების, არამედ უფრო პოლიტიკოსების საქმეა. აქაც სამხედრო სტრატეგია პოლიტიკურ ანალიზთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს. „ტოტალური და უპირობო თავდაცვის“ კონცეფცია მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური შინაარსით. მას შეუძლია მოწინააღმდეგისათვის აგრესიის ფასის „ანევა“ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისითაც. მაგრამ ასეთი კონცეფციის რეალობაში განხორციელება მასშტაბურ ცვლილებებს მოითხოვს სამოქალაქო თავდაცვის, რეზერვების მართვისა და სამხედრო-სამოქალაქო განათლების მხრივ. უკეთესი იქნება თუკი ამ კონცეფციის რეალიზაციის გზები უფრო ნათლად იქნება დანახული.

სტრატეგიულ და დოქტრინულ საკითხებთან ერთად გასათვალისწინებელია სამხედრო სტრატეგიის ფინანსური მხარეებიც. შედარებით მცირე-

რერიცხოვანი, არაკონვენციური ომის შესაძლებლობების მქონე, მობილური და მოქნილი ძალები ნიშნავს არა უფრო იაფ, არამედ უფრო ძვირ არმიას, რადგან ის მაღალ საბრძოლო თუ საინფორმაციო-სადაზვერვო ტექნოლოგიებზე უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე მრავალრიცხოვანი, მასობრივი არმიები.

დამატებით დანახარჯებს მოითხოვს რეზერვების სისტემის რეფორმა, მასშტაბური თავდაცვის მომზადება და მისი უზრუნველყოფა. რამდენად მოხერხდება შეიარაღებული ძალების ტექნოლოგიური გადაიარაღება, გადამზადება და საერთო „გადაწყობა“ გლობალური და ლოკალური ეკონომიკური და ფინანსური სიძნელების ფონზე, მნიშვნელოვან კვლევას მოითხოვს. ერთი საკითხია სწორი სტრატეგიული ფორმის შერჩევა, ხოლო მეორეა მისი ტექნოლოგიური და ლოგისტიკური უზრუნველყოფა.

ბუნებრივია, რომ ნატო-სთან თავსებადობის მიღწევა უნდა დარჩეს პრიორიტეტად. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ როგორც ქვეყნის პოლიტიკური ვექტორი, რასაც ახალი სამხედრო სტრატეგიის სამუშაო ვერსია პრიორიტეტთა ნუსხაში მართებულად ათავსებს.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში ჩანს წარსული გაკვეთილების გათვალისწინების მცდელობა, მთავარი პრობლემა არა ხედვაში, არამედ ხედვის რეალიზაციაშია. ჩვენ გვჭირდება „დიდი სტრატეგია“ იმისათვის, რომ სამხედრო სტრატეგიის წარმატებული რეალიზაცია მოვახერხოთ. პოლიტიკური ეფექტიანობის ამალეობა, სტრატეგიული ანალიზის გაუმჯობესება, სამხედრო ლიდერთა უკეთესი განათლება პრიორიტეტებია, რაზეც უნდა მოვახდინოთ კონცენტრაცია. სწორედ ამ მიმართულებით იყო შეცდომები და ხარვეზები ძველ ხედვებში და მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ახალი ხედვა უფრო რეალისტური აღმოჩნდება, როგორც ძველის ანალიზში, ასევე ახლის დაგეგმვაში.

პასუხი ჩვენ პრობლემებზე არის – განვითარება, პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღე და მისი სიძლიერე. მხოლოდ მრავალმხრივად განვითარებულ საზოგადოებებს შეუძლიათ ისეთი სამხედრო სისტემების შექმნა, რომლებიც დამარცხებებსაც გაუძლებენ და შეცდომებზეც ისწავლიან. სწორედ ამიტომ ვერ შეძლო რომელთა დამარცხება ბრწყინვალე ჰანინბალმაც კი. **□**



ქართული ჯარის წვრთნები

ფოტო: კომუნა პუხაძის

სტრატეგია – თავდაცვა

ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან, დავით სიხარულიძესთან

<< ოლქის პარტანიანი



ფოტო: ლევან ხინკაბლაძე

დავით სიხარულიძე

ლიბერალი ბატონო დავით, შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ სამი მთავარი პრობლემა, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში აგვისტოს ომის დროს არსებობდა?

იმ დროს მე არ ვიყავი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, ამიტომ უმჯობესია, ვილაპარაკოთ იმ მიმართულებებზე და პრიორიტეტებზე, რომლებიც დავსახეთ.

ლიბერალი თქვენ ადგენთ ახალ დოქტრინას, ახალ წესებს წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით. შეგიძლიათ, გამოყოთ ის გაკვეთილები, რომლებიც გამოიტანეთ წარსულიდან და ახსნათ, როგორ შეცვალა ამან სტრატეგია?

სამი ძირითადი მიმართულება მიმდინარე და მომავალი წლისთვის, ფიქრობ, უკვე ავირჩიეთ. ეს გახლავთ განათლება, პირადი შემადგენლობის მართვის სისტემის გაუმჯობესება და რესურსების მართვის სისტემის ეტაპობრივი სრულყოფა. ეს არის თავდაცვის პოლიტიკის სამი პრიორიტეტი; ასევე სამი პრიორიტეტი იმ შესაძლებლობების განვითარებისთვის, რომლებიც ჩვენ გვაქვს. ესენია: მართვა და კონტროლი, საჭირო თავდაცვის სისტემა და ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ასეთია სამი ინსტიტუციური და შესაძლებლობების მიმართულებით არჩეული სამი პრიორიტეტი.

ლიბერალი როგორ აფასებთ დღევანდელ სიტუაციას, რა ეტაპზეა ეს სამუშაო?

თავდაცვის დაგეგმვა რთული პროცესია, რომლის დახვეწა უწყვეტად ხდება. ნატო-ს ქვეყნებშიც კი, სადაც ტრადიციაზე დაფუძნებული მალა დონეზე განვითარებული თავდაცვის სისტემაა, მუდმივად მიმდინარეობს სრულყოფის და რეგულირების პროცესი. ასე რომ, მკაფიოდ იმის თქმა, თავში ვართ, შუაში თუ ბოლოში, არ შეიძლება.

ლიბერალი იმ სტრატეგიაში, რომლის გამოქვეყნებასაც უახლოეს პერიოდში აპირებთ, წერია, რომ ორიენტაცია უნდა იყოს მტრის მოკლე დროით შეკავებაზე, ხოლო უფრო ხანგრძლივი დროით შეჩერება დიდ ლეტალურ შედეგებს გამოიწვევს. შეგიძლიათ განმარტოთ, რას ნიშნავს „მტრის მოკლე დროით შეკავების პერიოდი“?

მზადება იმისთვის მიმდინარეობს, რომ რუსეთის ნებისმიერი შეტევის, ღია სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მაქსიმალური ვადით შეაკავოს მონინალმდევე და მაქსიმალური ზარალი მიაყენოს მას. სწორედ ამაზეა ორიენტირებული ჩვენი თავდაცვის დოქტრინა.

ლიბერალი ეს მოკლევადიანი შეკავება ერთ თვეს გულისხმობს, ორ თვეს, თუ წელიწადს?

რაც მეტი, მით უკეთესი.

ლიბერალი შეგიძლიათ აგვიხსნათ, ეს როგორ მოხდება? დაუშვათ, რუსები ახალგორიდან გამოემართნენ, რა ხდება შემდეგ?

ჩვენი შეიარაღებული ძალები შემუშავებული გეგმის მიხედვით ანარმოებენ თავდაცვის ოპერაციებს საქართველოს ტერიტორიის დასაცავად.

ლიბერალი ამის კონკრეტული პროექტი არსებობს?

არსებობს კონკრეტული გეგმა.

ლიბერალი მხოლოდ ერთი?

საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო აგრესიის განხორციელების ბევრი სცენარი არსებობს და, შესაბამისად, ადეკვატური თავდაცვის ოპერაციის ჩატარების სხვადასხვა ვარიანტი. ეს არის ოპერატიული დაგეგმვის საკითხები, რომლებზეც მუშაობს გაერთიანებული შტაბი, ოფიცრები, ბრიგადის შტაბები.

ლიბერალი ამ შესაძლო სცენარში მხოლოდ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან შეტევა განიხილება? ძირითადი მტერი, რომელმაც შეიძლება შემოგვიტოს, მხოლოდ რუსეთია, თუ სხვებიც არიან?

საფრთხეების შეფასების დოკუმენტზე უშიშროების საბჭოში მუშაობენ, ეს უწყებათაშორისი პროცესია, რომელშიც, თავდაცვის გარდა, ბევრი სხვა კომპონენტი მონაწილეობს, მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკური ფაქტორიც. ზოგადად, ამ საფრთხეების შეფასების დოკუმენტში აგრესორად განიხილება რუსეთი. ფაქტია, რომ მათ აქვთ დღეს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორია. რუსეთის აგრესიის გამეორება არ გამოირიცხება.

ლიბერალი ამ მომენტში?

ზოგადად. ზოგადად არ გამოირიცხება, იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მათი სამხედრო კონტინგენცია უკანონოდ განლაგებული. გასულ წელს დამტკიცდა, რომ რუსეთმა შეიძლება განახორციელოს ფართომასშტაბიანი ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ.

ლიბერალი ამერიკელი ექსპერტების ჯგუფმა, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, მოამზადა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ხდება და რა ხდებოდა ომის დროს თავდაცვის სამინისტროში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და გამოავლინეს გარკვეული პრობლემები. მაგალითად: თავდაცვის სამინისტროს მალალი თანამდებობის პირების სუსტი ხელმძღვანელობა, ასევე სტრუქტურული პრობლემები, როცა ზოგჯერ ბრძანებებს იძლეოდნენ ის პირები, რომლებსაც ამის კომპეტენცია არ გააჩნდათ. როგორ აპირებთ ამ პრობლემების გადაწყვეტას?

ამ კონფიდენციალურ დოკუმენტზე მე კომენტარებს და შეფასებებს არ გავაკეთებ.

ლიბერალი ზოგიერთი ნაწილი საჯარო გახდა.

ეს დოკუმენტი ამერიკელების სარდლობამ სპეციალურად ჩვენი თხოვნით მოამზადა. ამოცანა იყო ყურადღების გამახვილება არა ძლიერ მხარეებზე, არამედ იმ სისუსტეებსა და პრობლემებზე, რომლებიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იყო. ჩვენ ძალიან სერიოზულად შევისწავლეთ ეს დოკუმენტი და ეს ძალიან დაგვიხმარა თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და მათ შემდგომ აღსრულებაში.

ლიბერალი თქვენ ფიქრობთ, რომ ამ პრიორიტეტების შესრულების პროცესში იმყოფებით? დიახ.

ლიბერალი მაგალითად, როგორ წყვეტთ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის სუსტი მომზადების პრობლემას და იმას, რომ ადამიანთა ნაწილს არ ესმის, სად მთავრდება და სად იწყება მისი კომპეტენცია?

მე ამ დოკუმენტში ასეთი ფორმულირება არ მახსოვს.

ლიბერალი მე შემიძლია გიჩვენოთ დოკუმენტის ის ნაწილები, რომლებიც გამოქვეყნდა.

ეს დოკუმენტი გამოქვეყნებული არ არის და გამოქვეყნებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, შემიძლია მხოლოდ იმ მასალებზე ვისაუბრო, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის ღიაა. თქვენ ხედავთ, რომ მაქსიმალურად გახსნილია ის ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებსაც ეფუძნება საქართველოს თავდაცვის სისტემა, ზოგადად, თავდაცვის დაგეგმვა. რაც შეეხება ამ კონკრეტულ საკითხს, ეს გახლავთ შიდა სამუშაო, კონფიდენციალური დოკუმენტი და, შესაბამისად, კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ.

ლიბერალი ერთ-ერთი, რაზეც გამუდმებით საუბრობენ ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც, იარაღის შესყიდვის თემაა. როგორ ფიქრობთ, მოცემულ მომენტში რამდენად გამჭვირვალეა ეს საკითხი?

საქართველოს, ისევე, როგორც ყველა ქვეყანას, აქვს ფუნდამენტური – თავდაცვის უფლება და, შესაბამისად, თავდაცვის უზრუნველყოფისთვის მას აქვს უფლება და ვალდებულება, შეიძინოს ის შეიარაღება და ტექნიკა,

რომელსაც საჭიროდ თვლის. საქართველოს შეიარაღებისა და ტექნიკის შექმნა მკაცრად რეგლამენტირებული საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად და სამართლის სრული დაცვით მიმდინარეობს. შესაბამისად, ის ისტერია, რომელიც რუსულ მედიაშია ატეხილი და ზოგიერთი რუსი ოფიციალური პირი ცდილობს, ამ საკითხით ვინმე შეაშინოს, არასერიოზული და აბსოლუტურად არარელევანტურია.

ლიბერალი ომის შემდეგ ძალიან მალე განაცხადეს რუსეთის ოფიციალურმა წრეებმა, რომ ყველა კომპანიას, რომელიც საქართველოს იარაღს მიჰყიდის, რუსეთი სანქციებს დაუნესებს. ამ წლის განმავლობაში რაიმე პრობლემები თუ იგრძენით?

ჩვენ რუსეთისაგან არც ადრე ვყიდულობდით და არც ამჟამად ვყიდულობთ იარაღს. რაც შეეხება იმ განცხადებებს და იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც რუსეთმა მიიღო, ეს ცალმხრივია და არანაირად არ არის სავალდებულო სხვა ქვეყნებისთვის.

ლიბერალი ანუ სხვა ქვეყნებს ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ და იგივე კომპანიები ისეთივე ხალისით აგრძელებენ ჩვენთვის იარაღის მოყიდვას, როგორც ომამდე?

ჩვენ ძალიან ფრთხილად, თანმიმდევრულად და აწონ-დაწონილად ვუდგებით ყველანაირი შეიარაღების შესყიდვას. სანამ რაიმეს ვიყიდვით, განსჯა შეიძლება გრძელდება და მთლიანად მთავრობის დონეზე მიდის.

ლიბერალი ეს მხოლოდ ახლა დაიწყო თუ ადრეც ასე იყო?

ეს ესეა საერთოდ. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი შეიარაღება შევისყიდოთ იმ ქვეყნებისგან, რომლებიც გრძელვადიან ვალდებულებებს აიღებენ მომსახურებასთან, პერსონალის განვრთნასთან და ამ შეიარაღების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ეს ძალიან სერიოზული ვალდებულებები გახლავთ. შესაბამისად, ჩვენ იარაღს მხოლოდ მეტ-ნაკლებად გრძელვადიან პარტნიორებთან ვყიდულობთ.

ლიბერალი ანუ საქართველოს იგივე პარტნიორები ჰყავს, ვინც ომამდე ჰყავდა?

დიახ. თუმცა ვცდილობთ, გავაფართოვოთ მათი სია.

ლიბერალი ანუ თქვენ ამბობთ, რომ რუსული მხარე ამ მხრივ რაიმე წარმატებას ვერ აღწევს?

მე ვფიქრობ, ყველა ჩვენი პარტნიორისთვის გასაგებია საქართველოს პოზიცია და აბსოლუტურად მისაღებია. საქართველოს აქვს უფლება, შეისყიდოს ის შეიარაღების სისტემები, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის.

ლიბერალი ანუ გრძელვადიანი კონტრაქტები გრძელდება?

რა თქმა უნდა.


ლიბერალი როდესაც უცხოეთში კამათობენ, მიჰყიდონ თუ არა საქართველოს იარაღი, ძირითადი განსახილველი საკითხია: შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველომ მომავალში ეს იარაღი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს, მათ შორის – ის იარაღი, რომელსაც ქართული მხარე თავდაცვისთვის უწოდებს. როგორ უხსნით თქვენ პარტნიორებს, მათ შორის პოლიტიკურ დონეზე, რომ ამ იარაღს მხოლოდ თავდაცვისთვის ყიდულობთ?

ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენი სამხედრო დოქტრინა არის თავდაცვითი, შესაბამისად, საჰაერო სისტემის სრული კონტროლი და შესაძლებლობების გაზრდა იმისთვის, რომ უზრუნველყოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, სწორედ ამ პრიორიტეტებში თავსდება. ჩვენი დოქტრინის შესახებ რამდენჯერმე უმაღლეს დონეზეც განვაცხადეთ, ამის შესახებ ილაპარაკა პრეზიდენტმა, მთავრობამ, პარლამენტმა. ეს არის ჩვენი დეკლარირებული პოლიტიკა.

ლიბერალი ანუ ეს დეკლარაცია წარმოადგენს იმის გარანტს, რომ ეს იარაღი არ იქნება მიმართული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ?

ხელახლა გავიმეორო?

ლიბერალი მინდა მოვისმინო „დიახ“.

რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება არასოდეს შეეგუება რუსეთის მიერ საქართველოს განუყოფელი ნაწილების ოკუპაციას, მაგრამ ჩვენ საქართველოს დოკუპაციას მივალწევთ პოლიტიკური მეთოდებით. შეიარაღებული ძალების ამოცანაა, დაიცვას საქართველო კიდევ ერთი შესაძლო აგრესიისგან, რომელიც ამ ეტაპზე არ შეიძლება გამოირიცხოს. 

საზოგადოებრივი აზრის სვლილებები რუსეთ-საქართველოს ომის შედეგ

>> იაბო კატაქტივიზმი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა, რომელმაც ძლიერი ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, თბილისელი ამომრჩევლის განწყობის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია.

ბევრი სოციალური მოვლენის შესახებ საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად იცვლება იმის მიხედვით, თუ რა სიტუაციაში ხდება მათი შეფასება, მაგალითად – ომის წინ, უშუალოდ ომის შემდგომ თუ ომის დამთავრებიდან თვეების შემდეგ. როგორც წესი, სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ჯგუფისთვის ომი ყველაზე ძლიერი წყალგამყოფია.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომელსაც ამ მასალაში გავაანალიზებთ, თბილისში სხვადასხვა დროს: ომის დაწყებამდე, 2008 წლის ივლისში, ომის დამთავრებიდან ძალიან მალე – 2008 წლის სექტემბერში, და ომიდან თვეების გავლის შემდეგ – 2008 წლის დეკემბერში, 2009 წლის მარტსა და მაისში¹ ჩატარდა.

მოსახლეობის პოლიტიკური პრაფერენციები

თბილისის მოსახლეობა, მათი პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით, ოთხ თვისობრივად განსხვავებულ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. თითოეული ჯგუფის სტატუსი და ხვედრითი წილი ასეთია (იხ. ცხრილი №1):

მონაცემების მიხედვით, აგვისტოს ომამდე რეიტინგი მმართველმა პარტიამ

ომის შემდგომ 6 თვის განმავლობაში, 2009 წლის გაზაფხულამდე შეინარჩუნა. აგვისტოს ომს მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ხელისუფლების საზიანოდ არ უმოქმედია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ორგანიზებულად მუშაობს ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) მანქანა, რომელიც ცდილობს, დომინანტური გახადოს ვირტუალური სინამდვილე, შექმნას დამაჯერებელი ილუზია, რომ საქართველო აგვისტოს ომიდან ღირსეულად გამოვიდა. ხელისუფლებას სჭირდება ნამდვილი რეალობის ჩანაცვლება „სიმულაციური“ რეალობით, სადაც ნაგება მოგებად მოინათლება, მარცხი – გამარჯვებად, თავდასხმა – თავდაცვად, ტერიტორიების დაკარგვა – სახელმწიფოებრიობის „არჩამოშლად“.

მარტიდან მმართველი პარტიის რეიტინგი დაღმასვლას იწყებს და მაისის ბოლოს 11%-მდე ჩამოდის.

პარალელურად, მოსახლეობაში ოპოზიციური განწყობა ძლიერდება. 2009 წლის მარტში არასაპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერთა რაოდენობა, 2008 წლის დეკემბერთან შედარებით, მკვეთრად მატულობს და მაისის ბოლოსთვის უმრავლესობას აღწევს, რაც გამოვლინდა კიდევ ამ პერიოდის მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში.

ამ ჯგუფებიდან ყველაზე მეტად ანტი-გონისტურია ხელისუფლების და არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველი – საკითხთა აბსოლუტური უმრავლესობის

მიმართ ისინი საპირისპირო პოზიციებზე დგანან.

ყველაზე მეტად თანამოაზრეობა გამოვლინდა ხელისუფლებისა და საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველთა შორის. სწორედ ამის შედეგია ის, რომ 2009 წლის მარტიდან მოყოლებული რეიტინგი უფუჭდება არასაპარლამენტო ოპოზიციასაც.²

პოლიტიკური პრეფერენციის არმქონეები ოპორტუნისტები არიან: ისინი ხან ხელისუფლების თამაშს „თამაშობენ“, ხანაც – ოპოზიციის.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ჯგუფის დამოუკიდებლობის ხარისხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ისინი ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში მაინც პოულობენ „საერთო ენას“.

ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით თბილისის მოსახლეობის დომინანტურ პოზიციას სწორედ აღნიშნულ ჯგუფებს შორის დაშორების და დაახლოების ხარისხი განსაზღვრავს.

იყო თუ არა საზოგადოება ლოიალური საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამხედრო გზით აღდგენის მიმართ?

როგორც უშუალოდ აგვისტოს ომამდე, ისე ომის შემდეგ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ თბილისის საარჩევნო ასაკის მოსახლეობის უმრავლესობა (70%-მდე) სკეპტიკურად უყურებს საომარი მოქმედებების გამოყენებას აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის დასაბრუნებლად. ომის გზით პრობლემების მოგვარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ყოველი მეორე რესპონდენტი (იხ. დიაგრამა №1):



საზოგადოების ასეთი ანტიმილიტარისტული განწყობის მიუხედავად, მაინც უნდა ითქვას, რომ საქმე გვაქვს არა ფუნდამენტურ მშვიდობის მოყვარეობასთან, არამედ ე.წ. „პრაგმატულ

სხრილი №1

	თბილისელ ამომრჩეველთა აზრზე პოლიტიკური სივარძლის მიხედვით	2008 წლის ივლისი (%)	2008 წლის სექტემბერი (%)	2008 წლის დეკემბერი (%)	2008 წლის მარტი (%)	2008 წლის მაისი (%)
1	ხელისუფლების (ნაციონალური მოძრაობის) ამომრჩეველი	26.6	26.0	25.3	16.8	10.8
2	არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველი	35.4	31.2	31.1	48.6	51.8
3	საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველი	10.6	7.6	15.1	7.8	5.9
4	ისინი, ვისაც უჭირთ, დასახელონ რომელიმე რეალური პოლიტიკური კლასი	27.4	35.1	28.5	26.8	31.5

¹ გამოკითხვები ჩატარდა „სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA)“. შერჩევის მოცულობა ყველა გამოკითხვაში შეადგენს 700-იდან 800-მდე რესპონდენტს, რაც რეპრეზენტატულ მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა 3%-იანი ცდომილების ფარგლებში. ინფორმაციის მოპოვების მეთოდი პირისპირ ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა ოჯახებში მისვლით, საარჩევნო ასაკს მქონე თბილისელებში. ² უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო ოპოზიციის ნიშანს, პრაქტიკულად, ფარავს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. სხვა ოპოზიციურ ძალებს პარლამენტში თითქმის ნულური რეიტინგი აქვთ.

პოლიტიკური პრეზერენციის არემონეები ოპორტუნისტები არიან: ისინი ხან ხელისუფლების თავაშს „თავაშობენ“, ხანაც – ოპოზიციის.



ხირილი №2

რომელ მოსაზრებას ეთანხმდებით?	2008 წლის სექტემბერი (%)
საპარტოვალ რუსათის მირა ღაბაგილ პარტოვალსაზა ნამოვბი	35
რუსათი ყვლა ზომადმეაზი ბანახორიულდმა სახმართო აბარისის საპარტოვალს წინაღობა	47
საპარტოვალს ხელისუფლას თამად ჰართო ბაღმადმეაზი ომის ღაბაგილ და აბიხტოსის ზამაშარისი ღრო მონასა	13
მითრს პასუხის ზამება	6

პაციფიზმთან: მოქალაქეები საომარ ოპერაციებს მხარს არ უჭერენ, რადგან გაცნობიერებული აქვთ ამ ოპერაციების უპერსპექტივობა ისეთი მონინალმდვის პირისპირ, როგორც რუსეთია. რაციონალური პრამატიზმი ქართველებმა საუკუნების განმავლობაში გამოიმუშავეს და, როცა ამის საჭიროება

იყო, „ჩათრევის ჩაყოლას ამჯობინებდნენ“. საზოგადოების დამოკიდებულება, საომარი მოქმედებების მიმდებლობის თვალსაზრისით, პრაქტიკულად არ შეცვლილა 2008 წლის ივლისსა და სექტემბერში, იმის მიუხედავად, რომ ამ პერიოდმა აგვისტოს ომის მტკივნეულ „ფილტრში“ გაიარა. სამხედრო უპერსპექტივობის „ცოცხალი“ გამოცდილება საქართველომ 1993 წლის აფხაზეთის ომში მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ, რუსეთი ღია აგრესიის სანარმოებლად ვერ იყენებდა აფხაზეთში საკუთარი მოქალაქეების დაცვის არგუმენტს და გაცილებით ხელფეხშეკრული იყო.

ენ. პრამატიული პაციფიზმი არ აღმოჩნდა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას.

ავიხტოს ომის ზომადი ზომადმა

როგორ აღიქვს რუსეთ-საქართველოს ომი თბილისელებმა – პირველ რიგში, როგორც: ა) რუსეთის მიერ დაგეგმილ პროვოკაციაზე საქართველოს ნამოვბა; ბ) რუსეთის უპირობო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ („რუსეთი ყველა შემთხვევაში განახორციელებდა აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ“) თუ გ) საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა ომის დასაწყებად?

2008 წლის სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, თბილისელთა ყველაზე დიდი ნაწილი (47%) მიიჩნევს, რომ რუსეთი ყველა შემთხვევაში განახორციელებდა აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ. მოსაზრებას, რომ საქართველო რუსეთის მიერ დაგეგმილ პროვოკაციაზე ნამოვბო, იზარებს გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (35%). მესამე (გ) მოსაზრებას ყველაზე ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს (იხ. ცხრილი №2).

იცვლება თუ არა სურათი ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფში?

1. ხელისუფლების ამომრჩეველებში მნიშვნელოვნად იზრდება და გამოკვეთილ უმრავლესობას (63%-ს) აღწევს მოსაზრება, რომ რუსეთის აგრესია ყველა შემთხვევაში გარდაუვალი იყო.
2. არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველებში აქცენტები არსებითად გადანაცვლებულია და აქ უფრო იმ მოსაზრებას ენიჭება უპირატესობა, რომ საქართველო რუსეთის მიერ დაგეგმილ პროვოკაციაზე ნამოვბო (41%).
3. საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველები ამ საკითხში ხელისუფლების ამომრჩეველებს ეთანხმებიან და რუსეთის უპირობო აგრესიის აღიარებისკენ იხრებიან (48%).

ბავიარჯვით თუ ღავმარცხლით?

2008 წლის სექტემბერში, ომის დამთავრებიდან 1 თვეში თბილისელთა გამოკითხვა აჩვენებს მოულოდნელ შედეგს: 28% თვლის, რომ ომით გამოწვეული დანაკარგების მიუხედავად, საქართველო ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა; უმრავლესობა (61%) საპირისპირო პოზიციაზეა, ხოლო 11%-ს ვერ გაურკვევია, აგვისტოს ომმა გამარჯვება მოგვცა თუ მარცხი.

ასეთ არადეკვატურ დამოკიდებულებას თბილისელთა თითქმის 40%-ში სხვადასხვა წყარო ასაზრდოებს: ა) ნარუმბებელი სამხედრო ოპერაციებიდან გამომდინარე, ფრუსტრაციები აუცილებლად ითხოვს მორალურ კომპენსაციას, ვინაიდან პირდაპირ „ურტყამს“ ნაციონალურ თავმოყვარეობას. ადამიანთა გარკვეული ნაწილი გულწრფელად იჯერებს, რომ გამარჯვება არა ომის კონკრეტულ კონტექსტში, არამედ საღლაც სხვაგან, საქართველოს წარსულ დიდებაში ან, სულაც, მომავლის პერსპექტივაში დევს. ბ) მუშაობს პროპაგანდისტული მანქანა – ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს გადაფაროს ომის კვალი: „ცოცხალი ჯავის“ ორგანიზებიდან დაწყებული, იმით დამთავრებული, რომ უკეთესია, როდესაც რუსეთი აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ვინაიდან ასე უფრო შიშვლდება მისი აგრესია და უფრო ახლოვდება ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივა.

2008 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვა უკვე აჩვენებს, რომ თბილისელ ამომრჩეველებში ომში გამარჯვების ილუზია 28%-იდან მხოლოდ 8%-ს შემორჩა

როგორ პასუხობს 2008 წლის დეკემბრისთვის უკვე ტრანსფორმირებულ განწყობებს ხელისუფლება? ის იძულებული ხდება, შეცვალოს გამარჯვების, რბოლად რომ ვთქვათ, არადეკვატური გზავნილი და წინა პლანზე წამოსწიოს ნაკლებად ხისტი, თუმცა, კვლავ ომის უმძიმეს შედეგებზე საკუთარი პასუხისმგებლობის უარყოფილი განცხადება, რომ „ომი ჯერ არ დამთავრებულა, ის გრძელდება და შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა“.

ამ საკითხთან მიმართებაში პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულებებია სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ჯგუფებში. 2008 წლის სექტემბრის გამოკითხვის შედეგად:

- ხელისუფლების მხარდამჭერთა უმრავლესობა (57%) მიიჩნევს, რომ საქართველომ აგვისტოს ომში გამარჯვება;
- არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველთა 75% ემხრობა მოსაზრებას, რომ საქართველო ამ ომიდან დამარცხებული გამოვიდა; ეს პოზიცია

ნამყვანია პოლიტიკური პრეფერენციის არმქონეთა შორისაც (72%);

■ საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლებში იკლებს ომში დამარცხების აღიარება (56%) და ყოველი მესამე (34%) აღნიშნავს, რომ საქართველო ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა.

ომის შედეგად გართულდა თუ გაიწვია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

ამ საკითხთან დაკავშირებით 2008 წლის სექტემბრის გამოკითხვის შედეგები ასეთია:



მართალია, თბილისელთა გამოკვეთილი უმრავლესობა – 65% – თანხმდება იმაზე, რომ აგვისტოს ომის შედეგები კიდევ უფრო გართულებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, თუმცა, ყურადღებას იპყრობს ოპტიმისტთა 26%-იანი ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის უკეთესი პირობები შეიქმნა. ეს ისევ ის ჯგუფია, რომელიც ომში საქართველოს გამარჯვებას იჯერებს. ისიც ლოგიკურია, რომ ამ ჯგუფის წევრები, როგორც ნეი, ხელი-სუფლების ამომრჩევლები არიან – მათგან თითქმის ყოველი მეორე (48%) დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას იმედინად უყურებს. არც ისაა გასაკვირი, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ყველაზე სკეპტიკურად განწყობილები არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები არიან.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები მოცემულია დიაგრამაზე №2.

რაც შეეხება თბილისელთა მოლოდინს, თუ კონკრეტულად როდის დაბრუნდება სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში, ამ საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტთა პოზიციები გაყოფილია: ერთი, ყველაზე ოპტიმისტური, ნაწილი (20%) 2008 წლის სექტემბერში ფიქრობდა, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მომავალი 4 წლის განმავლობაშია შესაძლებელი; არსებობდნენ ზომიერი ოპტიმისტები (23%), რომლებიც ტერიტორიების დაბრუნებას 10-წლიან პერიოდში ელოდებიან; თუმცა, ყველაზე მრავალრიცხოვანი მაინც პესიმისტურად განწყობილი თბილისელებია (42%), რომლებიც ფიქრობენ, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შემოერთებას, უკეთეს შემთხვევაში, ათეულობით წლები დასჭირდება, ხოლო, უარეს შემთხვევაში, ამ ტერიტორიებს ვეღარასოდეს დავიბრუნებთ (იხ. დიაგრამა №3).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ხელისუფლების ამომრჩევლები ყველაზე ოპტიმისტურად არიან განწყობილნი დაკარგული

ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით – 56% ელოდება, რომ სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს უახლოესი 10 წლის პერიოდში დავიბრუნებთ. შესაბამისად, ამ ჯგუფში ყველაზე მცირე ნაწილი (10%) ფიქრობს, რომ ეს ტერიტორიები საბოლოოდ დაკარგეთ. საკმაოდ იმედინად გამოიყურებიან, აგრეთვე, საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები – მათი უმრავლესობა (55%) დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას უახლოესი 10 წლის პერიოდში მოელოს. ოპტიმისტებსა და პესიმისტებს შორის ბალანსი, პესიმისტების სასარგებლოდ, ყველაზე მკვეთრად დარღვეულია არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩე-






ომმა ნატო-ში ინტეგრაციის პოლიტიკური ღირებულებების გადაფასება გამოიწვია. 2009 წლის მარტში ეს პოლიტიკური პროექტი თმობს უპირატესობას.

ლებში – მათი 51% თვლის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოერთებას ან ათეულობით წლები დასჭირდება, ან ეს ტერიტორიები საბოლოოდ დაიკარგა, ხოლო 39%-ს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედი უახლოეს 10-წლიან პერიოდში აქვს.

მიხეილ სააკაშვილის ქმედებები შეფასება მთავარი და ომის შედეგად

აგვისტოს ომმა სააკაშვილის ქმედებების მიმართ თბილისელთა შეფასება პოზიტიური მიმართულებით წაიყვანა. თუ საომარი მოქმედებების დაწყებამდე პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებები, პრინციპში, გაყოფილია, საომარი მოქმედებების კონტექსტში სააკაშვილის ქმედებების უფრო მეტი მხარდამჭერი უჩნდება და პოზიტიურ შეფასებებს უკვე უმრავლესობა გამოთქვამს. ეს ადვილად აიხსნება: რუსული აგრესიის საყოველთაო მიუღებლობის ფონზე, მოსახლეობის მეტ-ნაკლებ სიმპათიას იმსახურებს ყველა, ვინც ამ აგრესიას ამკარად დაუპირისპირდა – მათ შორის, ცხადია, სააკაშვილიც. რუსული ოკუპაცია იმდენად მოულოდნელი და შეურაცხყოფელი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის, რომ ამან გამოიწვია საზოგადოების ინტეგრირებულობის და სოლიდარობის ხარისხის მნიშვნელოვანი გაზრდა სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების (მათ შორის, სახელისუფლო) გარშემო. ამომრჩევლებმა, აგვისტოს ომის შემდგომ პირველ თვეებში, ვერ მოასწრეს კრიტიკული მზერის გადანაცვლება გარედან შიგნით, საერთო მტრის ხატის იდეამ გადაფარა ხელისუფლების ქმედებების საზოგადოებრივი კონტროლი. ამას ხელი თავად ხელისუფლების პროპაგანდამაც შეუწყო, როდესაც მთლიანად საქართველო (და, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლება) უალტერნატივო რუსული ოკუპაციის მსხვერპლად გამოცხადდა.

საინტერესოა, რომ 2008 წლის შემოდგომაზე (განსაკუთრებით, სექტემბერში) სააკაშვილის საქმიანობის შეფასების პოზიტიური ტრანსფორმაცია ხელშესახებია არა იმდენად ხელისუფლების (მათი შეფასებები სტაბილურად დადებითია ომისაგან დამოუკიდებლად), არამედ ოპოზიციის (როგორც არასაპარლამენტო, ისე საპარლამენტო) ამომრჩევლებში – პროსახელისუფლო „გადახრები“ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის დიდ ნაწილს „აუთენტურობას“ აკარგვინებს და სააკაშვილის დამცველთა რიგებში აყენებს. თუ აგვისტოს ომამდე არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები 66% სააკაშვილის მოღვაწეობას უარყოფითი შეფასების



ველში აქცევს, აგვისტოს ომის შემდგომ, პირველ ხანებში, უარყოფითად შემფასებელთა ხვედრითი წილი ამ ჯგუფში 51%-მდე ეცემა.

თუმცა, უკვე 2009 წლის მარტისთვის ვითარება რადიკალურად იცვლება: თბილისელთა უმრავლესობა სააკაშვილის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს. უარყოფითი შეფასების „ლომის წილს“ განაპირობებს, აგვისტოს ომში ჩართვის და მისი წაგების გამო, ხელისუფლებაზე დაკისრებული პასუხისმგებლობა.

სააკაშვილის საქმიანობის შეფასების

ტრანსფორმაციები დეტალურად ჩანს ღიაგრაფაზე №4.

სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის, მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესუსტება კარგად ჩანს, აგრეთვე, მის მიმართ თბილისელთა მიერ გამოხატული ნდობის ცვლილების კონტექსტშიც 2008 წლის ივლისიდან 2009 წლის ივნისამდე. 2008 წლის როგორც ივლისის, ისე სექტემბრის მონაცემებით სააკაშვილი თბილისელი ამომრჩევლების ნდობის ველში ექცევა. 2008 წლის დეკემბერში ის უკვე უნდობლობის ველში გადაინაცვლებს.

სააკაშვილის მიმართ გამოხატული ნდობის მაჩვენებლები, სხვადასხვა ეტაპზე, მოცემულია ღიაგრაფაზე №5

შეინიშნა: ნდობა ფასდება 10-ქულიან სკალაზე (-5-დან +5-მდე), სადაც „-5“ აღნიშნავდა სრულ უნდობლობას, ხოლო „+5“ სრულ ნდობას; ღიაგრაფაზე მოცემულია ნდობის საშუალო მონაცემები, სადაც ნეიტრალური მაჩვენებელია „0“ ქულა. „0“-ზე ნაკლები აღნიშნავს უნდობლობის ველს, ხოლო „0“-ზე მეტი – ნდობის ველს.

კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს თბილისელთა დამოკიდებულების მნიშვნელოვან ცვლილებას, უკავშირდება ისეთ რადიკალურ პოლიტიკურ პროექტს, როგორიცაა სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.

2008 წლის სექტემბერში ამ პოლიტიკურ პროექტს მხარს უჭერდა თბილისელთა 23%, ხოლო ეწინააღმდეგებოდა – 65%. მამასადამე, იმ დროისათვის, თბილისელებს არ ჰქონდათ სააკაშვილის ხელისუფლების, თუნდაც ვადამდელი არჩევნების გზით, შეცვლის მზაობა და სკეპტიკურად არ უყურებდნენ სააკაშვილის ძალაუფლებას. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური ძალისხმევა, რომელიც მიმართული იქნებოდა არსებული ხელისუფლების ვადამდე შეცვლისაკენ, თბილისელი ამომრჩევლების მხრიდან სერიოზულ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა.

2009 წლის მარტისთვის ვითარება ამ მიმართულებითაც რადიკალურად შეიცვალა: სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას მხარს უჭერს უკვე ყოველი მეორე საარჩევნო ასაკის მქონე თბილისელი. იგივე დამოკიდებულება ნარჩუნდება მაისშიც. (იხ. ღიაგრაფა №6).

საბარაქო-პოლიტიკური ორიენტაციები

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც რადიკალური გავლენა იქონია აგვისტოს ომმა, საქართველოს საგარეო ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებაა. ბოლო, სულ მცირე, 15

წელიწადი საქართველოს საზოგადოებაში მიზანმიმართულად და შედეგადად შენდებოდა პოლიტიკა, რომელიც ყველაზე სასურველ საგარეო ორიენტაციად საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას მიიჩნევს. რუსეთ-საქართველოს ომამდე, საზოგადოებრივი აზრი საქართველოში წარმატებით მოერგო ამ საგარეო პერსპექტივას, რასაც 2008 წლის აგვისტომდე ჩატარებული ყველა გამოკითხვა ადასტურებს.

თუმცა, ომმა ნატო-ში ინტეგრაციის პოლიტიკური ღირებულების გადაფასება გამოიწვია. პირველი სერიოზული ბზარი ნატო-სკენ სწრაფვას უკვე 2008 წლის სექტემბერში უჩნდება, რომელიც სულ უფრო ღრმავდება და 2009 წლის მარტში ეს პოლიტიკური პროექტი თმობს უპირატესობას. პირველად სწორედ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ნატო-ში ინტეგრაციას გაუჩნდა კონკურენტუნარიანი ალტერნატიული სტანდარტი საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის შენარჩუნების სახით. ნატო-სგან „გამოთავისუფლებული ენერჯია“ არ მოხმარდა არც ევროკავშირში შესვლის და არც რუსეთთან მოკავშირეობის მხარდაჭერას. თუმცა, რუსულმა „ჩქემაშ“ თავისი ნაყოფი მაინც გამოიღო – ნატო-ში ინტეგრაციას საზოგადოებრივი აზრი აღარ განიხილავს პრიორიტეტულ სტრატეგიად.

ღიაგრაფა №7 კარგად აჩვენებს, თუ როგორ კარგავს ნატო-ში ინტეგრაციის პროექტი მხარდაჭერას თბილისელ ამომრჩევლებში.

* * *

თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირებამ შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია თბილისელ ამომრჩეველთა დამოკიდებულებებსა და განწყობებში:

- გაძლიერდა შეურიგებელი ოპოზიციური განწყობები (შესაბამისად, გაიზარდა არასაპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მიმართ მხარდაჭერა);
- პრეზიდენტის პოსტზე მიხილ სააკაშვილის საქმიანობის შეფასება ძნელად, მაგრამ მაინც გადავიდა უარყოფით განზომილებაში. შესაბამისად, სააკაშვილის მიმართ ნდობაც ნეგატიურ ველში მოექცა მზარდი ტენდენციით;
- საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ღირებულებამ დევალივაცია განიცადა და გაჩნდა ალტერნატიული პოლიტიკური სტანდარტი – „ნეიტრალიტეტის შენარჩუნება“.

2010 წელი. პარლამენტული არჩევნები. დუბლი მისამდე.

>> თამარ ქაროსანიძე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

რამდენიმე თვითანი საპროტესტო აქციების შემდეგ პრეზიდენტმა ოპოზიციის მოთხოვნა გაითვალისწინა და პარლამენტს ვადამდელი არჩევნების ჩატარება შესთავაზა, ოღონდ მცირე კორექტირებით – მოთხოვნილი საპრეზიდენტო არჩევნების ნაცვლად, მან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო.

მომავალი წლის 30 მაისის ვადამდელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პოსტრეგულაციურ საქართველოში ვადამდელი არჩევნების სრული ციკლი შეიკვრება – რეგულაციიდან შვიდი წლის თავზე ყველა სახის ვადამდელი არჩევნები გვექნება ჩატარებული.

ვადამდელი არჩევნების მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, დღემდე არ გვექონია არჩევნები, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებას გააჯანსაღებდა და ხელისუფლებასა და ოპოზიციას უფრო კონსტრუქციული დაპირისპირების რეჟიმში გადაიყვანდა.

ახლაც რთული სათქმელია, რამდენად შეცვლის არსებულ ვითარებას ხუთი თვით ვადამდელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, თუმცა, ერთი რამ ცხადია – ის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას გამოკვეთს. გარდა ამისა, ოპოზიციურ პარტიებს კიდევ ერთხელ უბიძგებს, რომ რეგიონებში, სადაც მათ საქმიანობას ნაკლებად იცნობენ, უფრო გააქტიურდნენ – არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოლონ და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური კონკურენცია გაზარდონ. და ბოლოს, ის, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები, მოგვეცემს საშუალებას შევაფასოთ, რამდენად რეალურია დემოკრატიის ახალი ტალღა.

გასული თვის საპარლამენტო გამოსვლის დასასრულს პრეზიდენტმა თქვა, რომ პრობლემებზე ღიად უნდა ვილაპარაკოთ, უნდა მოვიტხოვოთ, გავაკრიტიკოთ და დემოკრატია ერთად ვაშენოთ. უკვე თვეზე მეტია, ოპოზიციის წარმომადგენლები ბოლო პერიოდში მათი თანაპარტიელების დაკავებისა და

დაპატიმრების ფაქტების ობიექტურ და გამჭვირვალე გამოძიებას ითხოვენ. თითქმის ერთი კვირაა, გამჭვირვალობას ითხოვენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც. მათი მოთხოვნა პირველი არხის გენერალური დირექტორის დანიშვნის პროცესის საჯაროობაა. ამ ორი მოთხოვნის შესრულება, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფასთანაც არის პირდაპირ კავშირში. არჩევნების სამართლიანობისთვის საჭიროა დამატებითი მოვითხოვოთ, რომ:

■ ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ასევე გამჭვირვალე პროცედურების საფუძველზე, მიუკერძოებლობის და არა პარტიული პრინციპით დაკომპლექტდეს. კანდიდატების შემრჩევმა კომისიამ გასაუბრებელი ღიად ჩაატაროს და ამ კომისიამ და პარლამენტმა საზოგადოებას განუმარტონ, თუ რა კრიტერიუმებით შეარჩიეს ფინალისტები; ასევე, გაიზარდოს ცესკოს საქმიანობის გამჭვირვალობა.

■ პოლიტიკური მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით და კერძოდ, რაიონული გამგებლებისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების ჩარევის გარეშე დაკომპლექტდეს ქვედა დონის საარჩევნო კომისიებიც.

■ ამომრჩეველთა სიაში გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნები საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების გვარების გასწვრივ, რათა შეიზღუდოს მათ ნაცვლად სხვის მიერ ხმის მიცემის შესაძლებლობა. გაიზარდოს ამომრჩეველთა სიების ფორმირების და მათში არსებული ხარვეზების გასწვრივ გამჭვირვალობა.

■ შეიზღუდოს წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. გაივლოს მკაფიო ზღვარი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებულ ღონისძიებებსა და მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის ინიციატივებს შორის. გამკაცრდეს წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოსამსახურეებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების მონაწილეობაზე დაწესებული შეზღუდვები.

■ გაიზარდოს წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების გამჭვირვალობა. ფინანსური მონიტორინგი განხორციელდეს საერთაშორისო აუდიტორული სტანდარტების დაცვით და დაზუსტდეს დარღვევების შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქციები. დაწესდეს ზედა ზღვარი კამპანიის ფონდების მთლიან მოცულობაზე (საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ საარჩევნო კამპანიაზე 23 მლნ ლარი დახარჯა, ხოლო გაერთიანებულმა ოპოზიციამ – 700 000).

■ კანონით დარეგულირდეს პოლიტიკური რეკლამის ფასები, რათა აღარ განმეორდეს 2008 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პრაქტიკა, როცა კერძო, ნაციონალურ ტელეარხებზე პოლიტიკური რეკლამის ფასი ჩვეულებრივი რეკლამის ფასს ათჯერ აღემატებოდა.

■ გამარტივდეს კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცედურები. მარკირება ჩატარდეს ყველა საარჩევნო უბანში, მარკირების ერთნაირი სითხის გამოყენებით და იმის გარანტიით, რომ სითხის მოშორება არჩევნების დღეს შეუძლებელი იყოს.

■ კანონით დადგინდეს საარჩევნო უბნებში ვიდეოთვალის ჩანაწერების საჯაროობა და მათი გარკვეული დროით შენახვის აუცილებლობა.

■ დაიხვეწოს (გამარტივდეს) არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენის პროცედურები და უზრუნველყონ საჩივრების მიუკერძოებელი და საფუძვლიანი განხილვა.

■ მკაცრად დაისაჯოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის და ამომრჩევლებზე, საარჩევნო კომისიებსა და პოლიტიკურ პარტიებზე ძალადობის, ასევე, საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისთვის ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვის თითოეული შემთხვევა.

■ პრეზიდენტის განცხადების შესაბამისად შეიცვალოს ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული არჩევნების არსებული სისტემა და დაკანონდეს მერებისა და გამგებლების პირდაპირი გზით არჩევა.

მოვიტხოვოთ. ველით ხელისუფლების პასუხს. **■**



მსინაული: ომიდან ერთი წლის შემდეგ

აღიარებული პროტექტორატი

რუსეთის მიერ სამხრეთი ოსეთის
აღიარებულან ერთი წლის თავზე რეგიონის
მომავალი ისევ ბუნდოვანია.

ვალერი კუცავი



ფოტო REUTERS / სპობი აბაშაიანი



გასული წლის აგვისტოში, კონფლიქტის დანყების შემდეგაც კი, ცოტა ვინმეს სჯეროდა, რომ რუსეთი სამხრეთი ოსეთის აღიარებაზე წავიდოდა.

წლების მანძილზე რუსეთი სამხრეთ ოსეთს კავკასიაში საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა. სამხრეთ ოსეთმა სატყუარას ეს როლი ისე შეისისხლხორცა, რომ თვით ყველაზე განაფულ დამკვირვებლებსაც კი აღარ ესახებოდათ ამ რეგიონისთვის სხვა ამბულა. თუმცა, ვერც აღიარებამ და ვერც იმ ფაქტმა, რომ აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რეგიონის მომავალს მეტი სიცხადე ვერ შესძინა.

თუკი სამხრეთ ოსეთს სურს, მართლაც დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს, და არა რუსეთის ტერიტორიის გაგრძელება, მაშინ ის მრავალი რთულად გადასაჭრელი პრობლემის წინაშე დადგება.

40 ათასზე ნაკლები მოსახლეობით და უახლოეს მომავალში ამ რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდის პერსპექტივის გარეშე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ცხინვალმა ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოახერხოს. ჩაკეტილი საზღვარი და საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობა კიდევ უფრო ზღუდავს ამ რეგიონის ეკონომიკური განვითარების შანსს. რუსეთის გარდა, ყველა სხვა სახელმწიფოსგან არაღიარებული რეგიონის დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირის პერსპექტივაც თითქმის ნულია.

ეს არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო იზოლაციის გამო სამხრეთი ოსეთი დაღუპვისთვის განწირულია: უბრალოდ, მისი რეალური დამოუკიდებლობის პერსპექტივაა მოკრძალებული. მას მხოლოდ რუსეთის ნაწილად დარჩენა შეეძლება, ისიც მხოლოდ დე ფაქტოდ.

საქმე ისაა, რომ რუსეთი ვერ მისცემს თავს უფლებას, ეს ტერიტორია ღიად მიიერთოს. მას ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, ძვირი დაუჯდეს, დივიდენდები კი ამ ფასთან შეუსაბამო აღმოჩნდეს.

ასე რომ, სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოფიციალური სტატუსი კი მიიღო, მაგრამ მისი ტერიტორიის რეალური სტატუსი უცვლელია.

სამხრეთი ოსეთის რუსეთის პროტექტორატობიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნის მცირე ალბათობა საქართველოსთვის არაფერს ნიშნავს. თბილისი-მოსკოვის დიალოგი ამ თემაზე ისევე ნაკლებად სავარაუდოა, როგორც თბილისი-ცხინვალის. შეიძლება, თბილისისთვის უფრო იოლიც კი იყოს დამოუკიდებელ ოსეთთან საქმის დაჭერა, ვიდრე რუსეთის პროტექტორატთან.

რუსეთის სამხრეთი ოსეთისადმი დამოკიდებულება რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ ასპექტს შეიცავს. ერთი მხრივ, რუსეთი დაინტერესებული უნდა იყოს, დაანახოს მეზობელ საქართველოს, რომ მოსკოვის მფარველობის ქვეშ სამხრეთი ოსეთი აყვავებულია.

საამისოდ კი დიდი ფული უნდა გაილოს. თუმცა, აგვისტოს ომიდან ერთი წლის თავზე ცხინვალი ისევ დანგრეულია. მოსკოვი რესპუბლიკის აღდგენას არ ჩქარობს.

იქნებ იმიტომ, რომ კრემლი ამ რეგიონში კიდევ ერთ ომს გეგმავს, რათა ბოლოს და ბოლოს ჩამოაგდოს პრეზიდენტი სააკაშვილი? სავსებით დასაშვებია, რომ რუსეთს არ სურს ზედმეტი ხარჯი გასწიოს და ალადგინოს ის, რისი დანგრევაც თავიდან მოუწევს. თუმცა, თუ რუსეთში კორუფციის დონეს გავითვალისწინებთ, ეს არგუმენტი ნაკლებად სარწმუნოა. მოსკოველი ჩინოვნიკები ომის გარდაუვალობაში დარწმუნებულები რომ იყვნენ, პირიქით, თანხების გამოყოფაზე უფრო იზრუნებდნენ, რადგან ომის შემთხვევაში, ფულის მოპარვა გაუადვილებოდათ.

არსებობს სხვა მიზეზებიც, რომელთა გამო, მოსკოვს არცთუ ისე აძლევს ხელს სამხრეთი ოსეთის განსაკუთრებული კეთილდღეობა. ეს მიზეზები რუსეთის შიდა საქმეებში იმალება, უპირველეს ყოვლისა – ჩრდილოეთ კავკასიაში.

შარშანდელ ომამდე ედუარდ კოკოითი ამტკიცებდა, რომ სამხრეთ ოსეთს რუსეთთან შეერთება სურს. ნათელია, კოკოითი რასაც გულისხმობდა – შეერთებას ჩრდილოეთ ოსეთთან, რომელიც რუსეთის შემადგენლობაშია. თუ რუსეთი ცხინვალს აალორძინებს და ფეხზე დააყენებს, მაშინ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ჩრდილოეთ ოსეთს თავად მოუწოდეს სამხრეთთან მიერთება და არა – პირიქით.

მოსკოვს ასეთი, თუნდაც თეორიული პერსპექტივაც კი აშინებს. მან უკვე იწვინა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემები. თავის სამხრეთ საზღვრებთან დამოუკიდებელი, აყვავებული, დემოკრატიული სახელმწიფო რუსეთს არათუ არ სჭირდება, არამედ საფრთხესაც კი უქმნის მის ნახევრადკოლონიურ მართვის სტილს ჩრდილოეთ კავკასიაში.

ასე რომ, სამხრეთ ოსეთს, ჩრდილო კავკასიის რეგიონების მსგავსად, სუსტად განვითარებული რეგიონის ბედი ელის, თუმცა კიდევ უფრო ნაკლები რესურსებით. ეს არც ისე ცუდია სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებისთვის, რადგან ეკონომიკურად შეჭირვებული რეგიონიდან მოსახლეობის გადინება ავტომატურად გაზრდის რუსეთისგან გამოყოფილი სახსრების ნარჩენებს.



რუსი ჯარისკაცები სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე, 30 აგვისტო 2008

ფოტო: REUTERS / სარკინი სარაუნდენი

**მოსკოვი სამხრეთი
ოსეთის აღდგენას
არ ჩქარობს. იქნებ
იმიტომ, რომ ქრავლი
ამ რეგიონში კიღავ
ერთ ომს გეგმავს, რათა
ბოლოს და ბოლოს
ჩამოაგდოს პრეზიდენტი
სააკაშვილი? სავსებით
დასაშვებია, რომ
რუსეთს არ სურს
ზადვები ხარჯი
განსროს და აღადგინოს
ის, რისი დანაკარგია
თავიდან მოუწავს.**

ფოტო REUTERS / დენის სინიაკოვი



ქეფუარდ კოკოთი, 21 აპრილი 2008

სამხრეთ ოსეთს, რომელიც მთლიანად მოსკოვიდან შემოსულ ფულზეა დამოკიდებული, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არ სჭირდება. პირიქით - რაც ნაკლები მოსახლეობა იქნება, მით მეტი ფული დარჩება პირადი სარგებლობისთვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

ეს სიტუაცია ჩიხში აქცევს სამხრეთ ოსეთსაც და თავად რუსეთსაც. რუსეთი სამხრეთი ოსეთის გალატაკებას და გაუკაცრიელებას მხოლოდ რესპუბლიკაში არსებულ კორუფციას ვერ დააბრალდებს. ამიტომ უახლოეს მომავალში კრემლი ეცდება, აქტიურად ჩაერიოს რესპუბლიკის შიდა საქმეებში, მათ შორის - საკადრო გადანაცვებებებში, რათა რეგიონი ზედმეტად არც გაღარიბდეს და არც აღორძინდეს.

თუმცა, რუსეთის ჩარევას, შესაძლოა, ცხინვალში დაბრკოლებები შეეექმნას. რუსეთზე სრული ეკონომიკური და სამხედრო დამოკიდებულების მიუხედავად, სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობა ძალაუფლებისა და ფულის მიმართ ისეთ მადას ავლენს, რომ თანხების საკუთარი ჭკუით განკარგვის უფლებას იქ კბილებით დაიცავენ.

მაგალითად, პრემიერ ასლანბეკ ბუღაძეც, რომელიც მოსკოვის პროტყე იყო, რესპუბლიკაში მუშაობის საშუალება არ მისცეს და მთავრობა დღემდე

უმეთაუროდაა. მოსკოვსა და ცხინვალს შორის უთანხმოება ცხინვალში ოპოზიციის გაჩენის მიზეზი გახდა. ახლად გამოჩენილი ოპოზიციის მოსკოვს აფარებს თავს და ომის შემდეგ კოკოთის რეჟიმის მკაცრი კრიტიკოსია. ამ უთანხმოების გამო, მოსკოვმა სამხრეთ ოსეთს სრულიად შეგნებულად „შიმშილობა“ მოუწყო - რამდენიმე თვის განმავლობაში ჩინოვნიკებიც კი ვერ იღებდნენ ხელფასს.

მოსკოვისა და კოკოთის დაპირისპირების მძევალი სამხრეთი ოსეთის მოსახლეობა აღმოჩნდა, რომელმაც მთელი წელი ომისშემდგომ არეულობაში გაატარა. არადა, დანგრეული სახლების აღდგენა საკმაოდ მოკლე დროში შეიძლებოდა. არც კოკოთის და არც მოსკოვს თავიანთი დაპირისპირების აფიშირება არ სურთ, რაც სამხრეთ ოსეთში არსებული პრობლემის ხანგრძლივი დროით დაკონსერვებას ნიშნავს.

საეჭვოა, სიტუაცია არსებითად შეიცვალოს, ვიდრე კრემლშიც და ცხინვალშიც ყველასთვის კარგად ნაცნობი ფიგურები სხედან. თბილისის შესაძლებლობები, რაიმე გავლენა იქონიოს ვითარებაზე, უმნიშვნელოა.

საქართველოში გარკვეულ წრეებს სჯერათ, რომ მოსკოვთან მოლაპარაკება შესაძლებელია და, გარკვეული დათმობების სანაცვლოდ, რუსეთი სა-

ქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაუბრუნებს. ეს მოსაზრება დღევანდელ პოლიტიკურ რეალებს არ ეფუძნება.

რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს იმ შემთხვევაში დააბრუნებს, თუკი მთლიანად საქართველო ისევ გახდება მისი ნაწილი. მოვლენათა ასეთი განვითარება დღეს სრულიად გამორიცხულია. ნაკლებსავარაუდოა, საქართველოში პრორუსული მთავრობა მოვიდეს. ასეც რომ იყოს, გარანტია იმისა, რომ საქართველო მუდმივად პრორუსულ ორიენტაციას შეინარჩუნებს, მაინც არ არსებობს.

ამიტომ, დღესაც და უახლოეს წლებშიც საქართველოს ნებისმიერი პოლიტიკური დათმობა, აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის გამოსყიდვის მიზნით, უპერსპექტივოა.

ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონული პოლიტიკა ჩიხშია შესული. პრობლემების გადასაწყვეტად ახლებური მიდგომები, უფრო მეტად კი - ახალი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებია საჭირო. ■

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.



მიხეილ მიხეილეს და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა მოსკოვში

PHOTO REUTERS

სოსხვი: მიიღან ერთი წლის შემდეგ გარდაუვალი ვიქტორი

>> ინალ ხაშიბი, სოსხვი

სოსხვის მთავარი თავსატეხი ის ქვეყანა გახდა, რომელმაც ერთი წლის წინ მისი დამოუკიდებლობა აღიარა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ერთ წელიწადში სოსხვისთვის საქართველოსთან კონფლიქტმა, აქტუალობის თვალსაზრისით, მეორე პლანზე გადაინაცვლა და ადგილი დაუთმო მოსკოვთან ურთიერთობების თემას. ეს ახალი გამოწვევაა აფხაზეთისთვის. აფხაზური პროექტის მომავალი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს იგი ამ გა-

მონვევასთან გამკლავებას.

როგორ უნდა აანცოს აფხაზეთმა ურთიერთობა თავის მთავარ არაკეთილმოსურნესთან – საქართველოსთან? რა შედის მის ინტერესებში და რა არა? ამ კითხვაზე მკაფიო პასუხს აფხაზი გლეხიც გაგცემთ.

გაცილებით რთულადაა საქმე, როცა საკითხი ეხება რუსეთს.

როგორ უნდა მოიქცეს აფხაზეთი ქვეყანასთან, რომელიც დღეს მისი ერთადერთი მოკავშირეა? რა პრინციპებზე უნდა დაეფუძნოს მოსკოვისა და სოსხვის

ურთიერთობები? ამ კითხვებზე მკაფიო პასუხები აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტასაც არ აქვს.

გარდა იმისა, რომ რუსეთი დღეს აფხაზეთისთვის მსოფლიოში გასასვლელი ერთადერთი ფანჯარა და საქართველოსგან უსაფრთხოების გარანტია, იგი ამავე დროს ფინანსური კეთილდღეობის უალტერნატივო წყაროცაა.

აფხაზეთის ბიუჯეტის 40 პროცენტს მოსკოვიდან პირდაპირი დოტაციები შეადგენს, ტვირთბრუნვის 95 პროცენტზე რუსეთზე მოდის. ქვეყნის ეკონომიკის საბაზო სეგმენტი – საკურორტო ბიზნესი რუსი დამსვენებლების ხარჯზე არსებობს. თითქმის ყველა უცხოური ინვესტიცია, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკაში იდება, რუსულია.

გარდა ამისა, ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს აფხაზურთან ერთად აქვს რუსული პასპორტი, რაც მათ საშუალებას აძლევს, ქვეყნის ფარგლებს გაცდნენ. პენსიონერებიც რუსულ პენსიას იღებენ, რომელიც ათჯერ უფრო მეტია, ვიდრე აფხაზური.

როცა რომელიმე ქვეყანასთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობები გაქვს, საკუთარი ნაციონალური ინტერესისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება ძალიან ძნელი ამოცანა ხდება.

აფხაზურ საზოგადოებას არ სურს, საკუთარი სუვერენიტეტი მოსკოვის ინტერესების გამო დათმოს.

სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, სადაც დამოუკიდებლობას გარდამავალ ეტაპად განიხილავენ, რომელსაც გრძელვადიან პერსპექტივაში ამ რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა უნდა მოჰყვეს, აფხაზეთს ასეთი გეგმები არ აქვს.

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ერთ-ერთი პირველი რუსულ-აფხაზური შეთანხმება „სახლერის ერთობლივად დაცვის შესახებ“ აფხაზურმა საზოგადოებამ კრიტიკულად აღიქვა, რადგან იგი თავისი შინაარსით ეწინააღმდეგებოდა აფხაზეთის კონსტიტუციას.

ამ ერთი წლის განმავლობაში არაერთი შეთანხმება და პროექტი გაფორმდა რუსეთთან, რასაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა აფხაზურ საზოგადოებაში.

ცოტა ხნის წინ პრეზიდენტი ზალაფში გამოვიდა ინიციატივით, აფხაზეთის რკინიგზა და სოსხვის აეროპორტი მომავალში პრივატიზაციის პერსპექტივით მმართველობაში რუსეთს გადაეცეს. შავი ზღვის აფხაზურ შლიეფზე ნავთობის მოპოვების უფლება უკვე მისცეს რუსულ სახელმწიფო კომპანია „როსნეფტს“.

ოპოზიციამ ამ ინიციატივების გამო პრეზიდენტი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში დაადანაშაულა, პრეზიდენტმა კი ოპოზიცია ანტირუსული განწყობების გაღვივებაში.

ანტირუსული განწყობები ოპოზიციაში თავისთავად ნონსენსია, რადგან ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი რაულ ხაჯიმბაა, რომელსაც კრემლი უპირობოდ უჭერდა მხარს 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. მისი გამარჯვებისთვის მოსკოვი რუსულ-აფხაზური საზღვრის დროებით ჩაკეტვასაც არ მოერიდა.

ბალაფშის მთავარი არგუმენტები ისაა, რომ აფხაზეთი რკინიგზის აღდგენასა და შემდგომ მის ამუშავებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს.

იგივე არგუმენტები მოქმედებს სოხუმის აეროპორტთან, ენგურჰესთან, ნავთობის მოპოვებასთან, ანუ იმ სტრატეგიულ სექტორებთან მიმართებაში, რომელთაც რუსულმა ბიზნესმა თვალი დაადგა.

„სახელმწიფო ფუნქციები გადავეცით მეგობარ, მაგრამ მაინც უცხო სახელმწიფოს. გვარნმუნებენ, რომ დამოუკიდებლობა გვაჩუქეს და ამის საფასური უნდა გადავიხადოთ. მაგრამ ასე არ არის. ყველა უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, დე

ფაქტო არსებობს. არსებობს მიუხედავად საქართველოს სურვილისა, მაგრამ არა რუსეთის სურვილით“, – ამბობს აფხაზი პოლიტოლოგი ასტამურ ტანია.

იგი იხსენებს, რომ 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ აფხაზეთს საკმაოდ მძიმე ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. მაშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი იყო. 1994-99 წლებში რუსეთს აფხაზეთი მკაცრ ეკონომიკურ ბლოკადაში ჰყავდა მოქცეული. 16-დან 65 წლამდე მამაკაცებს რუსეთის საზღვრის გადაკვეთა ეკრძალებოდათ. იმ პერიოდში რუსეთიდან აფხაზეთში ლეგალურად თავის ტკივილის წამალსაც ვერ შემოიტანდით.


„წარმოიდგინეთ, ქვეყანას, რომელმაც ომი გადაიტანა, რუსეთმა ბლოკადა დაუნწა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ანდრეი კოზირევის და ევგენი პრიმაკოვის მეთაურობით, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას გვაიძულებდა, მაგრამ ჩვენ ამ განსაცდელს გავუძელით. შემდეგ მოვიდა პუტინი. ნელ-ნელა გაუქმდა სანქციები. დღეს რუსეთი ჩვენი ერთადერთი მოკავშირეა. თუმცა, პოლიტიკა საკმაოდ ცვალებადი რამაა და არ არსებობს გარანტიები, რომ მომავალში კრემლში არ დაჯდება ადამიანი, რომელიც ჩვენს მიმართ პოზიციას შეიცვლის“,

– ამბობს გაზეთ „ნუჟნაია გაზეტას“ რედაქტორი იზიდა ჭანია.

აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებასაც კარგად ესმის, რომ ყველა კვერცხის ერთ კალათაში ჩალაგება სარისკო საქმეა.

უკანასკნელ წლებში პრეზიდენტი ბალაფშე და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბაც სშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ აფხაზეთის საგარეო პოლიტიკა მრავალ ვექტორზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული.

რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე რუსეთი აფხაზეთს აღიარებდა, შამბამ აფხაზეთის საგარეო ორიენტირები ასე ჩამოაყალიბა – რუსეთი, ევროკავშირი და თურქეთი.

ეს სიგნალები ვერავინ გაიგო. დასავლეთის მხრიდან ამას არავითარი მხარდაჭერა არ მოჰყვა. დღეს კი სხვა რეალობაა. მას შემდეგ, რაც ევროპამ და ამერიკამ რუსეთი აფხაზეთის აღიარების გამო გააკრიტიკა, „მრავალვექტორობის“ თეზისი სრულიად ამოვარდა ოფიციალური სოხუმის ლექსიკიდან. რეალობა ისაა, რომ დღეს სოხუმს ერთადერთი ვექტორი აქვს. 

სტატიის გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.



დეგაპრინტი
DEGAPRINT

სივრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



პაატა ზაქარაიშვილი
თანამშრომლობისა და განვითარების
ცენტრის პროექტების ხელმძღვანელი

სად ვართ ომიდან ერთი წლის თავზე?

საქართველო დღეს იმ ადამიანის მდგომარეობაშია, რომელიც ავტოავარიის შემდეგ ცოცხალია, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ იცის, გადარჩება თუ არა.

პაატა ზაქარაიშვილი

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ, რომელიც ვერ ხედავდა ან არ სურდა დაენახა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პირდაპირი და რეგულარული ურთიერთობების მნიშვნელობა, დასახულ შედეგს მიაღწია – დღეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ფორმალურად აღარ არსებობს. ისინი არსებითად ქართულ-რუსულმა კონფლიქტმა შთანთქა.

ბევრი ფიქრობს, რომ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მსოფლიომ დაინახა რუსეთის, როგორც აგრესორის რეალური სახე და თითქოს ამით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციის შეუქცევადი პროცესი დაიწყო.

ეს შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ, მთავარი კითხვაა – რა მივიღეთ და მომავალში რას მივიღებთ ამ რეალობისგან? შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველომ არათუ მოიგო, არამედ დამარცხდა.

აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის იგნორირების პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველო დღეს აფსაიდში მოექცა. მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება ამბობდა, რომ დიალოგს აზრი აქვს მხოლოდ მასთან, ვინც აფხაზებისა და ოსების უკან დგას. ბედის ირონიით, დღეს იგივეს ამბობს რუსეთი – რა აზრი აქვს საქართველოსთან ლაპარაკს – უნდა ველაპარაკოთ მათ, ვინც საქართველოს ზურგს უკანაა – ამერიკელებს და ევროკავშირს.

თუ 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები საერთაშორისო სამართლის თემა იყო, დღეს საქართველო უშუალოდ რუსეთის პორტფელში იმყოფება. იგი საქართველოთი ვაჭრობს – სადაც უნდა უთმობს ევროპას – მაგალითად „ბუფერული ზონებიდან“ გაიყვანა ძალები, ხოლო სადაც არ აწყობს, არ თმობს და აგრესიას განაგრძობს – არ ასრულებს 12 აგვისტოს მედ-

ვედე-სარკობის შეთანხმებას, აშენებს ბაზებს. რუსეთი მანიპულირებს. იგი დღეს სიტუაციის ბატონ-პატრონია და აშკარაა, რომ დასავლეთი, რომელსაც სხვა ინტერესებიც აქვს რუსეთთან – ენერგო მატარებლები, ტერორიზმთან ბრძოლა და ა.შ., ვერ ახდენს მასზე არსებით გავლენას.

რუსეთმა წარმატებით მოიგო აგრესორისა და ოკუპანტის სტატუსი. მას ხელ-ფეხი გაეხსნა, და უკვე აღარ უწევს, ითამაშოს „მშვიდობის მყოფელის“ როლი. რუსეთის ხელისუფლებას ოფიციალურად არასდროს გაუპროტესტებია ოკუპანტის ნოდება და არ დაუყენებია პირობა, რომ ვიდრე

მას ეს სტატუსი აქვს, ის არ მიიღებს მონაწილეობას ამა თუ იმ პროცესში.

არსებული რეალობა ბევრად რთულია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ საბოლოოდ დავკარგეთ ეს ტერიტორიები და ხალხი, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შეიძლება დავკარგოთ, როგორც ეს ტერიტორიები, ისე ხალხი, თუ არ შეჩერდება ის პოლიტიკა, რომლის განხორციელებასაც ეს ხელისუფლება დიდი მონდომებით განაგრძობს.

აგვისტოს მოვლენების წლისთავზე ხელისუფლების პროპაგანდა ცხადყოფს,

რომ ხელისუფლება მცირე პასუხისმგებლობასაც კი არ გრძნობს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი დაუშვა. საქართველოს ხელისუფლება არ აფასებს აგვისტოს მოვლენებს უარყოფითად და თვლის, რომ 7 აგვისტოს რუსეთის პროვოკაციაზე წამოგებას საქართველოს უფრო მეტი დადებითი შედეგი და პერსპექტივები მოუტანა, ვიდრე შეუქცევადი უარყოფითი პროცესი.

სად ვართ ჩვენ დღეს, ომიდან ერთი წლის თავზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ადრეა. ჩვენ იმ ადამიანის მდგომარეობაში ვართ, რომელიც ავტოავარიის შემდეგ რეანომობილში მოხვდება და არავინ იცის, გადარჩება თუ არა.

საქართველო დღეს აფსაიდში მოექცა. მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება ამბობდა, რომ დიალოგს აზრი აქვს მხოლოდ მასთან, ვინც აფხაზებისა და ოსების უკან დგას. ბედის ირონიით, დღეს იგივეს ამბობს რუსეთი - რა აზრი აქვს საქართველოსთან ლაპარაკს – უნდა ველაპარაკოთ მათ, ვინც საქართველოს ზურგს უკანაა – ამერიკელებს და ევროკავშირს.

მართებული იქნებოდა, აგვისტოს ომის შემდეგ ხელი-სუფლება გადამდგარიყო და არჩევნების გზით ხელახალი ლეგიტიმაცია მოეპოვებინა. ხელისუფლებას გონიერება უნდა ეყოს და შეცდომები აღიაროს. ვიდრე ეს არ მოხდება, ტერიტორიების გაუცხოების პროცესი გაგრძელდება. ჩვენ უნდა ვაღიაროთ ახალი რეალობა, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ არ არის და ამ პოზიციიდან დავიწყოთ ახალი პროცესი.

შარშან სექტემბერში პარლამენტმა მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც სხვადასხვა, მათ შორის გადაადგილების შეზღუდვასაც აწესებს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მიმართულებით. მსოფლიოში ბევრმა ქვეყანამ მოუწოდა თავის მოქალაქეებს, აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩავიდნენ. ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სერიოზული მხარდაჭერაა. თუმცა, ამ კანონს შეიძლება კონტრაპროდუქტიული შედეგი ჰქონდეს, რადგან აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია სრულ იზოლაციაში ექცევა. როგორც საქართველო ზღუდავს უცხოელების შესვლას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში, ისე ოსური და აფხაზური მხარეები ზღუდავენ იმავე უცხოელების შესვლას საქართველოს მხრიდან მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ამ ტერიტორიებზე უაპელაციო მოქმედების საშუალება ეძლევა უშუალო მოსაზღვრე სახელმწიფო – რუსეთს, რომელმაც ცალმხრივად აღიარა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა და არ ცნობს მათზე საქართველოს სუვერენიტეტს.

ბევრად ეფექტური იქნებოდა საქართველო პირიქით მოქცეულიყო – ოკუპირებული ტერიტორიების კარი ღია დაეტოვებინა უცხოური ბიზნესისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რათა აფხაზებმა და ოსებმა რეალურად იგრძნონ, რომ მართო რუსეთზე არ არიან მიბმულები. ვფიქრობ, უნდა გავაუქმოთ კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ საზღვრებს გავხსნით, ისინი ჩაკეტავენ, მაგრამ ეს კარჩაკეტილობა უკვე რუსეთის წინააღმდეგ იმუშავებს.

აგვისტოს შემდეგ რეალობა შეიცვალა აფხაზეთისა და ოსებისთვისაც, რომელიც დღეს რუსეთის მძევლობაში არიან და ეს კარგად ესმით. განსაკუთრებით აფხაზებს ესმით, რომ რუსეთი არ არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია და რომ მას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაცია სურს. სამხედრო ბაზები, მესაზღვრეები, რუსული პასპორტები და ეკონომიკა არა დამოუკიდებლობის საფასურია, არამედ უსაფრთხოების, რომელიც მათ საქართველოს მხრიდან 15-წლიანი პერმანენტული მუქარისა და საფრთხის მომცველი ქცევების მოსპობის სანაცვლოდ მიიღეს.

2008 წლის აგვისტომდე აფხაზეთისა და ოსების წინაშე ორი საფრთხე იყო – საქართველო და რუსეთი. აგვისტოს ომმა ორი საფრთხიდან ერთი გააუქმა – საქართველო. ისინი აღარ ნერვიულობენ იმაზე, რომ ხვალ ომი დაიწყება. ჩვენ დღეს ქედმაღლური ირონიით დავცინით ოსებს და აფხაზებს – განა რა დამოუკიდებლობა მიიღეს მათ? ეს ირონია ლოგიკურია, მაგრამ ვინმე უკრძალავდა ქართველებს იგივე ხარისხის უსაფრთხოების პირობები შეეთავაზებინა მათთვის? საქართველოდან ხომ მხოლოდ ორი ლოზუნგი ისმოდა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და 500 ათასი დევნილის უპირობო დაბრუნება. არასდროს საქართველოს პოლიტიკოსები აფხაზი ხალხის უსაფრთხოების გარანტიებზე არ საუბრობდნენ.

პირადად მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საჭირო იყო უშუალოდ კონფლიქტის მოგვარებაზე ორიენტირება. არა დამოუკიდებლობაზე დიალოგი, არამედ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ხალხის შიმშილისა და საფრთხეების შესწავლა და მათი მოსპობა. სწორედ ეს გააკეთა რუსეთმა.

მითია, თითქოს აფხაზები იმდენად უკმაყოფილონი არიან რუსეთის პოლიტიკით, რომ ამ განწყობის გამოყენებას საჩვენოდ შეეძლებთ. რა თქმა უნდა, არიან უკმაყოფილონი, მაგრამ მათი რიცხვი დღეს მცირეა. გრძელვადიან პერსპექტივაში იგი გაიზრდება, მათ აუცილებლად აუტრუფდებათ გული რუსეთზე. როცა ეს მოხდება, საქართველო მიმზიდველი, არააგრესიული, მდგრადი განვითარების დემოკრატიული სახელმწიფო უნდა იყოს. კონფლიქტების

მოგვარების საუკეთესო სტრატეგია სწორედ ის იქნება, თუ საქართველო რეალურად დაადგება დემოკრატიის გზას.

მოკლევადიან პერსპექტივაში გალისა და ახალგორის რაიონების დონეზე უნდა გამყარდეს კონტაქტები აფხაზურ და ოსურ ადმინისტრაციებთან, რათა ამ რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტა რეგულარულად ხდებოდეს ორმხრივ დონეზე. ამ რაიონების ქართულ



ფოტო: თეიმურაზ ჯაბიძე

რუსი ჯარისკაცები

მოსახლეობას უნდა მისცენ უფლება, ითანამშრომლონ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და ამ თანამშრომლობის გამო პასუხს არ უნდა აგებდნენ საქართველოს კანონის წინაშე. უნდა შეწყდეს ქართული მოსახლეობით მანიპულირება.

თუ ორი-სამი წლის განმავლობაში გამოირიცხება ძველი ფორმებით ურთიერთობა, ეს გამოიწვევს ნდობის აღდგენის პროცესის დაწყებას. ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, რამდენადაც მოხერხდება აფხაზური და ოსური საზოგადოებების შემობრუნება ქართული დემოკრატიული სახელმწიფოსკენ, იმდენად მოხერხდება ავტორიტარული რუსეთის ყოვლისმომცველი ფაქტორის ნეიტრალიზება და მინიმზირება. ■



თამარ ნახვაშვილი, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში

ტაქტიკური გარსნიდან სტრატეგიულ გამარჯვებაზე

რა შანსები გვაქვს, და რის ფასად, ომიდან ერთი წლის შემდეგ.

თამარ ნახვაშვილი

საქართველო-რუსეთის ომის ერთი წლის თავზე უდავოდ ისმება კითხვები – თუ რა წააგო საქართველომ და რა შანსები არსებობს მისი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ბანალური იქნება ლაპარაკი დანაკარგზე, რადგან კოდორის ხეობა, დიდი და პატარა ლიახვის ქართული სოფლები, ახალგორი და პერევი უკვე კარგად ნაცნობი გეოგრაფიული ტოპონიმებია, რომელთა უკან სულ ახალი, უდიდესი ადამიანური და მორალური ტრაგედია დგას. რალა თქმა უნდა, არსებობს აღუდგენელი დანაკარგი ჩვენი დაღუპული მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახით. არაფერს ვამბობ ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ ზარალზე, რომლის ზუსტად დათვლა ალბათ პრაქტიკულად შეუძლებელიც არის.

ერთი წლის გადასახედიდან ემოციურადაც მძიმეა პოზიტივზე ფიქრი და საუბარი, მაგრამ ხელებისა და ყურების ჩამოყრა

უპატივცემულობა იქნებოდა იმ ადამიანების მიმართ, ვინც საკუთარი სიცოცხლე განირა იმისათვის, რომ ჩვენ უკეთეს მომავალზე ფიქრის და განსჯის შანსი მოგვეცემოდა.

ომის წინა პერიოდშიც ნაკლებად მოიძებნებოდა საქართველოში ადამიანი, ვინც ემოციით არ მოგვიყვებოდათ, რომ ქართველები და ოსები, ქართველები და აფხაზები საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ და რომ კონფლიქტები რუსეთის სპეცსამსახურების წამოწყებული და განხორციელებულია, ჩვენ კი, უმწიფარი სახელმწიფოებრიობის პირობებში, ვერ შევძელით მათი თავიდან აცილება.

თუმცა, რეალობა ადგილზეც და ქვეყნის გარეთაც სულ სხვანაირი იყო. რა ტერმინოლოგია აღარ გამოიყენებოდა: ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, ეთნიკური, სეპარატისტული, „გაყინული“ კონფლიქტები. ყველა მათგანს ერთი ფუძემდებლური პოსტულატი აერთიანებდა, რომ ეს კონფლიქტები საქართველოს შიდა კონფლიქტებია. ანუ ცენტრის კონფლიქტი რეგიონებთან ან ქართველების კონფლიქტი სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან. რუსეთის სამშვიდობო ძალების, გამშველებლის და მომრიგებლის ექსკლუზიურ უფლებებს არავინ ეჭვქვეშ არც აყენებდა. ჰოდა, კონფლიქტების მოგვარების მეთოდოლოგიაც შესაბამისი გამოგონიერეს – ნდობის აღდგენაზე საუბრები (რომლებიც ყოველი მხრიდან თხუთმეტობით კაცისა თუ ქალის ექსკლუზიურ

საქმიანობად იქცა), მხარეთა „დამშოშმინებელი“ სამშვიდობო ძალები, საერთაშორისო დამკვირვებლები, რომლებიც ხშირად ვერ, ან არ ხედავდნენ რუსი „მშვიდობისმყოფელების“ თვალწინ გალმბი გადამწვარ სახლებს, ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობის დანიოკებას. მოლაპარაკებების ფორმატები, რომლებიც აპრიორი კაბალური იყო ქართული მხარისთვის (მაგალითად ცნობილი შერეული საკონტროლო კომისია – ენ. „ესკაკა“, რომლის წყალობითაც, ცხინვალის რეგიონში ფაქტობრივად ორი რუსული სამშვიდობო ბატალიონი გვყავდა, და მოლაპარაკებების მაგიდის გარშემო ერთი ქართული მხარის საპირწონედ ფაქტობრივად სამი რუსული მხარე იჯდა – რუსული, ჩრდილოოსური და სამხრეთოსური დელეგაციების სახით). ვიყავით ჩართულები პროცესში, რომლის არც სადავებები გვექონდა ხელში და არც პროგრესის რაიმე, თუნდაც ელემენტარული შანსი.



ფოტო: ილია მალაქაძე

დღევანდელ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის შემდეგ ერთ-ერთი პირველი აღმოჩენა იყო სამშვიდობო პროცესის არარსებობა როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. სამაგიეროდ, იყო ბევრი უგზოუკვლო სამშვიდობო ინიციატივა, გაეროს ათობით შეუსრულებელი რეზოლუცია, ნდობის აღდგენისკენ მიმართული შეხვედრები, დაუბრუნებელი დენილები და ლტოლვილები. ანუ წარმოიდგინეთ, რომ აწყობთ დაშლილი სურათის თავსატეხს, საზღვარგარეთ „ფაზლს“ რომ

უნოდებენ, ოღონდ აწყობთ ისე, რომ საბოლოო სურათი არ იცით, როგორ გამოიყურება და თუ რამდენიმე ნაჭერი ერთმანეთს უხდება, უკვე დიდი პროგრესია! შესაბამისად, მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართული იყო იმისაკენ, რომ უმაქნისი ფორმატები ეფექტური მექანიზმებით ჩაგვენაცვლებინა, ზოგადი განცხადებების ნაცვლად, კონკრეტული სამშვიდობო გეგმები შეგვექმნა, განხორციელების კონკრეტული მეთოდებით. ძირითადი პრობლემა კი მაინც რუსეთის პოზიცია იყო. თუ კრემლის უზენაესი ნება არ იქნებოდა, კონფლიქტის მონესრიგებისკენ გადადგმული არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ ხორციელდებოდა. ჩვენი ჯიუტი „მშვიდობისმყოფელი“ კი ჯიუტად და სინდისის ქენჯნის გარეშე იტყოდა, რომ მას კი უნდა, მაგრამ „აფხაზებს ან ოსებს არ უნდათ“. ძნელია განკურნო დაავადება, თუ დაიგნოზი არასწორია, ან

ნამდვილ დიაგნოზს სხვა მკურნალები არ იზიარებენ. ჩვენც, „შიდა კონფლიქტების“ დიაგნოზით, მოჯადოებულ წრეზე დავდიოდით და რუსების მიერ შემოთავაზებულ და დამკვირვებლების დადასტურებულ კატათავგობანას თამაშისგან თავდაღწევას უშედეგოდ ვცდილობდით.

ფილტვების ანთებას გრიპის წამალი არ შველის, თუნდაც ზოგიერთი სიმპტომი ემთხვეოდეს. ზუსტად ამის გამო არ იკურნებოდა ჩვენი კონფლიქტებიც, რადგან აპრიორი საერთაშორისო კონფლიქტს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, ყველა ვიუტად უწოდებდა შიდა კონფლიქტს!

გასული წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი ფუნდამენტური შედეგი ისაა, რომ, როგორც იქნა, სწორი დიაგნოზი დაისვა. კონფლიქტი არის საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომელშიც რუსეთი სეპარატიზმსა და სეპარატიზტებს ინსტრუმენტებად იყენებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ! ანუ საქმე გვაქვს საერთაშორისო კონფლიქტთან, რომლის მოგვარება თვისობრივად სხვა მეთოდოლოგიას მოითხოვს!

ფსევდო „სამშვიდობო პროცესის“ მეორე სერიოზული დეფექტი იყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არასეპარატიზტული მოსახლეობის, როგორც ამ რეგიონების მომავალზე მოსაუბრე ლეგიტიმური მხარის, ნებისმიერი ომამდე არსებული ფორმატებიდან გამორიცხვა. ანუ გამოდიოდა, რომ მაგალითად, აფხაზეთის მომავალზე საუბრის უფლება იქაური მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილს აქვს და მეორეს არაფერს ეკითხებიან. „სამეორეგებლო“ და ნდობის აღდგენის ღონისძიებებიც მიმდინარეობდა არა კონფლიქტური რეგიონების ომისაგან გახლეჩილ თემებს შორის, არამედ ძირითადად სოხუმელებსა და თბილისელებს, ცხინვალელებსა და თბილისელებს შორის. ამის პარალელურად ნამდვილი ურთიერთობები, ყოველგვარი ფორმატებისა და საერთაშორისო შუამავლობის გარეშე ყალიბდებოდა გორელებსა და ცხინვალის რეგიონის ოსურ სოფლებს შორის, ზუგდიდსა და ოჩამჩირეს შორის.

ომის შემდეგ ჯერჯერობით ერთადერთი მოლაპარაკების ფორმატი, ჟენევის პროცესი არსებობს, რომელშიც ეს ხარვეზი აღმოფხვრილია. რუსეთი წარმოდგენილია არა როგორც მშვიდობისმყოფელი და მომრიგებელი, არამედ როგორც კონფლიქტის მხარე. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონები კი, არა მხოლოდ ე.წ. „სეპარატიზტების“, არამედ არასეპარატიზტულად განწყობილი ნაწილის სახითაც არის წარმოდგენილი.

აგვისტოს ომამდე კონფლიქტური რეგიონები გარკვეულწილად გადაწინაღობული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. გაეროს-აფხაზეთი, ეუთო-ს – ცხინვალის რეგიონი. ისიც მხოლოდ ძალზე შეზღუდული სადამკვირვებლო მანდატებით, სადაც დამკვირვებელთა ბედი და უსაფრთხოება მთლიანად რუსეთის ჯარების კეთილ ნებასა თუ უნებობაზე იყო დამოკიდებული. ამას დაამატეთ რუსეთის, როგორც ვეტომპყრობლის სტატუსი ამ ორივე ორგანიზაციაში და ისევე მივიღებთ ჩაკეტილ თუ მოჯადოებულ წრეს, როდესაც საერთაშორისო ჩართულობა მხოლოდ ილუზორულ და დეკლარაციულ-რეზოლუციურ ხასიათს ატარებდა. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამ ორგანიზაციებმა არაფერი სასიკეთო არ გააკეთეს. პირიქით, ჰუმანიტარულ საკითხებში მათ უზომოდ დიდი წვლილი მიუძღვით, მაგრამ კონფლიქტის პოლიტიკური გადაჭრა, შესაძლოა, მცდარი დიაგნოზის გამოც, მათ შეუძლებლობას აშკარად აღემატებოდა.

ომის შემდგომ გამოჩნდა ახალი ელემენტი – ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელიც ჯერ კიდევ სრულად ვერ ასრულებს საკუთარ ფუნქციებს მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო (რუსები მათ უბრალოდ არ უშვებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე), მაგრამ ეს მისია უკვე ფუნქტური აღმოჩნდა ხელახალი ომის თავიდან აცილების საქმეში. მათი განცხადებების საფუძველ-

ზე, დასავლელმა ლიდერებმა ადვილად გააბათილეს რუსეთის შეთხინილი ბრალდებები, თითქოს საქართველო ახალი ომისთვის ემზადებოდა, რაც უნდა გამხდარიყო ახალი აგრესიის საბაზი; უფრო მეტიც, დღეს უკვე მიმდინარეობს ამ მისიის გაფართოებასა და გაძლიერებაზე საუბარი, მასში ამერიკის და სხვა სახელმწიფოების ჩართვის გზით. რუსეთის ოფიციალური ნერვული რეაქციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სადამკვირვებლო მისია აბსოლუტურად სწორი მიმართულებით ვითარდება და დისკომფორტს უქმნის რუსეთის ცხელთავა პოლიტიკოსებს.

ომის შემდეგ ძალა დაკარგა ყველა კაბალურმა ხელშეკრულებამ, ასევე წარსულს ჩაბარდა რუსების სამშვიდობო სტატუსი და დღეს მათ მხოლოდ ერთი სტატუსი დარჩათ – საოკუპაციო ჯარები. რუსეთმა ვერ მოახერხა სამხედრო წარმატების პოლიტიკურად გაფორმება. მსოფლიოს არც ერთმა სახელმწიფომ არ აღიარა ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად! რუსეთმა ვერ შეძლო დანარჩენი მსოფლიოს თანხმობის მიღება ე.წ. გავლენის სფეროებზე. კრახით დასრულდა რუსეთის პრეზიდენტის წინადადება ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შესახებ. არ გამოვიდა ამერიკასთან ურთიერთობების გადატვირთვაც საქართველოს ხარჯზე. ყველა ამ ინიციატივაში რუსეთი პრიზად საქართველოს ითხოვდა და ეს პრიზი მას არავინ დაანება. ასევე წყალში ჩაიყარა არა მხოლოდ რუსეთის იმიჯის გალამაზებისათვის, არამედ საქართველოს იმიჯის დასახიჩრებისათვის დახარჯული ათეულობით მილიონი. რუსეთის, როგორც აგრესორისა და ოკუპანტის იმიჯი ცალსახად დამკვიდრდა დასავლურ მედიასა და პოლიტიკურ ცნობიერებაში. ამ ყველაფერს კი თავისი ფასი აქვს. სერიოზულ ეროზიას განიცდის რუსეთისა და მისი ტრადიციული პარტნიორების ურთიერთობები (მაგალითისთვის ბელარუსი და თურქმენეთიც კმარა). რუსეთის ერთ-ერთი მეგობრის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, შტაინმაიერის განცხადებითაც კი, რუსულ-გერმანული ურთიერთობები ვერ იქნება ისეთი, როგორც ომამდე იყო, სანამ საქართველოს საკითხი არ მოგვარდება. არაფერს ვამბობ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის უმაღლეს პირთა მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ცალსახა მხარდაჭერაზე. ამას უნდა მივუმატოთ რუსეთიდან კაპიტალის გადინება, რაც მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგი არ არის და ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე ბუმერანგად დაბრუნებული პრობლემები. ამ ყველაფერის მერე ისმის მარტივი კითხვა – რა მოიგო რუსეთმა და რის ფასად?

საქართველოს ხელისუფლებაში არავის აქვს ილუზია, რომ დეოკუპაციისა და რეინტეგრაციის პროცესი ადვილი იქნება. ზემოთ მოყვანილი ანალიზით, მე იმის თქმა მინდა, რომ ომიდან ერთი წლის თავზე ჩვენ გვაქვს არა მარტო ოკუპირებული ტერიტორიები, რომლის 90 პროცენტი მანამდეც ფაქტობრივად ოკუპირებული იყო, არამედ გვაქვს თვისობრივად ახალი რეალობები. სწორი დიაგნოზი, სწორი ფორმატები, არამანიპულირებადი დამკვირვებლები, საერთაშორისო მხარდაჭერა და რუსეთის დასუსტების ელემენტები. ეს კი ზუსტადაც ის ინგრედიენტებია, რისგანაც საქართველოს დეოკუპაცია რეალურად შეიძლება გამოიძეონოს. ეს რეალობა თავისით არ მოსულა, ის ჩვენი სამხედროების, პოლიციელებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის თავგანწირვამ, ერის ერთიანობამ და მთავრობის სწორმა პოლიტიკამ მოიტანა. საქართველო – როგორც სახელმწიფო, გადარჩა. ჩვენ არ გავიმეორებთ 1921 წლის შეცდომას, რაც 72-წლიან უღელს დაგვიჯდა. ეს არის რთული გზის სწორი დასაწყისი, რომელიც არა მარტო იმედს გვაძლევს, არამედ გვაფაძლებულს კიდევ, რომ გამოვიყენოთ ეს შანსები და მომავალ თაობებს საქართველო გამოვლიანებული და განვითარებული გადავხაზოთ. **■**



ოლუსტრანსი ანა ტაბატაძე

საპარტოვლო: მიიღან ერთი წლის შედეგი

«დათვების» ზეიმი

ავვისტოდან ავვისტომდე ქართულ ეკონომიკას მხოლოდ ომი არ გადაუტანია. განვლილ 12 თვეში მან სამი უმძიმესი დარტყმა მიღო და სამივე – დროში დღემდე გაჭიანურებული >>

რეზა საყვიარიშვილი

5-დღიან ომს პირველი მძლავრი რყევა მყისიერად მოჰყვა. საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე საქართველოს სუვერენული რეიტინგები ჩამოაკლო ორივე ნაწყვეთმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ – Fitch Ratings-მა და Standard & Poor's-მა. საომარი მოქმედებების გაგრძელების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკის ზრდის შეფერხება იწინასწარმეტყველა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა. უსაფრთხოების გარანტიების აღდგენამდე ენერგორესურსების ტრანზიტის შეჩერების გადანყვეტილება მიიღეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ოპერატორმა ბრიტანულმა BP-მ და ბათუმის პორტის მფლობელმა ყაზახურმა „ყაზმუნაიგაზმა“.

ეს იყო ის პირველი, იმპულსური ნეგატიური შედეგი, რაც გარდაუვლად უნდა მოჰყოლოდა ომს და მოჰყვა კიდევ. განვლილ თვეებში კი ეს სამწუხარო ჩამონათვალი გაფართოვდა და, პრაქტიკულად, არც ერთი სფერო დაუზიანებელი არ დარჩა.

ომის ღრმა კვალის კიდევ უფრო გაღრმავებას კი უკვე გარე ფაქტორმა შეუწყო ხელი. არნახული მასშტაბის მსოფლიო კრიზისის გავლენა საქართველოში დღეს

კიდევ უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე თვეების წინ.

2009 წლის პირველ ნახევარში მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების სერიოზული შემცირება დაფიქსირდა, მდგომარეობის გაუმჯობესება კი ამ მხრივ მხოლოდ 2010 წლიდანაა ნავარაუდები.

მსოფლიო ბანკის დასკვნით, გლობალური რეცესია მოსალოდნელზე ღრმა აღმოჩნდა. კერძოდ, ბანკის პროგნოზის თანახმად, მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნა წელს 2,9%-ს შეადგენს და არა 1,7%-ს, როგორც ადრე იყო ნავარაუდები.

ასეთ ფონზე საქართველოში საინვესტიციო მოდინების მოლოდინი არასერიოზულია. სტატისტიკით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009 წლის პირველ კვარტალში თითქმის 80%-ით ნაკლებია, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (იხილეთ ცხრილი N1).

ყველაზე მეტი გადინება ტრანსპორტისა და კომუნიკაციების და საბანკო სექტორებში ანუ მანამდე ზრდის განმაპირობებელ დარგებში მოხდა.

ამიტომაც 2009 წლის პირველ კვარტალში საქართველოში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პე-

რიოდან შედარებით 5,9%-ით შემცირდა (შარშან ამავე პერიოდში ზრდა 9,1% იყო).

ეს ხდებოდა პირველ კვარტალში, რომელიც გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მეორე. სწორედ წლებადნელ მეორე კვარტალში მიიღო საქართველოს ეკონომიკამ შარშანდელი აგვისტოდან მოყოლებული მესამე უმძიმესი დარტყმა – ამჯერად შიდა პოლიტიკური დაპირისპირების უკიდურესი გამწვავების გამო.

აპრილში, საპროტესტო აქციების და პოლიტიკური დიალოგის გაუქმების პირობებში, კიდევ ერთხელ დაზუსტდა, რომ საქართველოს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი შეიძლება შემცირებისკენ გადაისინჯოს. Fitch Ratings-ის პროგნოზით, რომელიც 7 აპრილს ანუ საპროტესტო აქციების პიკის მოახლოებასთან ერთად გაკეთდა, მზარდი პოლიტიკური დაძაბულობა ხელისუფლებას ინვესტიციების ნდობის შენარჩუნებასა და ეკონომიკური ვითარების დაბალანსებას გაურთულებს. რუსეთთან ომის შემდეგ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, ეს ერთხელ გაჭირვებით მოხერხდა. იმავე Fitch Ratings-ის პროგნოზით, რეცესია საქართველოს გადამხდელუნარიანობას, საგადამხდლო ბალანსის დეფიციტის ზრდისა და ზომიერ-

რი სავალუტო რეზერვების ფონზე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სააგენტო ვარაუდობს, რომ ამ რისკების განეიტრალება იმ საერთაშორისო დახმარებითაც ძალიან გაჭირდება, რომელიც საქართველომ რუსეთთან ომის შემდეგ მიიღო.

Fitch Ratings-მა ნეგატიური პროგნოზის მომლოდინეთა სიაში ქართული ბანკების რეიტინგებიც გადაიყვანა. რეიტინგების კლება ავტომატურად ემუქრება **Fitch Ratings**-ის შეფასების მქონე ოთხივე ქართულ ბანკს: „პროკრედიტბანკს“, „ვი-თი-ბი ბანკ საქართველოს“, „თიბისი ბანკს“ და „საქართველოს ბანკს“.

2008 წლის ივლისის მდგომარეობით, ქართული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები 8 მილიარდ 606 მილიონი ლარი იყო. განვიხილოთ ერთ წელიწადში საბანკო აქტივები თითქმის 900 მილიონი ლარით დაეცა (იხილეთ ცხრილი N2).

სექტორში ვადაგადაცილებული სესხების ოდენობაც კვლავ იზრდება. „კრედიტ ინფოს“ მონაცემთა ბაზაში, ივლისის მონაცემებით, ვადაგადაცილებული ჩანაწერების რაოდენობა უკვე 238 ათასს აჭარბებს. ივლისის დასაწყისის მონაცემებით, საბანკო სექტორში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 196 მილიონი ლარი იყო.

საბანკო სექტორში უმოქმედო სესხების ოდენობამ კი უკვე მილიარდ ლარს გადააჭარბა. მხოლოდ ბოლო ერთ თვეში მაღალრისკიანი სესხები თითქმის 96 მილიონი ლარით გაიზარდა და მთლიანი საკრედიტო პორტფელის 18,7%-ს იკავებს. შესაბამისად, ბანკებმა უმოქმედო სესხებზე რეზერვები 506 მილიონ ლარამდე გაზარდეს. 653 მილიონ ლარამდეა გაზრდილი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვიც. გაზრდილი რეზერვების გამო, საბანკო სექტორმა მეორე კვარტალშიც 63,5 მილიონის წმინდა ზარალით დაასრულა. პრობლემური მსესხებლებისთვის ქონების იძულებითი ჩამორთმევის ფაქტებმაც მნიშვნელოვნად იმატა. მხოლოდ იპოთეკური კრედიტების დაფარვის მიზნით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ერთი კვირის განმავლობაში 120 იძულებითი აუქციონი გამართა.

საბანკო სექტორის მიერ გაცემულ სესხებში ლომის წილი ვაჭრობის სფეროზე მოდიოდა. სექტორზე, სადაც დაცემა კიდევ უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ბევრ სხვა დარგში (იხილეთ ცხრილი N3).

და ბოლოს, თვალსაჩინოებისთვის კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც საქართველოს სინამდვილეში ძალიან ბევრ რამეს განსაზღვრავს – კერძოდ, ფულადი ტრანსაქციების მოცულობა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 2008 წელს ამ არხით

საქართველომდე 917,9 მილიონმა დოლარმა მოაღწია (2008 წლის მშპ-ს 7,1%), 2009 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში შემოდინებული 322,5 მილიონი დოლარი უკვე მიუთითებს, რომ შარშანდელთან შედარებით, კლება აქაც სოლიდურია.

ბიუჯეტში უკვე შეტანილი ცვლილებების თანახმად, წლის დასაწყისში დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების პარამეტრი უკვე შემცირდა 500 მილიონი ლარით და წლის ბოლომდე შეიძლება კიდევ გადაისინვლოს.

სულ უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება, რომ ფისკალური დეფიციტი იზრდება. მთავრობაც მისი შევსების სულ უფრო მეტ განსხვავებულ წყაროს ეძებს. მარტო მომდევნო 3 თვეში სახელმწიფო კომერციული ბანკებისგან 160 მილიონი ლარის სესხებას გეგმავს. ამ მოცულობის სახაზინო ვალდებულებები 15 აუქციონზე გასხვისდება. თითოეული ფასიანი ქაღალდის ნომინალი 100 ლარით, ვადა კი 6 თვიდან 1 წლამდე განისაზღვრა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი, საქართველოს მთავრობის თხოვნით, საქართველოსთვის განკუთვნილი საკრედიტო რესურსის ოდენობას 1 მილიარდ 164 მილიონ დოლარამდე გაზრდის. დამატებითი 420-მილიონიანი პაკეტის და პროგრამის 2011 წლის ივნისამდე გაგრძელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება აგვისტოში იქნება მიღებული. აგვისტოშივე მთავრობას 147-მილიონიანი ტრანშის ათვისების საშუალება მიეცემა. დამატებითი დაფინანსების გამოყოფას სავალუტო ფონდი ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირებს. როგორც წელს, ასევე გაისად თანხა ფისკალური დეფიციტის შემცირებას მოხმარდება. ფონდისგან აქამდე მიღებული ყველა რესურსი, ტრადიციისამებრ, ეროვნული ბანკის რეზერვებში ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მიიმართებოდა.

დახმარების ახალ პორციას კი ქვეყანა სავალუტო ფონდისგან უკვე საბიუჯეტო დახმარების სახით მიიღებს, ანუ საქართველო გამოიყენებს ფონდის ახალ საკრედიტო პროდუქტს, რომელიც კრიზისში მყოფი ქვეყნების საბიუჯეტო საჭიროებების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

2007 წლის რეკორდული 12,4%-იანი ზრდის შემდეგ 2008-ში მშპ-ს ზრდის ტემპი 2,4%-მდე დაეცა, წელს კი მისი „მინუსში გასვლა“ გარდაუვალია და მხოლოდ ამ დაცემის სიდიდე არის ამ ეტაპზე დავის საგანი.


საქართველოს მთავრობას, შესაძლოა, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლის კიდევ ერთხელ

გადახედვა მოუხდეს, რაც წელს უკვე 3-ჯერ მოხდა (+2,5%-დან -1,5%-მდე).

ეროვნული ბანკი წელს იმაზე ნაკლებ ეკონომიკურ გამოცოცხლებას ელის, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მოხსენებით, ეკონომიკის ზრდის ტემპი მოსალოდნელზე მეტად შემცირდება. შედეგად შეიცვალა ეკონომიკის ზრდის ტემპის პროგნოზები და, ეროვნული ბანკის ვარაუდით, წელს მთლიანი შიდა პროდუქტის კლების ტემპი 4%-ს გადააჭარბებს.

თუმცა, შესაძლოა, არც ეს იყოს უკანასკნელი ზღვარი. ექსპერტების ნაწილი არ გამოირიცხავს, რომ წელს მშპ 6-7%-ითაც კი შეიძლება შემცირდეს. მათ შორისაა ეკონომიკური რეფორმების ლიბერალი მამა კახა ბენდუქიძეც, რომელიც 5-6%-იან ვარდნას ვარაუდობს.

რაც მალე მოხდება უსაფუძვლოდ ოპტიმისტური პროგნოზების მცდარობის „აღიარება“, მით უკეთესი იქნება. ამ მხრივ კი გამოცდილება საკმაოდ არასახარბიელოა. ჯერ კიდევ მარტში, როცა მშპ უკვე 5%-ზე მეტით იყო დაცემული, მთავრობა კვლავაც ეკონომიკური ზრდითა და განვითარების მაღალი ტემპებით ამაყობდა. ოფიციალური პირებიდან პირველმა ეროვნული ბანკის ახლად დანიშნულმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა საჯაროდ, რომ ქვეყნის ეკონომიკაში რეცესია მძვინვარებდა. ამ ჯიუტი ფაქტის აღიარება კიდევ უფრო ჯიუტ ხელისუფლებას სულ ორიოდე თვეში მოუხდა. და რაც უფრო მალე აღიარებს ის კრიზისის ჯერ კიდევ საკმაოდ მძიმე ხასიათს, მით უკეთესი იქნება.

დღეს კი წლის შეჯამებისთვის იმის კონსტატირება შეიძლება, რომ აგვისტოდან აგვისტომდე ქართულ ეკონომიკაში „დათვები“ დააბოტებდნენ – „დათვები“ როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური გაგებით. პოლიტიკაში „დათვებს“, მოგესხენებათ, რუსებს უწოდებენ, ეკონომიკაში კი (განსაკუთრებით საბირჟო საქმეში) მათ, ვინც ყველაზე მეტ ხეირს აქციების გაუფასურებით ნახულობს. საქართველოს აქციების დაცემით ორივე კატეგორიამ ერთ წელიწადში მადლიანად იხეირა. 

სხრილი N1. პირდაპირი უსურორი ინვესტიციები (მლნ ლარად)

1 კვარტალი, 2008	1 კვარტალი, 2009	კლება
537.6	124.7	-77%

სხრილი N2. საბანკო სექტორის აქტივები (მლნ ლარი)

03 წლის, 2008	03 წლის, 2009	კლება
8606	7729	877

სხრილი N3. საბანკო სავაჭრო ბრუნვა (მლნ ლარი)

6 თვე, 2008	6 თვე, 2009	კლება
3,994	2,508	37,2%

ენერგეტიკული უსაფრთხოება

ნაბუქოს გაზსადენის პროექტის პერსპექტივები

>> ლიანა ჯერკალიძე, ექსპერტი ენერგეტიკისა და რეგიონულ საკითხებში



ფოტო REUTERS / სტრინგერსი

ანკარა, 13 ივლისი 2009

ნაბუქოს გაზსადენის პროექტი ხანგრძლივი სტრატეგიული მდგომარეობიდან განვითარების დინამიკურ ფაზაში გადავიდა. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი ბედი გადანყვებილია.

წინა ისტორია

ნაბუქოს გაზსადენის პროექტი სამხრეთკავკასიური ენერგეტიკული დერეფნის გაზის სეგმენტის ძირითადი და დამასრულებელი კომპონენტია. სამხრეთ კავკასიური ენერგეტიკული დერეფნის სანყისი კომპონენტი ბაქო-თბილისი-ერზრუმის სახით 2007 წლის შემოდგომიდან მოქმედებს და მისი საშუალებით შაჰ-დენიზის აზერბაიჯანული საბადოს გაზი საქართველოსა და თურქეთს შიდა მოხმარებისათვის მიეწოდება.

ამ პროექტის ამოქმედებამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოსა და თურქეთის გაზით მომარაგების დივერსიფიცირებაში. თუკი მანამდე ორივე სამხრეთ კავკასიური ქვეყანა ძირითადად რუსულ გაზზე იყო დამოკიდებული, დღეს საქართველომ და აზერბაიჯანმა მთლიანად შეწყვიტეს რუსული გაზის მიღება, თურქეთმა კი 60%-მდე შეამცირა.

სამხრეთ კავკასიური ენერგეტიკული დერეფნის დამასრულებელი სეგმენტის, ნაბუქოს პროექტის მიზანია, თურქეთში სხვადასხვა გაზსადენებით, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით მოხვედრილი გაზი ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისაკენ გადაისროლოს. აღ-

მოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც მთლიანად რუსულ გაზზე არიან დამოკიდებული, ამ სქემით გაზით მომარაგების დივერსიფიცირებას ცდილობენ. თავიდან გაზის მიწოდების წყარობად განიხილებოდა კასპისპირეთის ქვეყნები, ძირითადად აზერბაიჯანი, ამ ეტაპზე კი – აზერბაიჯანთან ერთად, ირანი, ერაყი და რუსეთიც კი.

გაზსადენის მშენებლობის იდეა 2002 წელს ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობის შესახებ მთავრობათაშორისი შეთანხმებების გაფორმებისთანავე გაჩნდა. იგი მიზნად ისახავდა შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის განვითარებისათვის სატრანსპორტო არტერიის მომზადებას უკვე თურქეთიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ, რომლებიც იმჟამად ევროკავშირის წევრები ჯერ კიდევ არ იყვნენ.

ნაბუქოს პროექტი დღეს

ნაბუქოს პროექტი ხანგრძლივი სტრატეგიული მდგომარეობიდან აქტიურ დინამიკურ ფაზაში 2009 წლის დასაწყისში გადავიდა. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია რუსეთ-უკრაინის 2009 წლის იანვრის გაზის კრიზისთან და, მეორე მხრივ, შაჰ-დენიზის მეორე ფაზის განვითარების აუცილებლობასთან.

რუსეთ-უკრაინის გაზის კრიზისმა ევროკავშირის ქვეყნებს გაზის ალტერნატიული რესურსების ალტერნატიული სატრანსპორტო გზებით მიღების აუცილებლობა დაანახა. ამ კრიზისის პერიოდში

ნაბუქოს სახით ალტერნატიული გზა უკვე რომ ყოფილიყო, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით ბულგარეთი, უნგრეთი, სლოვენია და მოლდოვა, ასეთ მიმე მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდნენ. ამასთან ერთად, კონფლიქტში მონაწილე მხარეები – უკრაინა და რუსეთი, ბაზრის დაკარგვის შიშით, მეტად გაითვალისწინებდნენ იმპორტიორი ქვეყნების ინტერესებს და ხისტ პოზიციას არ დაიკავედნენ გაზის ნაკადების შეუფერხებელ მოძრაობასთან დაკავშირებით.

ამას გარდა, აზერბაიჯანი და შაჰ-დენიზის კონსორციუმში, როგორც გაზის მწარმოებელი მხარე, დაინტერესებულები არიან, რომ შაჰ-დენიზის განვითარების მეორე ფაზისათვის, ანუ 2014 წლისთვის სატრანსპორტო არტერია მზად იყოს.

ნაბუქოს კონსორციუმსა და თურქეთის მთავრობას შორის მთავრობათაშორისი შეთანხმების გაფორმების შემდეგ ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა გაზის ტრანზიტთან დაკავშირებით, მოხსნილია. თუ ადრე თურქეთი მოითხოვდა ნაბუქოს მილსადენის გამტარობის 15% ტოლფას გაზს საკუთარი მოხმარებისა და რექსპორტისათვის (ანუ 4,5 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს), დღეს, შეთანხმების მიხედვით, თურქეთი კონსორციუმისგან 4 მლდ. აშშ დოლარს მოითხოვს სატრანზიტო და სხვა მოსაკრებლების სახით.

ამ ვეგარად, თუ ადრე ნაბუქოს პროექტის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი თურქეთის პოზიცია იყო, დღეს ეს წინააღმდეგობა მოხსნილია. თუმცა გაჩნდა ახალი და ძირითადად გეოპოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობები, რომელთა მოხსნა აუცილებელია ნაბუქოს პროექტის განხორციელებისათვის.

კერძოდ, შესუსტებულია ის სტრატეგიული ჯაჭვი, რომელიც არსებობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების დაპროექტებისა და განხორციელების დროს.

ამ ჯაჭვის მთავარ მოთამაშეებს, აზერბაიჯანსა და თურქეთს, არათავსებადი ინტერესები გაუჩნდათ. მათგან მხოლოდ საქართველო დარჩა მყარ პოზიციაზე ტრანზიტის საკითხის მიმართ და რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობის დროსაც კი შეასრულა

კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ქართული მხარის მიზეზით არ შეწყვეტილა ნავთობის, გაზის და ელექტროენერჯის სატრანზიტო ნაკადები საქართველოს ტერიტორიის გავლით უშუალოდ კონფლიქტის მიმდინარეობის დროსაც კი.

თუმცა საქართველო სტრატეგიული სატრანზიტო არტერიის ერთადერთი და ყველაზე გადაწყვეტი რგოლი არ არის. უცვლელად, რომ ამ ჯაჭვის სხვა უფრო მნიშვნელოვანმა რგოლებმა, აზერბაიჯანმა (როგორც გაზის რესურსის მფლობელმა და მწარმოებელმა), თურქეთმა (ევროკავშირის ბაზრის უშუალო მოსაზღვრე ქვეყანამ) და ევროკავშირის ქვეყნებმა მიაღწიონ იმგვარ შეთანხმებას, რომელიც ხელს შეუწყობს გაზის ნაკადების გაზრდას სამხრეთ კავკასიური დერეფნის გავლით.

ახალი გეოპოლიტიკური რეალობები

რეგიონში გაჩნდა ახალი გეოპოლიტიკური რეალობები, რომლებიც ხელს არ უწყობს სამხრეთ კავკასიური სატრანზიტო დერეფნის განვითარებას. ვერ ხერხდება თურქეთის ინტეგრაცია ევროკავშირში, რისკენაც ასე მისწრაფვის თურქეთი. აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობათა ერთგვარი გაციების ფონზე რუსეთი და თურქეთი ამკარად დაუახლოვდნენ ერთმანეთს და მათ შორის ერთგვარი სტრატეგიული პარტნიორობაც ჩამოყალიბდა. ეს ახალი გეოპოლიტიკური რეალობები უფრო გაშლილად ასე გამოიყურება:

პირველი: თურქეთს სურს, როგორც გაზის სატრანზიტო არტერიამ, უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინოს ევროკავშირისთვის, ვიდრე ამისთვის მზად არის ევროკავშირი. ეს აფერხებდა მოლაპარაკებებს ევროკავშირსა და თურქეთს შორის ტრანზიტთან დაკავშირებით და, მიუხედავად მთავრობათაშორისი შეთანხმების ხელმოწერისა, ეს პროცესი დასრულებული ჯერ კიდევ არ არის;

მეორე: შესუსტებულია სამხრეთ კავკასიური ენერგეტიკული დერეფნის სტრატეგიული ჯაჭვი. თურქეთს და აზერბაიჯანს საკუთარი და, ხშირ შემთხვევაში, არათავსებადი ინტერესები გაუჩნდათ. თურქეთი მზად არის, მოახსრავოს თავისი ურთიერთობები სომხეთთან, როგორც ამას მისგან ევროკავშირი მოითხოვს და რასაც ეთანხმება რუსეთი. აზერბაიჯანი კი კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობები მოგვარდეს, ვიდრე არ გადაწყდება მთიანი ყარაბაღის საკითხი აზერბაი-

ჯანული ინტერესების გათვალისწინებით. თუ თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობებს მონესრიგება დაიწყება მთიანი ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტამდე, აზერბაიჯანი თავს შეიკავებს, მყარი პირობა დადოს ნაბუქოს მილსადენით თავისი გაზის ტრანსპორტირებაზე, და მომავალში შეიძლება საერთოდ გადახედოს ამ საკითხს. ვინაიდან მთიანი ყარაბაღის პრობლემის მონესრიგების გასაღები დიდწილად რუსეთის ხელშია, ამიტომ რუსეთს არაპირდაპირ შეუძლია გავლენა მოახდინოს აზერბაიჯანის გადაწყვეტილებაზე, გაატაროს თუ არა თავისი გაზი ნაბუქოს მილსადენით.

რადგან ირანი ჯერჯერობით ისევ სანქციების ქვეშაა, ტრანსკასპიური გაზსადენის საკითხი კი, კასპიის ზღვის სტატუსის გადაუჭრელობის გამო, ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, აზერბაიჯანი ერთადერთი მხარეა, რომელსაც სანყის ეტაპზე ნაბუქოს გაზით დატვირთვა შეუძლია. ამიტომ აზერბაიჯანის მონაწილეობა ნაბუქოს პროექტში ამ პროექტის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.

და, რაც მთავარია, ამ ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ფინანსური კრიზისის და რეგიონში რუსული გავლენის გაძლიერების პირობებში, აშშ-სა და ევროკავშირის მხარდაჭერა რეგიონის მიმართ ისეთივე უნდა იყოს, როგორც BTC-ის და BT-ის შემთხვევაში. ამანეცაა დამოკიდებული სამხრეთკავკასიური ენერგეტიკული დერეფნის წარმატებული განხორციელება.

ფინანსური ხასიათის წინააღმდეგობები

ბაქო-თბილისი-ერზრუმის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დაფინანსების საკითხი თავის დროზე იმგვარად გადაწყდა, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ რისკები გადაინაწილა. კონსორციუმის წევრმა გაზის მომპოვებელმა კომპანიებმა საკუთარ თავზე ხარჯების დაახლოებით 40% აიღეს, დანარჩენი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და უმსხვილესმა კომერციულმა ბანკებმა გადაინაწილეს.

ნაბუქოს პროექტი რისკების ამგვარი გადანაწილების ნაკლებ საშუალებას იძლევა. პროექტის მონაწილეები ძირითადად გაზის ან ელექტროენერჯის მცირე და საშუალო მწარმოებელი ან ტრანსპორტირების კომპანიები არიან და ისეთი ფინანსური რესურსები არ გააჩნიათ, რომ ნაბუქოს დაფინანსების მნიშვნელოვანი სეგმენტი თავის თავზე აიღონ.

ამიტომ ამ პროექტის დაფინანსება მთლიანად საერთაშორისო ფინანსურ და კომერციულ ინსტიტუტებზეა დამოკიდ-

ებული. რასაკვირველია, ფინანსური რესურსების მოძიება კრიზისის პირობებში ადვილი არ არის, მაგრამ ევროპის უმდიდრესი ქვეყნები, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან, პროექტის დაფინანსებისთვის საჭირო სახსრებს გამოძებნიან.

მაგრამ არის ერთი უმთავრესი წინაპირობა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ფინანსურმა ინსტიტუტებმა ეს პროექტი დააფინანსონ.

ეს უმთავრესი წინაპირობა კი გაზის მფლობელი მხარის (აზერბაიჯანი) ანდა შაჰ-დენიზის კონსორციუმის მყარი თანხმობაა გაზის ნაბუქოს მილით ევროკავშირში ტრანსპორტირებაზე. დღეს აზერბაიჯანი არ იძლევა მყარ გარანტიებს გაზის ნაბუქოს გზით ტრანსპორტირებაზე, თუ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების მონესრიგება მთიანი ყარაბაღის საკითხის მიმართ აზერბაიჯანის ინტერესების გათვალისწინების გარეშე მოხდა; ან თუ ვერ მოხერხდა ამ ქვეყნებს შორის შეთანხმება აზერბაიჯანული გაზის ფასისა და მისი ტრანზიტის შესახებ.

ამგვარად, იმისათვის, რომ აზერბაიჯანმა თავისი გაზი გარანტირებულად ნაბუქოს პროექტით ევროკავშირში გაიტანოს, საჭიროა:

- აზერბაიჯანი და თურქეთი შეთანხმდნენ აზერბაიჯანული გაზის ფასზე, აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტზე საბერძნეთისა და ბულგარეთის მიმართულებით, რაც ფაქტობრივად დადასტურებს, რომ თურქეთის გავლით ტრანზიტის საკითხი გადაწყვეტილია (უკვე მოქმედი თურქეთ/საბერძნეთის დამაკავშირებელი გაზსადენით).

- თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის მონესრიგება, რასაც მოითხოვს ევროკავშირი თურქეთისგან, არ მოხდეს მთიანი ყარაბაღის საკითხის აზერბაიჯანული მხარის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაბუქოს პროექტის განხორციელება, მიუხედავად უკვე გაფორმებული მთავრობათაშორისი შეთანხმებისა, კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება.

საქართველო დაინტერესებულია, რომ მოქმედი ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი მაქსიმალურად დაიტვირთოს, რათა ქვეყანამ ამ პროექტიდან ნავარაუდები მოგება მიიღოს. ამისათვის საქართველომ, როგორც სატრანზიტო ქვეყანამ, პარტნიორებს – გაზის მწარმოებელ ქვეყნებს კასპიისპირეთში და გაზის მომხმარებლებს ევროკავშირში, სტაბილური შიდაპოლიტიკური გარემო და მისაღები სატრანზიტო პირობები უნდა შესთავაზოს. ■



■ ალიევის და მედვედევის შესხვედრა, ბაქო, 3 ივლისი 2008

ფოტო REUTERS

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები

კავკასიური ბილიარდი

ავვისტოს ომის შედეგები კავკასიაში დღემდე ახალ-ახალი ძვრების საფუძველი ხდება >>

მარგარიტა ახვლედიანი

ავვისტოს კრიზისი სომხურ-თურქული დიალოგის სტიმულად იქცა, რაც ნაწილობრივ რუსეთ-აზერბაიჯანის დაახლოების მიზეზი გახდა.

თუკი ეს პროცესი გაგრძელდა, პოლიტიკური „ბილიარდის ბურთი“ ისევ იქ მიგორდება, საიდანაც სტარტი აიღო – ანუ საქართველოში, და მას ახალ სირთულეებს მოუტანს.

ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთისთვის კავკასიაში აზერბაიჯანის ჯერი დადგა.

სომხეთთან ყველაფერი გარკვეულია – ის სტრატეგიული მოკავშირეა, საქართველოსთანაც – ის სტრატეგიული მონინალმდგევა. შესაძლოა, ახლა აზერბაიჯანს მოუწიოს – ან უკვე უწევს – დატოვოს ნეიტრალიტეტის თბილი ად-

გილი, რომლის შენარჩუნებასაც აქამდე ახერხებდა.

ავვისტოს ომი აზერბაიჯანისთვის სერიოზული გაკვეთილი აღმოჩნდა. ნათელი გახდა, რომ აშშ-ც, ევროპაც, მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი თურქეთიც უძღურები აღმოჩნდნენ, საქართველო რუსეთის ზეწოლისგან დაცვათ. ბაქომ ნახა, რომ რეალურად ვერავინ შეენინალმდგევა რუსეთს, როდესაც მან ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი აღიარა.

ბაქოში გაცნობიერეს, რომ თუკი შემდეგი ყარაბაღი იქნება, იგივე განმეორდება. მოსკოვს ბაქოზე ზემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი აქვს – გაამკაცროს დამოკიდებულება ორი მილიონი აზერბაიჯანელის მიმართ, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობენ.

ეს თავისთავად აზერბაიჯანის მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტია. გარდა ამისა, როგორც ბაქოელი ექსპერტები ამბობენ, ქვეყნის მაცხოვრებელთა 40 პროცენტამდე რუსეთის ხარჯზე არსე-

ბოზს. დაბოლოს, ბაქოში განსაკუთრებული სიძნელეებით მაშინ იგრძნეს, ვინაა ამ სახლში უფროსი, როდესაც ომის დროს რამდენიმე დღით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გადაიკეტა.

აშკარაა, აზერბაიჯანის ხელისუფლება დაფიქრდა იმაზე, რომ პროდასავლური კურსისთვის უპირატესობის მინიჭება მათი ქვეყნისთვის, შესაძლოა, მცდარი და საშიში აღმოჩნდეს. აგვისტოს ომმა აზერბაიჯანის იმ გავლენიანი კლანების პოზიცია გაამყარა, რომლებიც ყოველთვის ღიად ატარებდნენ პრორუსულ, ანტიდასავლურ, და დღევანდელ კონტექსტში აქტიუალურ – ანტითურქულ პოლიტიკას.

თურქეთი კავკასიის ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ აზერბაიჯანისთვის განსაკუთრებით. ანკარასთან ურთიერთობა ბაქოს პოლიტიკის ყველა ძირითად ტენდენციას განაპირობებს. იმისთვის, რომ აზერბაიჯანი საბოლოოდ მოაქციო კონტროლქვეშ, თურქეთთან ურთიერთობა უნდა გაუფუჭო.

სწორედ ეს ხდება წლებადილი გაზაფხულიდან მოყოლებული. აზერბაიჯანში ტელევიზიით თურქული სერიალების ჩვენება შეიზღუდა, მიმდინარეობს გაუთავებელი საზოგადოებრივი დისკუსიები იმაზე, რომ თურქული ენა აზერბაიჯანულს ავიწროვებს. გავრცელებული ხმების მიხედვით, არსებობს პირდაპირი დირექტივები რეგიონებში თურქული ფირმების, სკოლებისა და ორგანიზაციების დახურვის თაობაზე, რითაც უხმაუროდ უნდა განიღვენოს ქვეყნიდან თურქული ბიზნესი და მისი გავლენა.

იდეალურად დროული იყო გაზაფხულზე სომხეთსა და თურქეთს შორის დაწყებული დაახლოება. როგორც ჩანს, მოსკოვი ამ ტენდენციას ემხრობა. რუსეთს არ აშინებს, რომ ეს სიახლოვე ზედმეტად გაღრმავდება – ყოველთვის შეიძლება დაშნაკების (ულტრანაციონალისტური სომხური პარტია) გამოყენება. სამაგიეროდ, ეს სიტუაცია საუკეთესოა აზერბაიჯანზე ზემოქმედებისთვის. მაის-ივნისში ბაქოს პრესა წერდა, რომ საზღვრის გახსნის თაობაზე სომხეთთან დახურული მოლაპარაკებების დროს, თურქეთმა აზერბაიჯანი „განირა“ და მოხსნა თავისი მთავარი პირობა – აზერბაიჯანისთვის ყარაბაღის დაბრუნება. გაზეთები ეყრდნობოდნენ მოლაპარაკებათა საიდუმლო სტენოგრამებს, რომლებიც თითქოს რუსეთის „ფე-ეს-ბე“-ს დირექტორის მოადგილემ, ვლადიმირ პრინიჩევმა აპრილში საკუთარი ხელით

ჩაუტანა პრეზიდენტ ილჰამ ალიევს.

თურქეთის პრემიერი ერდოღანი საჯაროდ აცხადებდა, რომ „სომხეთთან საზღვრები არ გაიხსნება, ვიდრე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შერიგება არ მოხდება“. თუმცა, ეს განცხადება ბაქოში უყურადღებოდ დატოვეს. თურქეთს ბრალი ღალატში დასდეს. ეს თემა ყოველდღიურად განიხილებოდა აზერბაიჯანული ტელევიზიებით, რომლებსაც ხელისუფლება აკონტროლებს. ამ ფონზე ისმოდა არგუმენტები, რომ აზერბაიჯანი „რუსეთისკენ უნდა შებრუნდეს“.

ამ კონტექსტში სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ნაბუქო – ახალი გაზსადენის პროექტი. ეს გაზსადენი, რუსეთის გვერდის ავლით, თურქეთიდან ავსტრიისკენ და უფრო შორსაც გაივლის, და იმისთვის კეთდება, რომ ევროპა რუსეთის გაზზე დამოკიდებულებისგან იხსნას. 13 ივლისს, რამდენიმეწლიანი მსჯელობის შემდეგ, ანკარაში ხელი მოეწერა ამ პროექტზე შეთანხმებას. თუმცა, არსებობს საშიშროება, რომ ოვაციები ნაადრევია.

ნაბუქოს პროექტში აზერბაიჯანს საკვანძო როლი აქვს – ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე სწორედ აზერბაიჯანული გაზით უნდა აივსოს ახალი მილი, რომელიც შემდეგ უკვე მოქმედ სამხრეთკავკასიულ გაზსადენს (ბაქო-თბილისი-ერზურუმი) შეუერთდება.

თუმცა, არ არის გამორიცხული აზერბაიჯანულმა გაზმა გეზი იცვალოს და ევროპის ნაცვლად რუსეთისკენ გაეშუროს. ნაბუქოს პროექტის ხელმოწერიდან სულ რაღაც 15 დღეში, რუსეთის ზენოლით, ბაქომ სამომავლო გაზის ნაწილი რუსეთის „გაზპრომს“ მიჰყიდა. 29 ივლისს ამ მიზეზით ბაქოში საგანგებოდ ჩასულმა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კი განაცხადა, რომ ხელმოწერილი შეთანხმება „შუალედურია“, ანუ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია; ხოლო პრეზიდენტმა ალიევმა დასძინა: „ამით [შეთანხმებით] რუსეთთან ურთიერთობის ახალი ფურცელი იშლება“.

პრეზიდენტი ალიევი, რა თქმა უნდა, ძველებურად სრულ მხარდაჭერას უცხადებს ნაბუქოს. თუმცა, თურქეთსა და ევროკავშირის ოთხ ქვეყანას (ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი და ავსტრია), რომლებმაც 13 ივლისს ნაბუქოს კონტრაქტს ხელი მოაწერეს, ბაქოსთან წერილობითი შეთანხმება არ აქვთ, „გაზპრომს“ კი – აქვს.

სწორედ იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, როცა ანკარაში ნაბუქოს პროექტის საზეიმო ხელმოწერა მიმდი-

ნარეობდა, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მოულოდნელად, მაგრამ დიდი ხმაურით ჩავიდა ცხინვალში. ეს უპრეცედენტო ვიზიტი შემთხვევით არ ჰგავს. ეს უფრო მსოფლიოსთვის იმის შესხენება უნდა იყოს, რომ ნაბუქო, მოსკოვისათვის ეს უკიდურესად არახელსაყრელი გაზსადენი, გაივლის ფეთქებადსაშიშ რეგიონზე, სადაც მსოფლიოს უდიდესი მოთამაშეებიდან მხოლოდ რუსეთის მუდმივი ჯარი დგას.

აზერბაიჯანში ყველა ამ ასპექტს გაზეთებიც და პოლიტიკოსებიც დაახლოებით ასე განმარტავენ: საქართველოში აგვისტოს მოვლენებმა ცხადყო, რომ აზერბაიჯანი დასავლეთის იმედზე ვერ იქნება. აზერბაიჯანს თურქეთმაც უღალატა, ასე რომ, ბაქოს მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩება – რუსეთისკენ შებრუნდეს. ამ დროს რუსეთიც გამალებით ქმნის ბაქოში საკუთარ „პლაცდარმს“.

ასეთი სცენარი შეიძლება უაღრესად საშიში აღმოჩნდეს საქართველოსთვის, რომელიც ომის შემდგომ ვითარებაში რეალურად აზერბაიჯანზეა დამოკიდებული. შესაძლო ენერგეტიკულ თანადგომას ქვეყანა მხოლოდ აზერბაიჯანიდან უნდა ელოდეს. გარდა ამისა, აზერბაიჯანში რუსეთის გამინაურება იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მსოფლიოში გასასვლელი ერთი გზა რჩება – თურქეთიდან. ანუ რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონის გეოპოლიტიკურ ცენტრში მყოფი ქვეყანა, შესაძლოა, კუთხეში აღმოჩნდეს მიმწყვდუალი. **■**

**რუსეთისთვის კავკასიაში
აზერბაიჯანის ჯარი დაღა.
სომხეთთან ყველაფერი
გარკვეულია – ის
სტრატეგიული მოკავშირეა,
საქართველოსთანაც
– ის სტრატეგიული
მონიწიველია. შესაძლოა,
ახლა აზერბაიჯანს
მოუწოდებენ – ან უკვე უნდას –
დატოვონ ნეიტრალიტატის
თიხილი ალბილი, რომლის
შენარჩუნებასაც აქამდე
ახერხებდა.**

ჩრდილოეთ კავკასია ჩეჩნეთის ისლამიზაცია

>> ასია რამაზანოვა, ბროუნო



პრომოსკოვურმა კადროვმა მოახერხა ის, რაც თვითგამოცხადებული იჩქერიის პრეზიდენტებსაც კი არ დასიზმრებიათ.

„ჩეჩნეთის გული“ – ასე ჰქვია ახალ მეჩეთს გროზნოს ცენტრში. ამბობენ, რომ ეს ყველაზე დიდი მეჩეთია ევროპაში სტამბოლის შემდეგ.

„ჩეჩნეთის გული“ რესპუბლიკის ახალგაზრდა პრეზიდენტმა რამზან კადროვმა ააშენა და მამის – აჰმად კადროვის ხსოვნას მიუძღვნა. რამზანი ხშირად დადის ამ მეჩეთში.

„ჩვენთან რელიგია ისლამი ყვავის. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ყველა ადამიანი ისლამის მიმდევარი იყოს“, – ამბობს იგი.

სულიერების, ზნეობისა და მორალის აღორძინების კამპანია, რომელიც კადროვმა 2008 წელს წამოიწყო, მხოლოდ მეჩეთებისა და მედრესების აგებით არ შემოიფარგლება. პროცესებს, რომლებიც ჩეჩნეთში მიმდინარეობს, კრიტიკოსები ისლამიზაციას უწოდებენ. პირველ რიგში, ახალი წესები ქალებს შეეხო. რესპუბლიკის პრეზიდენტმა მათ მკაცრი dress-code დაუნესა.

2008 წლის 1 იანვრიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკაში არც ერთ ქალს თუ გოგონას უფლება არ აქვს, სახელმწიფო

დანესებულებაში თავსაფრისა და მოკრძალებული სამოსის გარეშე შევიდეს. დამრღვევებს სამსახურებიდან ათავისუფლებენ და შენობაში შესვლის უფლებას ართმევენ.

გასული წლის ზაფხულში ქალებს, რომლებსაც თავსაფარი არ ეხურათ ან მოკლე კაბა ეცვათ, გროზნოს ქუჩებსა და პარკებში ჩეჩნური ტელეარხის ოპერატორები იღებდნენ. ამ კადრებს ერთ სიუჟეტად ამონტაჟებდნენ და საღამოს ტელევიზიით აჩვენებდნენ. კადრს მიღმა ხმა ამბობდა, – ნეტა სად აქვთ თვალები ამ ქალების ნათესავ მამაკაცებს, მომავალი თაობების აღზრდა მათ როგორ უნდა ვანდოთ?

ახალი წესები შემოიღეს სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების მძღოლებისთვისაც. აუცილებელია, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში იყოს ტელევიზორი, სადაც ყურანის კითხვისა და მოვლისა და იმამების ლექციების ტრანსლაცია მოხდება. ის მძღოლები, რომლებსაც ტელევიზორის შესაძენი ფული არ ჰქონდათ, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ჩეჩნეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეზოში შესასვლელთან ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული დაცვის ცხრა თანამშრომელი დგას. იქვე სტუდენტების რიგია. უნივერსიტეტში რომ შეხვიდე, მკაცრი face-control უნდა გაიარო. ეს განსაკუთრებით გოგონებს ეხებათ. ისინი თავსაფრებითა და გრძელი კაბებით უნდა იყვნენ. „წესრიგის დამცველები“ ეზოში არ უშვებენ მათ, ვისაც მკვეთრი მაკიაჟი აქვს, ფრჩხილებზე ფერადი ლაქი უსვია, ან ვინრო თავსაფარი ახურავს, რომელიც თმას კარგად არ ფარავს.

სიუზანა ისაევას თვალზე შავი ფანქარი უსვია. დაცვას მიაჩნია, რომ მისი მაკიაჟი გამომწვევია და შენობაში არ უშვებს. სიუზანა ახალგაზრდა ყურნალისტიკა. „ისლამიზაცია? ნეტა რას გულისხმობენ ამ ტერმინში? ჩეჩენი ქალებისთვის თავსაფრის ტარების იძულებას? მოკლე კაბის აკრძალვას? არჩევანისა და საკუთარი აზრის გამოხატვის უფლების წართმევას? იქნებ თავსაფრებიდან არ დაეწყეთ? იქნებ ჯერ ლოთი და ნარკომანი კაცებისთვის მიეხედათ?“ – სიუზანა ძალიან ლელავს, სახე უწითლდება და

თვალები ცრემლებით ევსება.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთ დღეს რამზან კადროვი ჩეჩნეთის მთავარ უმაღლეს სასწავლებელს ესტუმრა.

„არ ველოდით. რამზან აჰმატოვიჩი დაცვის გარეშე მოვიდა და რას ხედავს – ახალგაზრდა ბიჭები სიგარეტს ეწევიან, გოგონები ხმამაღლა საუბრობენ და კისკისებენ. ეს უკულტურობაა ჩეჩნური გაგებით. სიგარეტის მონევა უფროსის თანდასწრებით დიდი სირცხვილია. რამზან აჰმატოვიჩმა შენიშვნა მოგვცა და ჩვენც გავითვალისწინეთ“, – ამბობს უნივერსიტეტის რექტორი მოჰდან კერიმოვი.

ამ დღიდან თითქმის ორი წელი გავიდა. ახლა უნივერსიტეტში ყველა გოგონს ერთნაირად აცვია – გრძელი კაბა და თავსაფარი. ბიჭებს ნვერი გაპარსული აქვთ და ჰალსტუხის გარეშე არ დადიან.

ამ კანონებს იშვიათად არღვევენ, თუმცა პირად საუბრებში ბევრი გოგონა ჩივის, რომ მათ ჩაცმულობაზე პრეზიდენტი არ უნდა „ზრუნავდეს“. პროტესტის ხმამაღლა გამოხატვა მათ არასოდეს უცდიათ, რადგან ამას აზრი არ აქვს. „ჩეჩნეთში ქალებს არავინ უსმენს“, – ამბობენ ისინი.

ევროპულ ყაიდაზე შეკერილი საქონილო კაბები – დეკოლტეტი და მოშოვლებული მხრებით – რესპუბლიკაში ზედმეტად თამამად ითვლება და აღარ იყიდება. ამ აკრძალვის მიზეზიც რამზან კადროვის განცხადება გახდა. „პატარაძალი, – თქვა მან, – უმანკოებისა და მოკრძალების სიმბოლოა. ბოლო დროს კი ჩვენ პატარძლებს ძალიან გულახდილად აცვიათ. თუ ასე გაგრძელდება, მალე დავივიწყებთ ჩვენ ეროვნულ ტრადიციებს“.

პარალელურად, ადგილობრივი მედია ამზადებს გადაცემებს, სადაც ნაციონალური ტრადიციების პროპაგანდა მიმდინარეობს. ეთერს უთმობენ სტუდენტებსა და პედაგოგებს, რომლებიც ჩეჩნურ ეთიკაზე საუბრობენ.

ზოგიერთი სახელმწიფო დანესებულება თავისი თანამშრომლებისთვის მოდების ჩვენებებსაც კი მართავს. მიზანი ისეთი ტანსაცმლის დემონსტრირებაა, რომელიც ჩეჩნურ ტრადიციებს არ ეწინააღმდეგება.

კულტურის სამინისტრომ საბჭოთა

დროს მოქმედი „მხატვრული საბჭო“ აღადგინა. საბჭოს ფუნქციაა, განიხილოს ახალი სიმღერა თუ სხვა შემოქმედებითი ნაწარმოებები და გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა მისი საჯაროდ გამოტანა. გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება ექცევა არა მარტო არტისტის რეპერტუარს, არამედ მის გარეგნულ იერსაც.

„ნაციონალური ტრადიციებისთვის“ ბრძოლამ ჩეჩნეთში, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილს წარმოადგენს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხმაურიანი კრიტიკა გამოიწვია. ზოგიერთი ამბობს, რომ ჩეჩნეთში ისლამური მმართველობა მკვიდრდება და პრომოსკოვურმა კადროვმა ის მოახერხა, რაც თვითგამოცხადებული იჩქერიის პრეზიდენტებსაც კი არ დასიზმრებიათ. ისინი მიიჩნევენ, რომ საბოლოო ჯამში ეს პოლიტიკა ჩეჩნური სეპარატიზმის ახალ ტალღას წარმოშობს.

რამზან კადროვი ამ კრიტიკას არადაგდებას. იგი ამბობს, რომ ახალი წესები ფედერალურ კანონებს არ ეწინააღმდეგება და შარიათითაა გათვალისწინებული.

სტრატეგიული კვლევების ცენტრის ექსპერტი ედილბეკ ხასმაგომადოვი აღნიშნავს, რომ კადროვი ცდილობს, ისლამისტური ექსტრემიზმის იდეოლოგია ტრადიციულ, ჩეჩნურ სუფისტურ იდეოლოგიას დაუპირისპიროს.

„ვერ ვიტყვით იმას, რომ კადროვი ჩეჩნეთის ისლამიზაციას ცდილობს. ის უბრალოდ იყენებს ტრადიციულ ისლამს და უპირისპირებს მას პოლიტიზირებულ ვაჰაბიზმს. შარიათის წესების დანერგვა კადროვის გეგმა არ არის“, – ამბობს იგი.

რამზან კადროვის მრჩეველი ტიმურ ალიევი მიიჩნევს, რომ ბრძოლა, რომელიც კადროვმა ჩეჩნეთში წამოიწყო, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კარგად არ ესმით.

„ამ კამპანიას გარეგნული ატრიბუტებისთვის ბრძოლად განიხილავენ. სინამდვილეში ეს არის ბრძოლა რადიკალური ისლამიზმის და ისლამისტების წინააღმდეგ“.

რამზან კადროვი, მამის მსგავსად, ჩეჩნეთისთვის ტრადიციული, კადრიული სუფიური ორდენის წარმომადგენელია. კადროვისთვის დიდი ავტორიტეტია შეიჰი კუნტა-ჰადჯი კიშიევი, რომელიც მე-19 საუკუნეში ქადაგებდა. მისი სწავლების მთავარი თეზისი იყო მორჩილება. ეს სწორედ ის არის, რაც კადროვს დღეს ჩეჩნეთში სჭირდება. **■**

უკრაინა: გიორგი ლონღაძის გვლელობა

პუკარი მოთხოვნადა

>> პატარინა კოპერნიკი, კიევი



ფოტო REUTERS / სტრინგერი

■ გიორგი ლონღაძის სსკვნისადმი მიძღვნილი შუკრაბა, კიევი, 16 სექტემბერი 2007

ჟურნალისტ გიორგი ლონღაძის მკვლელობიდან ცხრა წლის შემდეგ მისი საქმე კვლავ პოლიტიკური მანიპულაციების საგანია.

პატარა სოფელი მოლოჩკი კიევიდან ორას კილომეტრშია. აქაურები სხვადასხვაგვარად ახასიათებენ თავიანთ უცნაურ თანასოფელს. ზოგი ამბობს, რომ ის ბევრს მუშაობდა ბოსტანში, ზოგი იხსენებს, რომ ხალხში იშვიათად ჩნდებოდა და ადამიანებს ერიდებოდა. ადგილობრივი მალაზიის გამყიდველი ელენა ცარუკი კი მას ინტელიგენტურ ადამიანად, „არასოფელად“ ახასიათებს.

მოლოჩკის ადგილობრივი მაცხოვრებლები ამ დეტალებს ტყუილად არ იხსენებენ. 21 რიცხვში მათი თანასოფელი ყველა ადგილობრივი საინფორმაციო საშუალების მთავარი გმირი გახდა. მოკრძალებული პენსიონერი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩავიდა ამ ღვთისმცოდნეობის სოფელში, აღმოჩნდა არა უბრალოდ პაპა პეტრო, როგორც მას მეზობლები ეძახდნენ, არამედ ალექსეი პუკარი, ჟურნალისტ გიორგი ლონღაძის მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილი; ანუ ის გენერალი, რომელმაც, როგორც ამბობენ, რეპორტიორი თავისივე ქაშკაშით დაახრჩო და შემდეგ ძიებას დაე-

მალა – ისრაელში თუ შეერთებულ შტატებში გაიქცა.

სინამდვილეში პუკარი საზღვარგარეთ არ წასულა. საერთაშორისო ძებნაში მყოფი შსს-ს საგარეო სადამკვირვებლო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ოთხ წელიწადს მოგზაურობდა ქვეყანაში, მუდმივად იცვლიდა დროებით საცხოვრებელ ადგილებს, რომელთა შორის ბოლო მოლოჩკი იყო. სწორედ იქ წააწყდნენ მას უშიშროების სამსახურის თანამშრომლები. შემდეგ მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა. უშიშროების სამსახურმა განაცხადა, რომ პუკარმა მკვლელობის დამკვეთები დაასახელა. უკრაინის გენპროკურატურამ კი, დაკავებულის მითითებით, ჟურნალისტის თავის ქალას მიაკვლია. დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში ყველაზე იდუმალებით მოცული საქმე თითქოს გაიხსნა. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამ გახმაურებულ საქმეს ალბათ ზედმეტი ქულების ჩასანერად გამოიყენებენ. ამასობაში, მკვლელობის დამკვეთთა ვინაობა ისევ საიდუმლოდ რჩება.

პროფესიონალებს და იმ ადამიანებს, ვინც პუკარს კარგად იცნობს, მისი დაკავების ისტორიამ მრავალი კითხვა გაუჩინა. ჯერ ერთი, ვიდუოჩანანერზე, რომელიც უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მისი დაკავებისას გადაი-

ლეს, გენერალი გასაოცარი სიმშვიდით გამოირჩევა, თითქოს წინდანი იცოდა ამ ოპერაციის შესახებ; მეორეც, როგორც სახელმწიფო დაცვის ყოფილი მაიორი ნიკოლაი მელნიჩენკო ამტკიცებს, ძალოვანთა ბრძანების შემდეგ „ყველანი დანეკით“ – კადრში გამოჩნდა რამდენიმე ადამიანი, რომელიც ამ ბრძანებას არ დაემორჩილა, რაც სრულიად დაუშვებელია ამგვარ სიტუაციებში; და მესამეც, პუკაჩმა თითქმის მაშინვე აღიარა ჟურნალისტის მკვლევლობაში თავისი მონაწილეობა. გენერალის ყოფილი ადვოკატი, სერგეი ოსიკა „ლიბერალთან“ ინტერვიუში ყველა ამ შეუსაბამობას მარტივად ხსნის: ვფიქრობ, მან (პუკაჩმა) ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეპოვნათ; უბრალოდ დაიღალა მალვით. უშიშროების სამსახურმა კი ყველა დამსახურება თავად მიიწერა“, – ამბობს ის.

იურისტის ვარაუდს იზიარებს მელნიჩენკოც. იგი ფიქრობს, რომ ამ თეატრალურ დაკავებას, სავარაუდოდ, წინ უფრო სერიოზული ოპერაცია უძღოდა; ან არანაირი შეპყრობა არ მომხდარა – პუკაჩი თავად დაუკავშირდა უშიშროების სამსახურს და „საკუთარი კაპიტულაციის პირობები შესთავაზა“.

იმ ვერსიას, რომ ექსპერტული დაკავებისთვის მზად იყო, მისი თანასოფელი ცარუკიც რეალურად მიიჩნევს. ის იხსენებს, რომ დაკავებიდან ორი დღით ადრე პუკაჩის მეგობარი ქალი მას აფრთხილებდა, რომ სახლთან უცხო პირები შენიშნა, რაზეც „პაპა პეტრომ“ უპასუხა, რომ მას გასაქცევი არსად ჰქონდა.

ვის სჭირდებოდა ექსპერტის სწორედ ახლა დაკავება და რა მიზნით მოხდა ეს?

მათ შორის, ვისაც პუკაჩის დაკავება ხელს აძლევდა, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკოცაა. ჯერ ერთი, უშიშროების სამსახური, რომელმაც სენსაციური ოპერაცია ჩაატარა – პრეზიდენტის გავლენის სფეროშია. სწორედ პრეზიდენტს ერგო დაფნის გვირგვინი ამ საქმის გამო.

მეორე, იუშჩენკოს არაერთხელ უთქვამს, რომ ლონდაძის მკვლელობის გახსნა მისი პირადი ღირსების საქმეა. და აი, პრინციპული საკითხის გადაჭრის შანსიც გაჩნდა. თანაც – ძალიან დროულად: ეს დაკავება უკრაინაში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტს დაემთხვა, რომელმაც უკრაინის ხელისუფლება დაპირებების შეუსრულებლობის გამო გააკრიტიკა.

ეს დამთხვევები ექსპერტების სერიოზულ ეჭვებს იწვევს. „შესაძლოა, პუკაჩის დაკავებას საგანგებოდ აყოვნებდნენ, რომ ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად გამოეყენებინათ“, – ვარაუდობს პოლიტოლოგი ვლადიმირ ფესენკო. თუმცა, მისი აზრით, ეს დაკავება იუშჩენკოს რეიტინგს ვერ გაზრდის, რადგან ამომრჩევლებს არ სჯერათ, რომ მკვლელობის შემკვეთებს დასჯიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკრაინა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის და წარსულში სენსაციური საქმე ამჯერად არც ისე აქტუალურია.

სხვა საქმეა, თუ პუკაჩის ისტორიის წამოწევა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში არასასურველი კონკურენტების ჩამოშორებას ემსახურება. მაშინ ამ რთული კომბინაციის სამიზნე, შესაძლოა, პარლამენტის სპიკერი, პრეზიდენტობის კანდიდატი, ვლადიმირ ლიტვინი გახდეს. ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ყოფილი ადვოკატი მელნიჩენკო ამბობს, რომ არსებობს ფარული ჩანაწერები, სადაც ლონდაძის გაქრობის ბრძანებას სწორედ ლიტვინი გასცემს.

თუმცა, სიფრთხილე მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს არ მართებს. პოლიტოლოგი ვლადიმირ კორნილოვის აზრით, გამოძიებას შეუძლია პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებიც „მოისროლოს“. „ძიებას თავად დაანერინებს დამკვეთთა გვარებს, რაზეც შემდეგ ბატონი პუკაჩი, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს, უბრალოდ ხელს მოაწერს“, – მიაჩნია ექსპერტს. ასეთ შემთხვევაში, დამკვეთთა შორის ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს.

მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ პუკაჩმა დამკვეთთა ვინაობა უკვე დაასახელა. ანონიმური წყაროს მიხედვით, უკვე არსებობს მისი ჩვენების ოქმი, რომელიც, გენერლის სიკვდილის შემთხვევაშიც კი, სასამართლოში საკმარის მტკიცებულებად გამოდგება. არაოფიციალური მონაცემებით, შავ სიაში ლიტვინი ფიგურირებს.

გამორიცხული არ არის, ეს მხოლოდ პროვოკაცია იყოს. ინფორმირებულმა წყარომ გენპროკურატურიდან თქვა, რომ ამგვარ ინფორმაციას განგებ ავრცელებენ, რათა დამკვეთები „აღელდნენ“ და თავი გამოამჟღავნონ.

პუკაჩის ყოფილი ადვოკატის ოსიკას აზრით, გენერალმა მტკიცებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლიც რომ აღადგინოს, შეუძლებელი იქნება რაიმეს დამტკიცება, რადგან ბევრი დროა დაკარგული, ხოლო – შემსრულებლებსა და დამკვეთებს შორის კავშირი განწყვეტილი.

უფრო პესიმისტურადაა განწყობილი სახალხო დეპუტატი ვლადიმირ სივკოვიჩი. „ვფიქრობ, პუკაჩი ყველაფერს გარდაცვლილებს დააბრალებს“, – ვარაუდობს ლონდაძის საქმის საგამოძიებო კომისიის ყოფილი წევრი. მისი პროგნოზით, დამკვეთთა შორის პუკაჩი მსს-ს ყოფილ მეთაურს იური კრავჩენკოს და მილიციის გენერალ-პოლკოვნიკ ედუარდ ფერეს დაასახელებს, რომლებიც საქმის მთავარი მოწმეები იყვნენ. ამჟამად ორივე მათგანი გარდაცვლილია.

იმედი, რომ მკვლელობის შემკვეთები ციხეში აღმოჩნდებიან, მაინც არის. ყოფილი გენერალური პროკურორის სვიატოსლავ პისკუნის აზრით, „ამისთვის ორი რამაა საჭირო: პუკაჩის ცოცხლად დატოვება და მისი ყველა ჩვენების დოკუმენტურად დადასტურება“.

პუკაჩის ბედი უკვე განწყვეტილია. იურისტების აზრით, მას სულ ცოტა 15 წლით პატიმრობა ემუქრება, შეიძლება – სამუდამო პატიმრობაც. გარდა ლონდაძის მკვლელობისა, მას ჟურნალისტ ალექსეი პოდოლსკის გატაცებაში მონაწილეობაც უდასტურდება. პოდოლსკი იმავე 2000 წელს მაშინდელმა მილიციის უფროსმა ტყეში გაიყვანა და თანამზრახველებთან ერთად სასტიკად სცემა. ახლა პოდოლსკი შიშით იხსენებს 9 წლის წინანდელ მოვლენებს და დღემდე უკვირს, რომ ცოცხალი დარჩა. თუმცა, მისი აზრით, არც მისი და არც ლონდაძის მოკვლის ბრძანება არ არსებობდა. უბრალოდ, გიას შემთხვევაში, პუკაჩი წყობიდან გამოვიდა და, დამინების ნაცვლად, დაახრჩო დაუმორჩილებელი ჟურნალისტი. ■

პუკაჩის ისტორიის ნაოწკაპოვანად საპრეზიდენტო არჩევნებში არასასურველი კონკურენტების ჩამოშორებას ემსახურება. ამ რთული კომბინაციის სამიზნე, შესაძლოა, პარლამენტის სპიკერი, პრეზიდენტობის კანდიდატი, ვლადიმირ ლიტვინი გახდეს. კუჩმას ყოფილი ადვოკატი ამბობს, რომ არსებობს ჩანაწერები, სადაც ლონდაძის ბრძანებას სწორედ ლიტვინი გასცემს.



ფოტო: ლევან ხაჩიკაშვილი

ოგბუსმენის აპარატი

სუბარის არჩევანი

სექტემბრიდან საქართველოს ახალი სახალხო დამცველი ეყოლება. სოზარ სუბარის საქმიანობის შეფასებებისას აზრი ორად იყოფა და ორივე შეფასება რადიკალურია. თავად ყოფილი სახალხო დამცველი კი სიმშვიდის განცდით ტოვებს პოსტს – „რაც შემეძლო, გავაკეთე“.

ნინო გაჩიშვილი



უკანასკნელ წერილში, რომელიც ომბუდსმენის ოფისიდან ჩემ მიელზე რამდენიმე დღის წინ მოვიდა, წერია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციების შემდეგ ოთხი პატიმარი, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც მძიმე იყო, სხვადასხვა ციხიდან საავადმყოფოებში გადაიყვანეს. წერილში დანვრილებითაა აღწერილი პატიმრების მდგომარეობა, დიაგნოზები, ის, თუ ვის მიმართა სახალხო დამცველმა, რა გააკეთეს მისმა თანამშრომლებმა, ვიდრე ამ ოთხ ადამიანს კუთვნილ დახმარებას აღმოუჩენდნენ. სახალხო დამცველის ოფისიდან ჩემ მიელზე ამგვარი შინაარსის შეტყობინებები კვირაში რამდენჯერმე მოდის. ომბუდსმენს კონკრეტული ადამიანების ბედის შეცვლა, ზოგჯერ კი მათი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია და ალბათ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ეს ინსტიტუტი აკეთებს.

ახლა, როცა სოზარ სუბარმა დაამთავრა ვადა სახალხო დამცველის პოსტზე, მისი საქმიანობის შეფასებებისას აზრი ორად იყოფა და ორივე შეფასება რადიკალურია. ერთ მხარეს არიან ხელისუფლება და მისი მომხრეები, რომლებიც მკვეთრად უარყოფითად ახასიათებენ სახალხო დამცველს და მისი ოფისის მუშაობას; მეორე მხარეს – ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები და ჟურნალისტები, რომელთა უმეტესობამაც სოზარ სუბარი დაახასიათა, როგორც ჩვენი დროის ნამდვილი გმირი. უკანასკნელი გამოკითხვაც, რომელიც სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA) 2009 წლის ივნისში ჩაატარა და პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების მიმართ მოსახლეობის ნდობა გაზომა, გვიჩვენებს, რომ თბილისის მოსახლეობა სოზარ სუბარს ყველაზე მეტად ენდობა – ის გრძელი სიის სათავეში დგას.

ქართული ეროვნული მოძრაობა არასდროს ყოფილა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული, პირიქით, გასული საუკუნის ბოლოს ქართველმა პოლიტიკოსებმა მოინდომეს, რომ სახელმწიფო, რომელიც ორასი წლის შემდეგ დამოუკიდებელი გახდა, ეთნონაციონალიზმზე დაეფუძნებინათ. საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ტრადიცია, მით უმეტეს, კარგად ორგანიზებული ინსტიტუტი, რომელიც ამ საკითხებზე იქნებოდა ორიენტირებული, არ არსებობდა. პარადოქსია ისიც, რომ თავის დროზე, ადამიანის უფლებათა დამცველ პირველ ორგანიზაციას, „ჰელსინკის ჯგუფს“ ზვიად გამსახურდია თავმჯდომარეობდა, რომელსაც, მისი პრეზიდენტობის ხანას თუ გავიხსენებთ, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ადამიანის უფლებებზე.

თუმცა, 2004 წელს, როცა საქართველოს პარლამენტმა სოზარ სუბარი მესამე სახალხო დამცველად დაამტკიცა, პრეცედენტი იმისა, რომ ქვეყანაში ვიღაც ადამიანის უფლებებზე ხმამაღლა ლაპარაკობდა, უკვე არსებობდა. პარლამენტში – ელენე თევდორაძე, პარლამენტს გარეთ კი – რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მეტ-ნაკლებად აქტიურად მუშაობდა ამ თემაზე. ის გუნდი კი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდა სათავეში, და რომლის წევრიც თავად სუბარი

იყო, არა მხოლოდ ჩვენ თვალში, არამედ დასავლეთშიც იმის გარანტიად ჩაითვალა, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები მეტ-ნაკლებად წარმატებულად იქნებოდა დაცული.

„ომბუდსმენის ოფისისთვის ორი საფრთხე არსებობს: ერთი ხელისუფლების და მეორეც, საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ მოქცევის. აბსოლუტურ ვაკუუმში არავინ არის, არც ერთი გავლენისგან არის ვინმე დაცული და არც მეორისგან. მე ერთ რამეში შეუვალ ვარ – ვიყო პრინციპული და ადამიანის უფლებებზე მაღლა არ დავაყენო არაფერი“, – ასეთი პირობა დადო სოზარ სუბარმა 2004 წელს. მას მალევე მოუხდა ხელისუფლებასთან დაპირისპირება, როცა იმავე წლის ბოლოს სოფელ კეხვთან რუსეთიდან მომავალი მგზავრებით საგსე ხუთი ავტობუსი დააკავეს. როკის გვირაბს საქართველო ვერ აკონტროლებდა, ამიტომ ხელისუფლება უარს ამბობდა საკუთარი მოქალაქეების ქვეყანაში შემოშვებაზე და ეუბნებოდა, – ლარსის მხრიდან გადმოკვეთეთ საზღვარი. როცა სახალხო დამცველმა თბილისიდან ვერაფერი შეცვალა, კეხვში ჩავედა და ხალხის გვერდით იდგა მანამ, ვიდრე ხელისუფლებამ გადაწყვეტილება არ შეცვალა. „ხალხის გვერდით“ იდგა სუბარი 2007 წლის 7 ნოემბერსაც. ომბუდსმენსაც ისევე სცემეს სამართალდამცავებმა, როგორც დანარჩენ მოქალაქეებს.

როცა სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის მოადგილეს, გიორგი ჩხეიძეს ვეკითხები, სად მიიღწია ყველაზე დიდ წარმატებას სახალხო დამცველმა და მისმა ოფისმა, მას პასუხის გაცემა უჭირს: „წარმატებაა ის, რომ სახალხო დამცველი აქტიურია, ცდილობს არ დარჩეს ყურადღების მიღმა ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული შემთხვევები. სახალხო დამცველი და მისი ოფისი დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდა დარღვევებს გამოხატვის თავისუფლებასთან, ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვასთან, კონკრეტული ჟურნალისტების იძულებასთან დაკავშირებით და მიუხედავად ჩვენი მუშაობისა, არსებითად არაფერი შეცვლილა. მედია საშუალებების მფლობელობის სისტემა ისევ გაუმჭირვალეა, ლიცენზირების წესი არასწორია და სხვა. ამაზე არაერთი რეკომენდაცია მიუცია სახალხო დამცველს და ასეთი სფერო ბევრია. საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობამ,

სახალხო დამცველს ხელისუფლება ლაშქარს ალიქაბაძე. სოზარ სუბარის მოხსენებას პარლამენტში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ უსმენდნენ, არ მოგულისხმენ თითქმის სარიალ დარბაზში უხდავოდ გაიშალა.



■ სოზარ სუბარი 2007 წლის 7 ნოემბრის აქციაზე

ჩარევამ და მკაცრმა პოზიციამ შედეგი გამოიღო – დღეს ჩვენს ქალაქში აღარ ანგრევენ და საკუთრებას აღარ ანთ-მევენ მოქალაქეებს, მაგრამ ისევ გა-დაუნყვეტელია იმათი საკითხი, ვის საკუთრებასაც შეეხნენ“.

სახალხო დამცველს ხელისუფლება ლამის პირად მტრად აღიქვამდა. სო-ზარ სუბარის მოხსენებებს პარლამენტ-ში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ან სულ არ უსმენდნენ, ან ომბუდსმენს თითქმის ცარიელ დარბაზში უხდებოდა გამოსვლა. პარლამენტარების ამგვარ განწყობას ალბათ საქართველოს პრე-ზიდენტის დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი. მიხეილ სააკაშვილმა სოზარ სუ-ბარის უკანასკნელი მოხსენების შესახებ, რომელიც თითქმის 1200 გვერდიანია და ადამიანის უფლებების დარღვევები მრავალ სფეროში დეტალურადაა განხი-ლული, განაცხადა, რომ „ანგარიშს ადა-მიანის უფლებების დაცვასთან საერთო არაფერი აქვს“, რომ „სოზარ სუბარი ჩვეულებრივი პოლიტიკოსია, რომელიც აპირებს პოლიტიკაში წასვლას და დრო-შის ფრიალს“, რომ „სახალხო დამცვე-ლის ოფისის სრული პოლიტიზაცია მო-ხდა და ადამიანის უფლებების დაცვას სრულად ჩამოშორდა“.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდო-მარე დავით უსუფაშვილს აზრით, „სახალხო დამცველის და ოპოზიციის აზრთა თანხვედრა გარდაუვალია, თუ ორივენი კარგად აკეთებენ თავის საქ-

მეს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სუბარმა რა-ღაც ზღვარი გადალახა ან მას დააბიჯა. ეს ჩემი აზრით, მხოლოდ ფორსმაჟორულ ვითარებებში ხდებოდა. თუმცა, შარშან შემოდგომაზე გაკეთე-ბული განცხადებები და კომენტარები, რომ მას, შესაძლოა, პოლიტიკური საქმიანობა გაეგრძელე-ბინა, შეიძლება, არც იყო სწორი. სოზარი ეხე-ბოდა პოლიტიკურად ცხელ საკითხებს, შესაძლოა, გამონათქვამები შოკისმომგვრელი იყო, მაგრამ განცხადებებს ჭორების საფუძველზე არასდროს აკეთებდა. სახალხო დამცველი კონსტიტუციური ინსტიტუტია და როცა მეორე ინსტიტუტი მას არ უსემენს ან ცარიელ დარბაზში უსმენს, ეს ინს-ტიტუტებს შორის კონფლიქტია. ცალკე აღებული ვერც სასამართლო იქნება კარგი, ვერც სახალხო დამცველი. სისტემა მუშაობს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთს ანგარიშს უწევენ“.

სოზარ სუბარის ყველაზე მკაცრი კრიტიკო-სი მისი ყოფილი მეგობარი გიგა ბოკერიია: „წინა სახალხო დამცველების ფონზე, სუბარი სახალხო დამცველს მართლაც ჰგავს, მაგრამ მაინც წარუ-მატებლად მიმაჩნია. მან ნორმალური ინსტიტუტის შექმნა და ნორმალური სტანდარტის დამკვიდრება ვერ შეძლო. სახალხო დამცველი პოლიტიკური კო-ნიუნქტურის მიღმა უნდა იყოს და შედეგი აინტერე-სებდეს, შედეგი კი ადამიანის უფლებათა საკითხე-ბში ვითარების გაუმჯობესებაა. ამ მიმართულებით ბატონი სუბარი წარუმატებელი და, გარკვეულწი-ლად, ზიანის მომტანიც აღმოჩნდა. მან თანამდებო-ბაზე ყოფნის ნელინად-ნახევრის შემდეგ გააკეთა არჩევანი, რომ მთავრობა, უბრალოდ, ელანდლა. ეს ყველაზე უფრო ადვილი გზაა, არანაირ შრო-მას და ძალისხმევას არ გულისხმობს. მით უმეტეს, თვითონ მმართველი ფრაქცია და სახელისუფლებო



ფოტო: სანა სანაძე

■ სოზარ სუბარი
მოხუცებულთა სასლავი,
თბილისი 2008

**უხეხლომ არაპინაა.
სანა შაქალო
ბალანის ღაცა
ხელისუფლებასთან,
ვისაჟი. ერთი
ნუთით არ ზნაოზ,
რომ როცა არჩევეანის
ნინაშე ღაჟაქი - ან
უნდა მელაჟარაქა
შიჟაქი
სიპართლა, ანდა
თანაჟაჟოგიღან
უნდა ნავსულიყავი,
სიპართლა ავირჩია.**

ფიგურები მას იშვიათად აკრიტიკებდნენ და რაიმე კამპანია მის წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. მაშინ კი, როცა ბატონი სოზარი ცდილობდა მოქცევას ისე, როგორც სახალხო დამცველი უნდა იქცეოდეს, და გუნდშიც ბევრად უფრო კვალიფიციური ხალხი ჰყავდა, ოპოზიცია მას სამარცხვინოდ ექცეოდა. ეს იყო უბინძურესი, ქსენოფობიური, შეურაცხყოფებისა და დამცირების კამპანია. ამან და ბევრმა სხვა პერსონალურმა ფაქტორმა ბატონი სუბარი საბოლოოდ გატეხა, მან გამოიჩინა სისუსტე და არასწორი არჩევანი გააკეთა. ამან შეამცირა მისი სიტყვის ფასი. ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ომბუდსმენის სიტყვა რეალობას შეესაბამება, თუ მათ იციან, რომ ის პოლიტიკური ოპონენტია, მისი სიტყვის ფასი მათთვის მიზერული ხდება. მან გააკეთა არჩევანი: ისეთ თემებს, რომლებიც მას ქსენოფობიური დარტყმების ქვეშ აყენებდა, როგორც წესი, თავს არიდებდა“.

თეა თუთბერიძე „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ კიდევ უფრო მკაცრია სოზარ სუბარის მიმართ და თვლის, რომ ის ჯერ ხელისუფლების კონიუნქტურის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ – ოპოზიციის. „ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის, რასაც აკეთებდა სოზარი ბოლო პერიოდში, როდესაც ის მთლიანად ოპოზიციის გავლენის ქვეშ მოექცა და ასევე მიუღებელი იყო მაშინაც, როცა ხელისუფლებას უწევდა ანგარიშს. სახალხო დამცველი უნდა იყოს დამოუკიდებელი. სოზარმა ეს ვერ მოახერხა, ეს იყო ყველაზე დიდი პრობლემა მისი მუშაობის პერიოდში“.

„ის, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევებმა მიიღო სისტემური და მიზანმიმართული ხასიათი, ჩემი სახალხო დამცველობის მესამე წელს ვთქვი, – ამბობს უკვე ყოფილი სახალხო დამცველი, – მაშინ, როცა უკვე ნათელი გახდა, რომ კანონის უზენაე-

სობა ფეხქვეშ იყო გათელილი და კანონი რამდენიმე ადამიანისთვის იარაღად იქცა რეპრესიების გასატარებლად. დღეს საქართველოში არიან მოქალაქეები, რომლებიც კანონზე მაღლა დგანან, მეორე მხარეს კი დანარჩენი საზოგადოებაა, რომლისთვისაც არის ნულოვანი ტოლერანტობა. როცა რეველუცია მოხდა, რიგით მებაჟედაც კი წავიდოდი, რადგან მიმანდა, რომ ქვეყანა ასაშენებელი იყო. მაშინაც კი, როცა ვხედავდი დარღვევებს, ვფიქრობდი, რომ რეველუციას მოაქვს ძალადობა, რომ ეს ტალღა გადაივიდოდა. ხმამაღალ განცხადებებს მაშინ არ ვაკეთებდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რაიმე კონკრეტულ საქმეზე გაფრთხილებულვარ. დღეს საქართველოში მთავარი თემა ისაა, რომ ადამიანებს განსხვავებული აზრის გამო ქუჩაში სცემენ და აპატიმრებენ. წარმოუდგენელია, ამაზე არ ამოიღო ხმა. როცა პარლამენტში გამოდიხარ და გაქვს 30 წუთი, რაღაც თემაზე უნდა მოახდინო კონცენტრაცია. ყველაფერზე ვერ ილაპარაკებ, დრო არ გეყოფა. როცა ვსაუბრობდი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მყოფ პირთა პრობლემებზე, იქ შედეგებს ვაღწევდით, მაგრამ როცა საქმე ეხებოდა გარკვეულ სფეროებს, იქ შედეგი არ გვქონდა, რადგან ასეთი იყო პოლიტიკური ნება. 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შემდეგ ძვირფასი ჯიპებით დახვდნენ ადამიანებს და სცემეს – 14 ამგვარი საქმე გაქვს შესწავლილი. შემდეგ, საითათოდ ჩამომეთვალა ეს საქმეები, მაგრამ ეს იქნებოდა ტყუილი. იმიტომ,

რომ ეს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების ღვენაა. ძალიან მნიშვნელოვანია ეკოლოგიური უფლებები, მაგრამ თუ ქვეყანაში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის დაცული, მაშინ აზრი არა აქვს ეკოლოგიაზე საუბარს. გამოვლენ მოქალაქეები, დაიჭერენ ტრანსპარანტებს და იტყვიან, რომ მდინარე ვერეს სჭირდება შევლა. შემდეგ მოვა სპეცნაზი და დაარბევს. ამიტომ, თუ მე პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს არ დავიცავ, მაშინ ვერც ეკოლოგიას დავიცავ“.

არასამთავრობო ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ სახალხო დამცველის აპარატთან. მათი წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ სახალხო დამცველის ოფისის ეფექტური მუშაობა ძალიან უადვილებდათ საქმეს. „როდესაც ციხეებიდან გვწერდნენ პატიმრები და ჩვენ ვერ შევდიოდით, რადგან საზოგადოებრივი საბჭოები გააუქმეს და ციხეში შესვლის უფლება არ გვქონდა, სოზარს მივმართავდით დახმარებისთვის და ისიც ყოველთვის გვეხმარებოდა“, – ამბობს თამარ ხიდაშელი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებათა დამცველი გია ძნელაძე კი თვლის, რომ სოზარ სუბარმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისთვის გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც ომბუდსმენს ევალებოდა. „ომბუდსმენის მოხსენებაში პირველად სოზარის დროს გამოჩნდა ეს თემა. დისკრიმინაციის ფაქტებზე მას ყოველთვის პრინციპული პოზიცია ეკავა. 2006 წელს გაერო-მ მიიღო კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების დაცვის შესახებ. ამ კონვენციას საქართველოს პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი, ამ საქმეში ძალიან დიდია ომბუდსმენის აპარატის დამსახურება“.

„გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენელი თამარ ქაროსანიძე საუბრობს იმაზე, რომ თავისი აქტიურობით სოზარ სუბარმა „მომავალი სახალხო დამცველის შეფასების გარკვეული კრიტერიუმებიც დაადგინა და თამასა საკმაოდ მაღლა ასწია. ის აქტიურად ეხმარებოდა როგორც რეზონანსულ, პოლიტიკური უფლებების დარღვევებთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩენილ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებსაც. ხარუზებს რაც შეეხება, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, რომ საჯარო განცხადებები მხოლოდ კონკრეტულ დარღვევებზე გაეკეთებინა და საბოლოო დასკვნების – პოლიტიკური შეფასებების გაკეთება საზოგადოებისთვის მიენდო, რითაც ხელისუფლებას გამოდევნის მცირე შანსსაც არ დაუტოვებდა“.

თუმცა, სუბარის ოპონენტები არამხოლოდ პოლიტიკოსები არიან. ლეხბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ლგბტ) ადამიანთა უფლებათა დამცველი პაატა საბელაშვილი თვლის, რომ სოზარ სუბარს არაფერი გაუკეთებია საზოგადოების ყველაზე უფრო მარგინალიზებული უმცირესობის – ლგბტ ჯგუფის დასაცავად და რომ მის მოხსენებაში არ ჩანდა ის საქმეები, რომელსაც ფონდი „ინკლუზივი“ სახალხო დამცველის ოფისს უგზავნიდა. „ომბუდსმენის საიტზე ყოველდღე ქვეყნდება განცხადებები და არც ერთი ფაქტი არ ყოფილა ლგბტ ჯგუფზე. ადამიანის უფლებების მარგინალიზაციას, თუ არ აქვს პოლიტიკური სარჩული, ხელს არ ჰკიდებს“, – ამბობს პაატა.

„მოხსენებაშიც შემაქვს და ვიცავ კიდევ, – პასუხობს ბრალდებებს სოზარ სუბარი. თვითონ ამ ადამიანებს არ უნდათ იმის გამჟღავნება, რომ მათი დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის გამო ხდება. ჩვენი ჟურნალი, „სოლიდარობა“ ხშირად ბექდავს წერილებს ამ თემაზე“.

ია ანთაძე სოზარ სუბარის მეგობარია, ერთად ბევრგან უმუშავიათ – გაზეთ „კავკასიონში“, რადიო „თავისუფლებაში“, სახალხო დამცველის ოფისში. ია ამბობს, რომ „სოზარმა ორი დიდი კულტურა დაამკვიდრა. პირველი – რეალური ისტორიის შექმნა. მის მოხსენებებში, რომლებიც წლიდან წლამდე იხვეწებოდა და იზრდებოდა, ჩვენი ქვეყნის რეალური ისტორიაა ასახული. ხელისუფლებისთვის პრობლემა არა იმდენად სოზარ სუბარია, არამედ სწორედ ეს სქელტანიანი წიგნები, სადაც რეალური ფაქტებია აღწერილი, რომლებსაც ვერავინ აუვლის გვერდს. მეორე კულტურა ისაა, რომ თანამდებობიდან ზუსტად ისეთივე სოციალური მდგომარეობით მოდის, რითიც მივიდა. ისევ იმ სახლში და ისევ იმ ინტერიერში ცხოვრობს. ერთი შენაძენი აქვთ მხოლოდ – მესამე შვილი. ის პირადი მაგალითი, რასაც სოზარი იძლევა, მრავალმხრივია საინტერესო“.

პროფესიით ჟურნალისტმა სოზარ სუბარმა მართლაც მოახერხა ისტორიის შექმნა. მას შეეძლო საქართველოს პრეზიდენტისთვის მოეთხოვა: „ქვეყანა ლიბერალიზმისკენ და ჰუმანიზმისკენ შემობრუნე“, არ მორიდებოდა იმის პირდაპირ აღნიშვნას, რისი ნაკლებობაც ყველაზე მეტადაა ჩვენს სივრცეში და რასაც ყველაზე კარგად სწორედ ადამიანის უფლებათა დამცველი ხედავს. სოზარ სუბარის შემდეგ დარჩება სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელიც გამართულ სტრუქტურად სწორედ მისი ომბუდსმენობის პერიოდში იქცა, დარჩება ის სქელტანიანი ანგარიშები, სადაც საქართველოს ცხოვრების ხუთი მიმე წელია აღწერილი.

„სიმშვიდის გრძნობა მაქვს, უშეცდომო არავინაა. სანამ შემიძლო ბალანსის დაცვა ხელისუფლებასთან, ვიცავდი. ერთი წუთით არ ვნანობ, რომ როცა არჩევანის წინაშე დავდექი – ან უნდა მელაპარაკე შიშველი სიმართლე, ანდა თანამდებობიდან უნდა წავსულიყავი, სიმართლე ავირჩიე. ამით რალაც ეტაპი დასრულდა ომბუდსმენის ოფისის მუშაობაში. ახლა სხვა ეტაპი უნდა დაიწყოს“.

ახალი ომბუდსმენი გიორგი ტულუში

სექტემბრიდან სახალხო დამცველის პოსტს გიორგი ტულუში დაიკავებს. მისი კანდიდატურა 31 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა.

33 წლის გიორგი ტულუში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარგში მაგისტრის ხარისხი ლუნდის უნივერსიტეტში (შვედეთი) აქვს დაცული. 2005 წლის 1 დეკემბრიდან – ვეროპის საბჭოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის კომიტეტის წევრია, სადაც 2009 წლის 25 მარტს მეორე ვადით აირჩიეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ეუთო-ს მისიაში, გაერო-ს განვითარების პროგრამაში, „თავისუფლების ინსტიტუტში“, საქართველოს პარლამენტში. უკანასკნელ დრომდე გიორგი ტულუში სახალხო დამცველის აპარატში ევროკავშირის პროექტის, „ომბუდსმენის აპარატის გაძლიერება“, მენეჯერი და მთავარი ექსპერტი იყო.

„პროიორიტეტი იქნება ნებისმიერი ადამიანის უფლება. მრავალი სფერო, რომელშიც სახალხო დამცველის ოფისი მოღვაწეობდა, კიდევ უფრო გაძლიერდება. განდებდა ახალი მიმართულებები, დიდი მნიშვნელობა მიეცემა ადამიანის უფლებათა სფეროში ცნობიერების ამაღლებას, ესეც სახალხო დამცველის მოვალეობაა. ჩვენ შევხვებით ყველა სფეროს, სადაც შეიძლება ადამიანის უფლებები დაირღვეს“, – განაცხადა ახალმა სახალხო დამცველმა.

უკვე ყოფილი სახალხო დამცველი კი, ერთი მხრივ, გიორგი ტულუშის მაღალ პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზე ლაპარაკობს, ხოლო მეორე მხრივ იმ სიძნელეებზე, რასთან შეჯახებაც მას მოუწევს. „იქნება საუბარი იმაზე, რომ ის პოლიტიზირებული და ანგაჟირებულია, მაგრამ მან უნდა შეძლოს, სხვა გზა უბრალოდ არ აქვს“, – განაცხადა სოზარ სუბარმა მისი წარდგენის შემდეგ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი სუსტი რგოლი

>> ანიტა თვაური



■ დიმიტრი ლორთქიფანიძე, თბილისი 2009

ფოტო: ლევან ხაჩიკაშვილი

ადამიანის უფლებების მხრივ არააღიარებული კანონების მიღების მიუხედავად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი დუმს.

ადამიანის უფლებების დაცვის და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიაში მოყვანის მხრივ საქართველო ჯერჯერობით ისევ მრავალი პრობლემის წინაშე დგას. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტი ერთ-ერთი ის სტრუქტურაა, რომელსაც ეს საქმე ევალება.

კომიტეტის ერთწლიანი მოღვაწეობის მთავარ შედეგად გაიარა არსენიშვილი პატიმრობის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტა-

ნილ ცვლილებებს მიიჩნევს.

ახალი კოდექსი პატიმარს უფლებას აძლევს, 5 დღე ოჯახში გაატაროს. ამ სიკეთით პატიმართა დიდი ნაწილი ვერ ისარგებლებს. სამუდამო პატიმრობის მისჯილი ადამიანები კი მოკლებული არიან ელემენტარულ შესაძლებლობას, წელიწადში ერთხელ ორი დღე გაატარონ შვილებთან ერთად. ერთადერთი, რაც შეუძლიათ, თვეში ერთხელ ტელეფონით, შუშის მიღმა ელაპარაკონ ოჯახის წევრს. „მესმის, დამნაშავეები არიან, მაგრამ მათ მიმართ ჰუმანური მოპყრობა საზოგადოების ერთ-ერთი ვალდებულებაა“, – ამბობს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. მისი აზრით, კომიტეტს ყურადღება უნდა გაემახვილებინა კოდექსში „ხანგრძლივი პაემნების შესახებ“ მუხლის აღდგენაზე, რომელიც უფლებას მისცემდა პატიმრებს, ციხეში გამოყოფილ სპე-

ციალურ ოთახებში 2-3 დღე გაეტარებინათ ოჯახთან ერთად.

გია არსენიშვილი ამ მუხლის კოდექსის მიღმა დარჩენის მიზეზად სახელმწიფო მინისტრის არგუმენტს ასახელებს – რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის ხარჯები ქვეყანას არ აქვს. არსენიშვილი არ აპროტესტებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში“ შესულ ცვლილებებს, რომელთა მიხედვითაც, ადმინისტრაციული სასჯელი 30-დან 90 დღემდე გაიზარდა და შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება შეიზღუდა. კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ეს ცვლილებები „მსჯელობას აღარ ექვემდებარება“.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, ელენე თევდორაძისთვის შეკრებებისა და მა-

ნიფესტაციების შესახებ კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებები კატეგორიულად მიუღებელია. მისი აზრით, 72 საათზე მეტი ხნით ადამიანის იმ შენობებში გაჩერება არ შეიძლება, სადაც დღეს ადმინისტრაციულ პატიმრობამისჯილებს ათავსებენ. „მე ამ საკითხზე თავის დროზე დიდი შრომა და დრო დავხარჯე, ბევრჯერ ვარ იქ ნამყოფი და ვიცი, რა პირობებია“, – ამბობს ელენე თევდორაძე. ამ ცვლილებების არაპუმანურობაზე სხვა უფლებადამცველებიც საუბრობენ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რეკომენდაციებიც გააგზავნა კომიტეტში, მაგრამ მათი არც ერთი შენიშვნა კანონში არ აისახა.

არასამთავრობოები კომიტეტს გულგრილობის გამო აკრიტიკებენ. „ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი“, უჩა ნანუაშვილი გვიყვება, რომ, მიუხედავად არაერთი მოწვევისა, კომიტეტის წევრები მათ მიერ მოწოდებულ ღონისძიებებსა და განხილვებზე არ დადიან. გია არსენიშვილი კი გვეუბნება, რომ საერთოდ არაფერი სმენია ამგვარი არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ერთ-ერთია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ვისაც იშვიათ შემთხვევაში კომიტეტში ინვევენ. „42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარის, მანანა კობახიძის თქმით, მათ შენიშვნებს კომიტეტში, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ. „10-წევრიანი კომიტეტიდან 9 ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია. ისინი მმართველი პარტიის წინააღმდეგ არ მიდიან“, – აღნიშნავს მანანა კობახიძე.

სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის აზრით, კომიტეტი თანამშრომლობისთვის ღიაა, თუ საკითხი პოლიტიკურად საფრთხეს არ უქმნის კომიტეტის წარმომადგენლებს. მაგალითად, არასრულწლოვანთა უფლებების დასაცავად კანონმდებლობის გაუმჯობესება (მედიამი არასრულწლოვანი ექვმიტანილების სახეების ჩვენება აიკრძალა) ამ კომიტეტისთვის პრობლემა არ გამხდარა. თუმცა, სოზარ სუბარი ასეთ შემთხვევასაც იხსენებს: „ერთ-ერთი მოხსენების დროს საკუთრების უფლებაზე ვლადპარაკობდი და მათ შორის ბიზნესმენტა დარღვეული უფლებები ჩამოვთვალე. ბატონმა გია არსენიშვილმა ასეთი ფრაზა გვესროლა: რატომ ლაპარაკობთ მდიდრების უფლებებზე, ლაბობების უფლებებზე ილაპარაკეთ“.

კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის,

ნიზაციის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი თეა თუთბერიძე კომიტეტთან თანამშრომლობის განწყობის მიზეზად არაკომპეტენტურობას ასახელებს.

„ეკა ხერხეულიძემ მითხრა, რომ ღირსი ვიყავი, ბეისბოლის ბიტები ერტყათ თავში, რადგან გავებდე და წყლის პაკეტი ვესროლე პარლამენტის დეპუტატებს. მითხრა, რომ ვიმსახურებდი იმ წამებას, რომელიც ჩემს მიმართ განხორციელდა“, – ამტკიცებს დაჩი ცაგურია. ამ საკითხზე ქალბატონი ეკას კომენტარი ვერ მივიღეთ. მან თავი აარიდა ჩვენთან ინტერვიუს.

გია არსენიშვილის მოადგილემ, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, რომელიც საპარლამენტო უმცირესობის მიერ სახალხო დამცველის პოსტზე იყო წამოყენებული, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ბრძანა: „მამათმავლობა უნდა ისჯებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით, რადგან დიდი სჯულის კანონით ეს ქმედება დასჯადია“.

მოქალაქეების სქესის, რასის, აღმსარებლობის თუ სხვა ნიშნით განურჩევლობის გარანტია საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლია. დიმიტრი ლორთქიფანიძე, ვისაც თავად ევალუბა კანონმდებლობიდან აღმოფხვრას ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, ან მასზე მინიშნება, თავად ხდება დისკრიმინაციის ინიციატორი და ამბობს: „მე მივეკუთვნები იმ პოლიტიკოსთა რიცხვს, რომლებიც აქტიურად არ დაიცავენ გეი-ლესბოსელებს, არამედ პირიქით, ყველანაირად შეეცდებიან, რომ საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი დაიცვან ამ მეტად გარყვნილი და მავნე ზემოქმედებისაგან“.

ასეთი განცხადების შემთხვევაში, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში პირი არა თუ დატოვებდა თანამდებობას, არამედ მისი პოლიტიკური კარიერის მომავალიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. „საგანგაშოა, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია, არც მისი კანდიდატურის მხარდამჭერებისგან და არც სხვა პოლიტიკური სუბიექტებისგან“, – ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გიგა ბოკერია. ლორთქიფანიძის განცხადებას არც თავად კომიტეტის თავმჯდომარე, გია არსენიშვილი გაემიჯნა: „მე ვერ ჩავწვდი იმას, რა თქვა ლორთქიფანიძემ, ამიტომ არ ვიცი, ვიზიარებ თუ არა“, – აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე მუხლით ეკლესია მკაფიოდ არის გამიჯნული სახელმწიფოსგან. ეს ან არ იცის დიმიტრი ლორთქიფანიძემ, ან ცოდნა არ უშლის ხელს, უპირატესობა სჯულის კანონს მიანიჭოს: „ჩემთვის ამოსავალი წერტილი ისაა, რომ საერო კანონმდებლობაში არ იქნას მიღებული ისეთი ნორმები, რომლითაც თავად შემოქმედ ღმერთს შეურაცხვეყოფთ“.

კომიტეტში დიმიტრი ლორთქიფანიძე პენიტენციური სისტემის პრობლემებზე მუშაობს, რის გამოც, მისი თქმით, დრო არ რჩება უმცირესობების საკითხების შესასწავლად. თუმცა, არც იმას მალავს, რომ არაფერი სმენია საქართველოში ამგვარი ჯგუფების არსებობის შესახებ.

დიმიტრი ლორთქიფანიძემ, ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაციის მოთხოვნით, ჰომოფობიურად და არატოლერანტულად განწყობილი საზოგადოების გული მოიგო და პოლიტიკური ქულების ჩანერაც მოახერხა. თუმცა, დღეს მისი თანამდებობრივი მოვალეობა ნებისმიერი უმცირესობის წარმომადგენლის დაცვაა და არა პოპულისტური განცხადებები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის მიერ განეული მუშაობის ზედაპირული შესწავლა ცხადყოფს, რომ კომიტეტი უფლებათა დამცველებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლია. **■**

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

„გაათმავლობა უნდა ისჯებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით, რადგან დიდი სჯულის კანონით ეს ქმედება დასჯადია“.

ასეთი განცხადების შემთხვევაში, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში პირი არა თუ დატოვებდა თანამდებობას, არამედ მისი პოლიტიკური კარიერის მომავალიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.




საზოგადოებრივი მუშავეები

საზოგადოებრივი მუშავეების 4 წელი

დეკლარირებული პოლიტიკური ნების მიუხედავად, არსი, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნის, კვლავაც პოლიტიკური სპეკულაციების ობიექტად რჩება.

თამარ ბაბუაძე



ფოტო: ლევან ხარბულაძე

■ საზოგადოებრივი
მუშაველის სტუდია



„იტალიელები „ტელევიზიის პრობლემა“ მიჩვეულები არიან – ათწლეულებია, თან სდევთ და მოგვარების პირი ჯერაც არ უჩანს“, – წერია „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ მოხსენებაში იმ ქვეყნის შესახებ, რომლის საზოგადოებრივ მაუწყებელს – RAI-ს, საკანონმდებლო ინიციატივების მიუხედავად, მმართველი პოლიტიკური პარტია აკონტროლებს.

გერმანული საზოგადოებრივი მაუწყებლის ZDF-ის სამეურვეო საბჭოში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები პირდაპირ ინიშნებიან. საბჭოს ის წევრები კი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს წარმოადგენენ, ღიად გამოხატავენ პოლიტიკურ სიმპათიებს. მიუხედავად ამისა, იმავე მოხსენებაში ნათქვამია: „სერიოზულად არავინ გაბედავს, ამტიკოს, რომ გერმანიაში მთავრობასა და პოლიტიკურ პარტიებს პირდაპირი გავლენა აქვთ საზოგადოებრივი მაუწყებლების საეთერო ბადასა და პროგრამირებაზე. ეს არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, არამედ ეს უცხოა გერმანული პოლიტიკური კულტურისთვისაც“.

2003 წლის 19 ნოემბრის სამთავრობო სხდომაზე – ანუ თავისი მმართველობის ყველაზე კრიტიკულ დროს – შევარდნაძემ მაშინდელი „ტელე-რადიო მაუწყებლობის კორპორაცია“ მკაცრად გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ „პირველმა არხმა ამ ძალიან რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და არა სახელისუფლებო“. არხის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ პოსტი პროტესტის ნიშნად, შემდეგი განცხადებით დატოვა: „არ ვეთანხმები აზრს, რომ სახელმწიფო ტელევიზია მთავრობას ეკუთვნის. ის ხალხის ტელევიზიაა“. გადანაცვლებულმა ზაზა შენგელიას მიხეილ სააკაშვილმაც შეუქო. რევილუციის გამარჯვების შემდეგ შენგელია არხის ხელმძღვანელის პოსტზე ხელახლა დანიშნეს.

ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც „ხალხის ტელევიზია“ პოლიტიკური მხარეების ჭიდილისა და სპეკულაციის მიზეზი გახდა. 2001 წლის ოქტომბერში, პირველი არხის ეთერში, ეკა ბერიძის საავტორო გადაცემა „რას ფიქრობს ხალხი“ პოლიტიკური გავლენისთვის ბრძოლის მაგალითად იქცა. ეს ის გადაცემა იყო, რომლის კადრების გიორგი გვახარიას „წითელ ზონაში“ ხელახალი გაშვებაც არხის ბოლო ხელმძღვანელის, ლევან ყუბანიშვილის თანამდებობიდან წასვლის ერთ-ერთი საბაბი გახდა.

ქართული პოლიტიკური კულტურა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ტელევი-

ზიის არსებობას ვერ ეჩვევა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ექსპერტი, BBC-ის წარმომადგენელი, ნიკოლას ნუჯენტი წერს, რომ წლების შემდეგ „ქართველები, როგორც ჩანს, ვერც კი ხვდებიან, რა არის საზოგადოებრივი სამსახურის მაუწყებელი, ან რისთვისაა ის საჭირო“.

არადა, საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც მაუწყებლის რაობას და მიზნებს განსაზღვრავს, სრულყოფილია. „კანონი მაუწყებლობის შესახებ“, რომლის მიღების შემდეგაც, 2004 წლის დეკემბერში ოფიციალურად დაიწყო სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის პროცესი, ამის გარანტიორი უნდა გამხდარიყო. საბიუჯეტო დაფინანსების მიუხედავად, პოლიტიკურ ძალებს არხი პროპაგანდისტული მიზნებისთვის აღარ უნდა გამოეყენებინათ. ახალი ხელისუფლება სწორედ ამით დაადასტურებდა, რომ უარს ამბობდა თამაშის იმ წესებზე, რასაც შევარდნაძის მმართველობის მანკიერ მხარედ თავადვე მიიჩნევდა.

არხის პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლების მთავარი ბერკეტი მისი ხელმძღვანელობის არჩევის ახალი პრინციპი გახდა. საზოგადოებრივ მაუწყებელს სამეურვეო საბჭო დაეინიშნა, რომელიც თვითონ ირჩევდა ტელევიზიის გენერალურ დირექტორს. პირველ გენერალურ დირექტორად სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი თამარ კინწურაშვილი აირჩიეს. ოპოზიცია აცხადებდა, რომ ამით არხი „თავისუფლების ინსტიტუტის“ არაოფიციალურ მფლობელობაში გადავიდა. 2006 წელს გაზეთი „24 საათი“ წერდა, რომ შიდასახელისუფლებო ჭიდილში ორ სავარაუდო კანდიდატს – მარია ვერულაშვილსა და თამარ კინწურაშვილს შორის – კინწურაშვილის არჩევისთვის გიგა ბოკერიას ფრთამ გაიმარჯვა.

სამი წლის შემდეგ ექვსი წლის ვადით არჩეული კინწურაშვილი ისევ პოლიტიკურ გარიგებას შეეწირა. „არ მინდა ვიყო საბაბი ამ დაძაბულობის კიდევ უფრო დაძაბვის“, – განაცხადა მან და 2008 წლის თებერვალში თანამდებობა დატოვა.

ოპოზიციამ და იმ საზოგადოებამ, რომელიც ოპოზიციის მიტინგებს რეგულარულად ესწრებოდა, კინწურაშვილის გადადგომა გამარჯვებად მიიჩნია. ამ ცვლილებას ოპოზიცია ჯერ კიდევ იანვრიდან ელოდებოდა. მაშინ სააკაშვილმა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო და საზოგადოებრივი მაუწყებლის რეორგანიზებაზეც თანხმობა განაცხადა. ოპოზიციის კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ მომიტინგეებს მიმართა: „გილოცავთ ამ გამარჯვე-

ბას. საზოგადოებრივი არხი საზოგადოებას დაუბრუნდა“. იმას, რომ საზოგადოებრივი არხის რეორგანიზება ხალხის გამარჯვება იყო, ხაზი გაუსვა ლევან ბერძენიშვილმაც: „პირველი სერიოზული ნაბიჯი, რომელიც გადავადგმევინეთ თვითმარქვია სააკაშვილს, გახლავთ აი, ამ თქვენი ტელევიზიის დათმობა... მე მოგილოცავთ თქვენ, თქვენი მშვიდობიანი ბრძოლით აღწევთ ამ პირველ წარმატებას“.

თუმცა, ეს არ იყო გამარჯვება, რომელიც ხალხმა მოიპოვა. საზოგადოება ისევ დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ზურგს უკან აღმოჩნდა და ნდობის მანდატი სამეურვეო საბჭოს ჩააბარა, რომელიც სრულიად ღიად დაკომპლექტდა პოლიტიკური ნიშნით. საზოგადოებრივი მაუწყებლის ტრანსფორმაციის იდეა პოლიტიკური დაძაბულობის მოხსნას გადაჰყვა.

ბიოლის ფონდში, 2008 წლის თებერვალში გამართულ შეხვედრაზე გოგი გვახარია თქვა: „არავის გასჩენია შეკითხვა გუშინდელ სხდომასთან დაკავშირებით, რომელზეც დაამტკიცეს სამეურვეო საბჭოს წევრები. არავის უკითხავს, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რას აპირებდნენ, რა იდეების მატარებლები იყვნენ. მეგონი, ეს ძალიან სახიფათოა, იმიტომ, რომ ერთი წლის შემდეგ, შესაძლოა, გაცილებით მწვავე კრიტიკა მოვისმინოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ“.

მწვავე კრიტიკა ერთ თვეში დაიწყო. არხის მიუკერძოებლობის დეტექტორი ისევ პოლიტიკური ვითარება გახდა – მაისის საპარლამენტო არჩევნები და ოპოზიციის დემონსტრაციები. საზოგადოებრივი მაუწყებელი საარჩევნო კამპანიას დაბალანსებულად აშუქებდა, – ნათქვამი იყო საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დასკვნაში, მაგრამ იქვე აღნიშნული იყო ისიც, რომ „ყველა ძირითადი ტელეკომპანია (საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „მზე“, „აჭარა“ და „კავკასია“) პოლიტიკური პარტიების გარკვეული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა“.

2008 წლის 27 მაისს, ოპოზიციის ფართომასშტაბიანი დემონსტრაციის არაობიექტურად გაშუქების მიზეზით, თანამდებობიდან გადადგა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ოპოზიციის წარმომადგენელი, ირაკლი ტრიპოლსკი. გაზეთ „რეზონანსთან“ ინტერვიუში ტრიპოლსკი აცხადებდა: „მე და საბჭოს რამდენიმე წევრი ვადასტურებთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი გუშინ ტენდენტური იყო. ვერც ერთი ადამიანი მაუწყებლის მიერ გაშუქებული კადრებით ვერ მისხდებოდა, რა ხდებოდა ქვეყანაში“.

ყუბანიშვილის არჩევიდან ერთი თვის თავზე მაუწყებლის გენერალური დირექტორის გადაყენების მოთხოვნა ისევ აქტუალური გახდა. ოპოზიცია მიხვდა, რომ კინწურაშვილის გადადგომით მისთვის არაფერი შეცვლილა.

ყუბანიშვილის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოდერნიზებული, თუმცა საბჭოთა ეპოქის ლოგო დაიბრუნა და ისევ პირველი არხი გახდა. ვარდისფერი არხი განწყობისთვის, რომელმაც კომერციულ არხებთან შეჯიბრება სცადა, არ იყო ის, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეას ასახავდა. ყუბანიშვილის დროს თითქმის ბოლომდე გაუფერულდა არხის საზოგადოებრივი მაუწყებლად ქცევის ის პირველი მცდელობები, რომლებიც კინწურაშვილის დირექტორობისას დაიწყო. თითქმის ფორმალური გახდა ქცევის კოდექსიც, რომელიც არხმა მანამდე მიიღო. „საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო პირველი მაუწყებელი საქართველოში, და ერთ-ერთი პირველი აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებრივი მაუწყებლებს შორის, რომელმაც საკუთარი ქცევის კოდექსი შემოიღო. ეს ძალიან კარგი კოდექსია. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე პლუსი ის გახლდათ, რომ არხმა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე დაიწყო თანამშრომელთა გაბერილი შტატის პრობლემის მოგვარება. ბევრ საზოგადოებრივი მაუწყებელს ეს ჯერაც არ გაუკეთებია“, – აცხადებს ნიკოლას ნუჯენტი.

ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი ორი გენერალური დირექტორის მუშაობას ასე აფასებს: „ერთი იყო ფასადურად მიმართული პროგრესისკენ, მეორე – აბსოლუტურად ლიდ მემართული რეგრესისკენ“. მისი აზრით, კინწურაშვილის არხის პრეტენზია, რომ ის, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების პრობლემებს აშუქებდა, მხოლოდ დეკორაციული იყო. „იტალიური ეზოს“ პროექტი არანაირად არ ასახავდა იმ პრობლემებს, რაც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს აწუხებდათ. უკვე მოგვიანებით ყუბანიშვილის არხის ეთერში გამოჩენილი გადაცემა „სამოთხის ვაშლები“ კი მხოლოდ სტერეოტიპებით გაჯერებულ გზავნილებს აწვდიდა საზოგადოებას ქალის როლსა და მის პრობლემებზე.

თავის დროზე ეკა ბერიძის გადაცემამ „რას ფიქრობს ხალხი“ გააშთაფლა იმდროინდელი პირველი არხის პრობლემები და იგივე მოხდა დღესაც – „დიდი ათეულის“ შემთხვევაში. ვერც არხის ხელმძღვანელობამ და სამეურვეო საბჭომ, ვერც ჟურნალისტებმა ვერ გაუძღეს არა

პოლიტიკური ძალის, არამედ საპატრიარქოს თხოვნას, იმის მიუხედავად, რომ მათ საკუთარი კოდექსი იცავდათ. მაყურებელთა უმრავლესობისთვის არხის ეს პოზიცია ბუნებრივად კი აღმოჩნდა.

„ვისურვებდი, საზოგადოებრივი მაუწყებელი იმდენად ძლიერი იყოს, რომ არ აკეთებდეს მხოლოდ იმას, რაც უმრავლესობას სურს“, – განაცხადა თამარ კინწურაშვილმა 2008 წლის თებერვალში, თანამდებობიდან წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე.

„თანდათან უნდა წავიდეთ ამ ორგანიზაციის დეპოლიტიზაციისკენ, ჩავერთოთ სამოქალაქო სექტორი გადამწყვეტი ხმით და

ეს არ იყო გამარჯვება, რომელიც ხალხმა მოიპოვა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო საპოლიტიკო კამპანია, რომელიც სრულიად ღიად დაკომპლექტდა პოლიტიკური ნიშნით.



გავაფართოვოთ ამ საბჭოს ფუნქციები“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 2009 წლის ივლისში, საპარლამენტო გამოსვლისას. თუმცა საკითხავია, როგორ უნდა მიენიჭოს „გადამწყვეტი ხმა“ საზოგადოების ერთ წარმომადგენელს 9-კაციან სამეურვეო საბჭოში, რომელშიც ოთხი წევრი მმართველი პარტიიდან იქნება, ოთხი კი – ოპოზიციიდან?

პროცესი დაჩქარებულად წარიმართა. განმეორდა იგივე შეცდომა, რაც საბჭოს წინა დაკომპლექტებისას. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში, ყოველგვარი საჯარო დებატების გარეშე, პარლამენტმა სამეურვეო საბჭოს ახალი წევრები დამტკიცა, დაინიშნა დირექტორის არჩევნები. არხის „დეპოლიტიზაცია“ ახლა, ყველაზე შესაფერის დროს – ახალი გენერალური დირექტორის არჩევისა და სამეურვეო საბჭოს ხელახლა დაკომპლექტებისას – ისევ ფასადური აღმოჩნდა. პროცესზე გავლენის მინიმალური მანსების მიუხედავად, „მედია კლუბის“

გარშემო გაერთიანებულმა აქტივისტებმა რამდენიმე ინიციატივა მაინც წამოიწყეს. მათ შორის იყო არჩევნების გამჭვირვალედ წარმართვა და სამეურვეო საბჭოს აპოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტება. „მედია კლუბის“ ინიციატივები ნაციონალურმა არხებმა უყურადღებოდ დატოვეს. სამოქალაქო აქტივიზმის ერთი კვირა ისევ მხოლოდ ძალიან ვიწრო წრისთვის აღმოჩნდა აქტუალური.

„მედია კლუბი“ რიგით მესამე გენერალური დირექტორის არჩევის შემდეგ ბრძოლას სამეურვეო საბჭოს არაპარტიული ნიშნით დაკომპლექტებისთვის გააგრძელებს. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საზოგადოების ნაწილმა რეალურად ახლად დაიწყო ამ არხისათვის ბრძოლა. პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი სამოქალაქო ინიციატივა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მხოლოდ მეოთხე წლისთავზე გაჩნდა. საზოგადოებრივი არხის იდეის გაცოცხლება ახლა მხოლოდ საზოგადოებაზე დამოკიდებულია. **■**



საგალაქიო მკვლელობა

არველაძის იმედი

>> ოლესია ვარტანიანი



ფოტო: ლევან სერაფიშვილი

■ გიორგი არველაძე,
თბილისი 2009

„იმედის“ ახალი დირექტორი, რომელიც პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წევრია, ამბობს, რომ საქართველოში ყველაზე ობიექტური ტელევიზია უნდა შექმნას.

დაახლოებით ერთი თვის წინ ტელევიზიებმა გაავრცელეს მოკლე სიუჟეტი იმის შესახებ, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ახალი დირექტორი გიორგი არველაძე გახდა.

ამ ინფორმაციას ჟურნალისტურ წრეებში ემოციური რეაქცია მოჰყვა. არველაძის დანიშვნა შეაფასეს, როგორც ხელისუფლების სურვილი, პირდაპირი კონტროლი დაამყაროს ამ ნაციონალურ ტელეარხზე. არგუმენტებად გაიხსენეს არველაძის სიახლოვე ხელისუფლებასთან და ის დრო, როდესაც მას უშუალო გავლენა ჰქონდა „რუსეთავი 2“-ის მუშაობაზე.

არველაძე, რომელიც უკვე თავის ახალ, ჯერ კიდევ მოუწყობელ კაბინეტში ზის, ამბობს, რომ მის დანიშვნას პოლიტიკასთან კავშირი არ

აქვს. „მე „იმედს“ როგორც ბიზნესისე ვუყურებ, – ამბობს იგი, – ერთი შეხედვით ბევრი ფიქრობს, რომ ჩემი დანიშვნა პოლიტიკასთანაა კავშირში, მაგრამ ამ ეტაპზე პოლიტიკა ყველაზე ბოლოს მაინტერესებს“.

ეს განცხადება სიახლეა 30 წლის გიორგი არველაძისგან, რომელიც, თითქმის 10 წელია, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს და პრეზიდენტ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრია. სააკაშვილთან ერთად არველაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოყალიბებისა და „ვარდების რევოლუციის“ გზა გამოიარა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იგი იმ ადამიანთა რიგებში იყო, ვინც ზრუნავდა სააკაშვილის იმიჯზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„იმედს“ ვადარებ ქარხანას, რომელიც უნდა გადავარჩინო“, – ამბობს არველაძე თავის ახალ, ამჯერად ჟურნალისტიკასთან დაკავშირებულ სამსახურზე. მისი თქმით, არხის შემოსავლები მთლიანად „იმედის“ რეორგანიზაციაზე დაიხარჯება. იგი დაინშენებულია, რომ „იმედს“ შეუძლია მომგებიანი ბიზნესი გახდეს.

არველაძის მთავარი პროორიტეტი, შეიცვალოს ახალი ამბების მომზადებისადმი მიდგომა და ამ საქმეში პროფესიონალი ჟურნალისტების იმედი აქვს. იგი აპირებს „იმედის“ ახალი ამბები უფრო ხარისხიანი გახადოს, რაც მთავარი მიზნის მიღწევაში – ხალხის ნდობის მოპოვებაში დაეხმარება. „თუ ტელეარხის მიმართ ნდობა არ არსებობს, თუ ის უხარისხო პროდუქციას უშვებს, მაშინ მოგებაზე საუბარი ზედმეტია“, – ამბობს არველაძე.

დაგეგმილ კონკრეტულ ცვლილებებზე საუბარს იგი იმ მოტივით გაუბრბის, რომ მომავალი გეგმების შესახებ დროზე ადრე კონკურენტმა ტელევიზიებმა არ შეიტყონ. არველაძე „ქართულ სატელევიზიო სივრცეში სერიოზულ გარღვევას“ გეგმავს და იმედს აქვს, რომ უკვე მომავალი გაზაფხულისთვის „იმედი“ საქართველოში ნომერი პირველი ტელევიზია გახდება.

არველაძის გულწრფელობაში ეჭვი ეპარებათ იმ ჟურნალისტებს, რომელთაც მასთან მუშაობა მოუწიათ იმ დროს, როცა არველაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იყო. თამარ რუხაძე და ნანა ლეჟავა ჟურნალისტების იმ ჯგუფში იყვნენ, რომლებმაც 2006 წელს „რუსთავი 2“ დატოვეს. მაშინ მათ გენერალური დირექტორის შეცვლა გააპროტესტეს – ნიკა ტაბატაძის მაგივრად, არველაძის ახლო მეგობარი, კობა დავარაშვილი დაინიშნა.

რუხაძის თქმით, დავარაშვილი პირად საუბრებში არ უარყოფდა თავის სიახლოვეს არველაძესთან. მაშინ არველაძის მიმართ უკვე გაჩნდა პრეტენზიები, რომ იგი ახალი ამბების პროდიუსერებს პირდაპირ მითითებებს აძლევდა.

„რაც სააკაშვილს ეხებოდა, ყველაფერზე პასუხს არველაძე აგებდა“, – ამბობს რუხაძე, რომელიც მაშინ „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო. „ის ცდილობდა, გაეკეთებინა ისე, რომ მიმას მიერ მორიგი შედრენის გახსნა საინფორმაციო გამოშვების მთავარი ამბავი გამხდარიყო“, – განაგრძობს ის. რუხაძის თქმით, არველაძე და კიდევ მთავრობის რამდენიმე

წევრი ხშირად განიხილავდნენ მასთან და დირექტორთან საინფორმაციო გამოშვებების შინაარსს.

რუხაძე ამბობს, რომ არველაძე ყოველთვის ცდილობდა მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებას, მაგრამ მისი თხოვნების იგნორირება შეუძლებელი იყო, რადგან „რუსთავი 2“-ს მაშინ უკვე ხელისუფლება აკონტროლებდა.

ხელისუფლების მიერ არხის აბსოლუტური კონტროლი სწორედ ახალი დირექტორის მოსვლას უკავშირდება. ჟურნალისტები, რომლებმაც მაშინ ნაწილ-ნაწილ დატოვეს ტელეარხი, ამბობენ, რომ ახალმა დირექტორმა ხელისუფლების მიერ ტელეკომპანიების სრული კონტროლის სისტემა შემოიტანა. შეუძლებელი გახდა მთავრობის მინიმალური კრიტიკის გაშვებაც კი. ყველა დავალება, რომელიც ზემოდან მოდიოდა, არველაძეს უკავშირდებოდა.

„ჩვენ მეგობრები ვიყავით და გვიადვილდებოდა ერთმანეთთან ურთიერთობა“, – ამბობს არველაძე დავარაშვილის შესახებ. იგი არ უარყოფს, რომ „რუსთავი 2“-ის პროდიუსერებს უკავშირდებოდა, მაგრამ მათზე რაიმე სახის ზეწოლას გამოიციხავს.

პოლიტიკური ინტერესების გარდა, არველაძეს ხშირად ადანაშაულებდნენ იმაში, რომ მას ფინანსური ინტერესები ჰქონდა „რუსთავი 2“-ის მთავარ სარეკლამო პარტნიორთან – „სარკესთან“. „სარკე“ იმ დროს ხელისუფლების მიერ შეკვეთილი სოციალური რეკლამის დიდ ნაწილს ამზადებდა.

„ამ ბრალდებებს არავითარი საფუძველი არ აქვს, – ამბობს არველაძე, – ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე დავზარაღდი იმის გამო, რომ გარშემო ყველა ლაპარაკობდა, – „სარკე“ არველაძის კომპანიააო“.

იგი ირწმუნება, რომ „სარკესთან“ თანამშრომლობისას მას მხოლოდ პროფესიონალური ინტერესი ამოძრავებდა, როგორც კომპანიასთან, რომელსაც „სწრაფად და ხარისხიანად შეუძლია საჭირო სამუშაოს შესრულება“.

არველაძე „სარკესთან“ თანამშრომლობას მომავალშიც გეგმავს. „იმედის“ მენეჯმენტში მან უკვე მიიწვია რამდენიმე ადამიანი ამ კომპანიიდან, „მათი პროფესიონალიზმისა და ახლებურად აზროვნების გამო“.

არველაძეს აღარ სურს დროის დაკარგვა თავის პოლიტიკურ წარსულზე მსჯელობაში. მას დიდი გეგმები აქვს „იმედთან“ დაკავშირებით,

რომელთა რეალიზაცია უკვე დაიწყო. პირველ რიგში, იგი ტელეკომპანიისთვის ნათელი გონების ადამიანების ძებნითაა დაკავებული. „ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩემთვის მთავარია პროფესიონალიზმი და ობიექტურობა“, – ამბობს იგი.

ორი კვირის წინ მის მისაღებში რამდენიმე ახალგაზრდა შეიკრიბა, რომელთაც პირადად მასთან გაიარეს გასაუბრება. რამდენიმე მათგანი, ვინც ამ გასაუბრებაზე იყო, ამბობს, რომ კითხვები იწყებოდა იმით, თუ „ვინ დაიწყო ომი“ და მთავრდებოდა, თუ „რა შეხედულებები აქვთ მათ რელიგიაზე“.

„ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, რომ იქ მუშაობა არ მინდა“, – ამბობს ერთ-ერთი გოგონა, რომელიც ამ გასაუბრებიდან გამოვიდა. მისი თქმით, ხელისუფლების პოლიტიკური ნაბიჯების განხილვისას არველაძეს ხშირად წამოსცდებოდა სიტყვა „ჩვენ“. „ვერწარმომიდგენია, როგორ შევძლებდი აქ მუშაობის დროს პრეზიდენტზე კრიტიკული სიუჟეტის გაკეთებას“, – განაგრძობს იგი.

ამ გასაუბრებიდან გამოსული მეორე გოგონა კი ამბობს, რომ მან ჯერ არ იცის, შეძლებს თუ არა იყოს თავისუფალი ამ არხზე მუშაობისას, „თუმცა გამარჯვება მხოლოდ ბრძოლაში მოდის“, – ამბობს ის და ელოდება, რომ „იმედი“ სამუშაოდ მიიწვევინ. ■

**ქარნალისტავი, რომლებმაც
დავარაშვილის მოსვლის
შედეგ დატოვეს
„რუსთავი 2“, ამბობენ,
რომ ახალმა დირექტორმა
ხელისუფლების მიერ
ტელეკომპანიის სრული
კონტროლის სისტემა
შემოიტანა. შედეგად
გახდა მთავრობის
მინიმალური კრიტიკის
გაშვებას კი. ყველა
დავარაშვილს, რომელიც
ზემოდან მოდიოდა,
არველაძეს უკავშირდებოდა.**



ლუკა ბაძრაძე, არქიტექტორი, გარემოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალაქისა და რეგიონალური პლანირების ინსტიტუტის თანამშრომელი, ინტეგრირებული ურბანული სარემონტო „პლანერგაიფაინგზაფტ“ (PLANERGENEINSCHAFT) თანამშრომელი



ზურაბ ბაძრაძე, ქალაქმშენებელი, არქიტექტორი, ქალაქის შიგა განვითარების სახელმწიფო მფლობელი – KULTURLANDSCHAFT-STADT. ATELIER FÜR INNENSTADTENTWICKLUNG.

რას გვპირდება თბილისის ძველი ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამა?

ზურაბ ბაძრაძე, ლუკა ბაძრაძე

ძველ თბილისს მკაფიო ინდივიდუალობას ორი რამ სძენს: პირველი – მისი მატერიალური სუბსტანცია, ანუ შენობები, ქუჩები, პარკები და მეორე – ქალაქში მცხოვრები ადამიანები. ეს სუბსტანცია, რომელიც უბნის გარეგნულ იერსახეს ქმნის ერთგვარი სამოსია იმ ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებისათვის, რომელიც ძველ თბილისში ცხოვრობს. საზოგადოება ერთი მხრივ აფორმებს ქალაქის ამ სამოსს, მეორე მხრივ კი თვითონ განიცდის მის გავლენას; ანუ თბილისელები და მათი საცხოვრებელი გარემო განაპირობებენ ერთმანეთს და ქმნიან ქალაქს.

ამ გადმოსახედიდან უცნაურად გამოიყურება ის უდარდებლობა, რომლითაც ქალაქის ხელისუფლება ამ კავშირს მოქალაქესა და მის უშუალო მშობლიურ გარემოს შორის ერთი ხელის მოსმით ანგრევს და თანაც ამას ძველი თბილისის რეაბილიტაციად ნათლავს. როგორც ჩანს, ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამის ავტორები ძველ თბილისად მხოლოდ მის შენობებს აღიქვამენ და არაფრად აგდებენ ამ შენობებში მცხოვრები მოსახლეობის არც როლს ქალაქურ ცხოვრებაში და – არც უფლებას, იცხოვროს მშობლიურ გარემოში და მონაწილეობა მიიღოს მის განვითარებაში.

საქმე ისაა, რომ ეს პროგრამა ქალაქის გარეუბნებში სახელმწიფოს ხარჯზე სახლების მშენებლობას, ძველი ქალაქის მცხოვრებთა იქ ვითომ ნებაყოფლობით გადასახლებას, ამის შედეგად გამოთავისუფლებული საცხოვრებელი ფონდის ფინანსურად წელმავარ ინვესტორებზე გაყიდვას და ამ გზით მის განახლებას გულისხმობს. „ვითომ ნებაყოფლობით“ იმიტომ, რომ ქალაქის მმართველობა მოქალაქეებს ცრუ არჩევანის წინაშე აყენებს: ან გაუსაძლის მდგომარეობაში დარჩენა, ან თავისი მშობლიური უბნის დატოვება, და ამით მათ უმაღლავს, რომ სხვა, ადამიანური ღირსების შესაფერი გამოსავალიც არსებობს.

ეს გამოსავალია ქალაქის სათუთი განახლება ინტეგრირებული პროექტების საფუძველზე, სადაც სოციალურ განვითარებას ისტორიული ქალაქის მოსახლეობის შენარჩუნებით გადამწყვეტი ადგილი უკავია და რომელიც აღიარებული მიმართულებაა ევროპულ ქალაქმშენებლობაში. ასეთი პროექტების განხორციელება თბილისშიც შეიძლება, თუ ქალაქის მმართველობა სოციალურ პასუხისმგებლობას გამოიჩინებს და ზემოთ ნახსენები პროგრამის ნაცვლად მათ დააფინანსებს. ასეთ შემთხვევაში ქალაქს ევროპული ფინანსური დახმარების იმედიც შეიძლება ჰქონდეს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძველი ქალაქის სავალალო მდგომარეობა და მისი მოქალაქეების გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები ბოლო 80 წლის უპასუხისმგებლო კომუნალური პოლიტიკის შედეგია, აშკარა გახდება, როგორ უსამართლობასთან გვაქვს საქმე.

მოქალაქეებს ვერ საბჭოურმა ხელისუფლებამ ჩამოართვა კერძო საკუთრება და თავისი უპასუხისმგებლობით ნგრევის პირამდე მიიყვანა, შემდეგ პოსტსაბჭოურმა მმართველობამ გამოიჩინა „დიდსულოვნება“ – ლამის განადგურებული საცხოვრებელი ფონდი ქალაქელებს ისევ უკან დაუბრუნა და უთხრა: მე ხელი დამიბანია, როგორც გინდოდეთ ისე მოუარეთო. უკიდურეს სიდეუხტრეში მყოფი მოსახლეობა სახელმწიფოსგან დაქცეულ ქალაქს რომ თავისი სახსრებით ვერ აღადგენდა, თავიდანვე ცხადი იყო.

ასე თანმიმდევრულად მოამზადა ხელისუფლებამ ის მდგომარეობა, როცა შეძლება, მოქალაქეებისთვის ეთქვა, ძველი ქალაქის მომვლელი თქვენ არა ხართ, გარეუბნებში გადაბრძანდით და ქალაქი სქელჯიბიან უცხოებს დაუთმეთო. ასეთი პოლიტიკით სახელმწიფომ მოქალაქეები ფაქტობრივად თავისი დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგებზე პასუხისმგებლებად გამოაცხადა.

ამ ყველაფერს სახელმწიფოს უცნაური „თავგანწირვაც“ ემატება (რა თქმა უნდა, გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე) მენაშენებისა და ბანკების სასარგებლოდ. საქმე ისაა, რომ ამ მთელი სოციალური უმცავსობის განხორციელებას ხელისუფლება შემდეგი ფინანსური ოპერაციით აპირებს: სახელმწიფო (მშენებლის ხელით) სესხულობს ფულს ბანკისგან, ამ ფულით მშენებელი აშენებს სახლებს ქალაქის გარეუბნებში, სადაც გადაჰყავთ ძველი ქალაქელები. ამის შემდეგ სახელმწიფო უბრუნებს ბანკს ვალს პროცენტით (საინტერესოა, რას სესხულობდა თუ ჩასასესხებელი ფული თავიდანვე ჰქონდა? ე.ი. ბანკისთვის პროცენტის ჩუქება სდომია და ეგაა) და ძველ ქალაქში გამოთავისუფლებულ ფართს იმ ფასად, რაც სანაცვლო ბონის აშენება დაჯდა, მიჰყიდის ამ საქმეში მონაწილე მშენებელს, ან თუ ამან ყიდვა არ მოინდომა, აუქციონზე გაყიდის და მოგებას (თუ ასეთი იქნა) მასვე აჩუქებს.

რა ჰქვია ამას, მენაშენეთა მიერ ინიცირებული ფართომასშტაბიანი ავანტიურა, ხელისუფლების პროტექციონიზმი, თუ კიდევ რაიმე სხვა, მკითხველმა თვითონ განსაჯოს. ერთი რამ კი ცხადია, ამ პროგრამის განხორციელება ძველ ქალაქში ავადმყოფურ სოციალურ ძვრას გამოიწვევს, რაც საბოლოოდ მას მიმზიდველობასაც დაუკარგავს.

ქალაქის ხელისუფლება კავშირს მოქალაქესა და მის მშობლიურ გარემოს შორის ერთი ხელის მოსმით ანგრევს და თანაც ამას თბილისის რეაბილიტაციად ნათლავს.

ლიბერალი ონლაინ

ყოველთვიური განხილვითი ინფორმაცია, სტატიები, ბლოგები, ჟოურნალი



www.liberali.ge

სათავო ჩვენ შესახებ ბლოგები გამოწერა დაგვიკავშირდით

რუბრიკები

- მოკლე
- ვრცლად
- თეატრალი
- ეკონომიკა-ბიზნესი
- ისტორიული
- კონფლიქტები
- მედიაციები
- ორი აზრი
- პოლიტიკა
- საზოგადოება
- სამართალი
- საქართველო
- სპორტპორტალი
- ფოტოები
- მუსიკა

ბლოგები

- ოლეხა ვარციანიანი (1)
- ნინო რომაძე (1)

შეტი

არქივი

- 05 2009 (1)
- 06 2009 (2)
- 07 2009 (1)

ავტორიზაცია

მომხმარებლის სახელი

პაროლი

საიტის მფლობელი

- ჩვენი პოლიტიკა
- თანამშრომლობის პირობები

ივლისი № 4 2009



პოლიტიკა

მშვიდობით, გაერო!

საქართველოდან გაერო-ს მისიის გასვლის შემდეგ მოსახლეობის უსაფრთხოებას ქართველი პოლიციელები და ევროკავშირის მონიტორები იცავენ. არც ერთ მათგანს ადმინისტრაციული საზღვრის გაკონტროლების საშუალება არ აქვს.

საზღვრისპირა სოფლებში 45 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

სრული ტექსტი



კონფლიქტები

ქართველები და აფხაზები: რა იქნება შერე

აგვისტოს ომის შემდეგ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიაში პირველად, ორივე მხარეს საერთო მიზანი გაუჩნდა - აღკვეთონ რუსეთის მიერ აფხაზეთის შთანთქმის პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია.

“აფხაზეთის შიდა სეპარატისტების გასაყვამ საქართველოსთან კონფლიქტის დარეგულირებასთან არის კავშირი. ჩვენი უსაფრთხოება ძალიან არის დამოკიდებული ამ კონფლიქტის მოგვარებაზე.

სრული ტექსტი



საზოგადოება

მიკერძოებული სიმართლე

საკუთარი თავის ძიების პროცესი დასრულდა. “მანეტრომ” უკვე იცის, რომ ის ოპოზიციის ტელევიზიად დარჩება.

ბლოგის უახლესი ჩანაწერები

- ნინო რომაძე პრესამსახური « საჭიროა ოლეხა ვარციანიანი ფაქტობრივი კონფლიქტი

უახლესი კომენტარები

- “ახლის თამარი პარკი” 2009-07-08 00:46
- საინტერესოა, როგორ გ... 2009-07-02 12:22
- ძალიან მომეწონა სტატ... 2009-07-02 00:25
- კატეგორიულად არ ვე... 2009-06-27 14:00
- პოლიციელი სკოლაში 2009-06-23 22:15



ნიგნები პალანიკი ჩამოტარებით

მალხაზ სარბაძე

დადგა დრო, კონტრკულტურასაც მივხედოთ და დავაფასოთ, მით უმეტეს, რომ სულ ცოტა ხნის წინ ჩაკ პალანიკმა კიდევ ერთი (რიგით, თუ არ ვცდები, მეათე) ნიგნი გამოსცა და ამით გული გაუხარა თავისი კულტის მსახურებს. პალანიკი ოთხმოცდაათიანების ბოლოს დაიქოქა და ორი თუ სამი რომანის გარდა მისი შემოქმედება მთლიანად 21-ე საუკუნეში გადმოვიდა, თუმცა ჩემთვის ის მაინც ნაღდ 90-იანელად დარჩა, ისეთივედ, როგორც, ვთქვათ, მუსიკაში ტრენტ რეზნორი (Nine Inch Nails) ან Rage Against the Machine. ბევრისთვის პალანიკი თანამედროვე ამერიკული (და არამხოლოდ) კონტრკულტურის მამაა, პროზის მერილინ მენსონი და უილიამ ბეროუზის მემკვიდრე. ზოგი მანტერ ტომპსონსაც ადარებდა მას, თუმცა ტომპსონი თავის ალტერ ეგოებიანა ხან რომით სკდებოდა და ხანაც ათასნაირ ნარკოტიკს ეტანებოდა, ბოდავდა, ბურტყუნებდა და გამუდმებით განზე დაბოდილობდა, პალანიკი, თავის გამირებინანად, ცდილობს, ცოტათი უფრო თანამედროვე და თანმიმდევრული იყოს თავის ამბოხში, მეტს მუშაობს ერთგულ მკითხველზე და კლუბური გაფრენებითაცაა დაკავებული.

ზემოთ დასახელებული ავტორებით, ისიც მებრძოლი და აჯანყებულა და მასაც უყვარს ხელგაშლითა და ხმაურით ცხოვრება (პალანიკი „აკოფონიური საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელია). იგი არ ჩერდება, ბევრს მუშაობს, რადგან კარგად იცის, ფორმადან ამოვარდნა დავინყების ტოლფასი შეიძლება იყოს. პალანიკი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყოველთვის ჩამოტარებითაა ხოლმე. იგი დიდხანს არ რჩება, მალე ცივდება და ჩადგმით შემოსული მწერლებისგან განსხვავებით, სულ უფრო ღრმად ტოპავს, ხშირად თავსაც იმეორებს, მაგრამ ყოველთვის რჩება ყურადღების ცენტრში. როგორც ამბობენ, ამერიკაში პალანიკი საერთოდ არ აინტერესებს ე.წ. „გლამურულ ახალ-გაზრდობას“, არამედ მხოლოდ ალტერნატიულ პუბლიკას, აი საქართველოში კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პალანიკს ყველა წრე კითხულობს, „ზეპურნიც“ და „ჩაჩაურებიც“.

პალანიკისტებს ეს სასაცილო რომანიც გაიტაცებთ, რომლის მოკლე შინაარსი

ასეთია: აშშ-ში კულტურული გაცვლის პროგრამით, რომელიც გაურკვეველი ტოტალიტარული ქვეყნიდან (ესაა ქვეყანა-აჯაფსანდალი, ჩრდილოეთ კორეა-კუბისა და კომუნისტური ჩინეთი-ფაშისტური გერმანიის ნაზავი) ჩადის აგენტების მთელი ჯგუფი, რომლებიც თავს ბავშვებად ასალებენ და რომლებიც სხვადასხვა ოჯახებში ნაწილდებიან. მათ სპეცოპერაცია აქვთ დაგეგმილი, სახელად „ქაოსი“ (Havoc), რომელიც ამერიკის დაჩოქებას ისახავს მიზნად ("defile security of degenerate American snake nest"). ეს ოპერაცია, როგორც, ვთქვათ, მათემატიკის ოლიმპიადა, ტურებად აქვთ დაყოფილი აგენტების წარმგზავნელებს და მისი დასკვნითი ტური ვაშინგტონში უნდა გაიმართოს. მთავარი გმირი და მთხრობელია აგენტი ნომერი 67. მასპინძელი ოჯახის წევრებმა მას პიგმეი შეარქვეს, არა მხოლოდ სიმაღლის, არამედ რაღაც განუსაზღვრელ-გამოუცნობი განსხვავებულობის გამო.

იგი 4 წლიდან იზოლაციაში იზრდებოდა, გაიარა უმკაცრესი წვრთნის პროგრამა, შეისწავლა მეცნიერებები და ახლა საპასუხისმგებლო დავალებით ჩამოვიდა ზესახელმწიფოში, სადაც სედარების ოჯახში „ჩაინერგება“ და საქმიანობას შეუდგება. სედარების ოჯახის წევრები არიან: მამა, პიგმეის ენაზე cow father, ქრისტიანული პორნოს ფანი, რადიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, კაცი, ვისაც თავის ინსტიტუტში რაღაც ბიოტოქსინებზეც მიუხვდება ხელი, დედა chicken mother – ვიბრატორების უზარმაზარი კოლექციით, უფროსი ვაჟი – pig dog brother (ამას ერთი კაი ტომი გამოუვა იმდენ სიტყვას იყენებს ძუძუების აღსანიშნად) და უმცროსი დაი, Cat Sister, პიგმეის სიმპათია.

რომანი გზავნილებისგან, ანუ პატაკებისგან (Dispatch) შედგება, რომლებსაც პიგმეი აგზავნის სამშობლოში და მის ნაპატაკებში ამერიკა მსუქანი ფარისევლებით სავსე ქვეყნად წარმოგვიდგება, სექსუალური გადახრების მქონე მღვდელმსახურები, ზომბირებული მომხმარებლები, ფულზე გაგაფებული ტიპები, რასისტები გულისამრევი რელიგიურობით, შვილები, რომლებიც დედის დღეზე მშობლებს ვიბრატორებს ჩუქნიან და ა.შ...

(ალექსე საკითხია რომანის უანრი და



Pygmy Chuck Palahniuk
პიგმეი ჩაკ პალანიკი

ენა. ესაა ზღვრამდე მიყვანილი ეპისტოლარული რომანი, არადა გაიხსენეთ რითი დაიწყო ამ ჟანრის ისტორია. თავი დავანებოთ ანტიკურობას, თავისი ციკერონებითა და სენეკებით, მარტო XVIII საუკუნის ლაკლოებისა და რუსოების, რიჩარდსონებისა და სმოლეტების გახსენება იქნებოდა საკმარისი. ჩვენ დროში ჯონ ბარტის Letters მახსენდება კიდევ, თუმცა ენის თვალსაზრისით პალანიკმა ყველას გადააჭარბა. რომანი ისეთ კაკუნა „მორზე“ ენაზეა დაწერილი (სადაც ძალიან იშვიათად გამოიხვეწა ხოლმე სამ და ოთხმარცვლიანი სიტყვები), რომ ჰემინგუეი მონაგონია მასთან შედარებით. ოლონდ ერთი განსხვავებით, ეს თანამედროვე რომანი არარსებულ და აქამდე გაუგონარ დიალექტზეა შექმნილი და ავტორმა ერთ-ერთ ინტერვიუში პოემაც კი უწოდა თავის ნიგნს. გადაშალეთ „პიგმეი“ ნებისმიერ ადგილას (ვისაც არა გექვთ, დამიკავშირდით kharbedia@yahoo.com-ზე და გადმოგიგზავნით ელექტრონულ ვერსიას), წაიკითხეთ ერთი აბზაცი და მიხვდებით, რასაც გვულისხმობ.

რომანი ონომატოპეის, ანუ ხმაბაძეითობის ნამდვილი საცავიცაა: swish-zonk, jab-boom, rip-roar, pow-pow, kam-pow, zing-wring, წერს პიგმეი თანამებრძოლებს და ვერც კი ხვდება, რომ ამით იგი ე.წ. თანამედროვე „კოინი ენას“ ამკვიდრებს, რა ენაზეც ალბათ სულ მალე ამეტყველებიან პალანიკის მიმდევრები.

გვიხიანეთ

მთელ საქართველოში

უცვლელ სიხშირეზე 106.4

fm

საქართველო

უხიანეთ ყოველ საგუბაო დღეს
ვირველი რადიოს მთერში გადაცემას
რადიო პრეველი - ნანიკო ხაზარაძესთან ერთად

დასაწყისი 13:30





ბაზანიჭვებანი საქართველოს ბანკი

ბანკით ანაბანი,
ჩაჩითით ბათაშაშაშა,
აოიბით ფანანი ზიიი
და ბიანი



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

